




კრისტალი

ფინანსური მართვლობის  
ორგანიზაცია



ინტეგრირებული

ბუნებრივი

2 0 2 0

# ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“ (კრისტალი) საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და თავისი აქტივებით უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია. კრისტალი მართავს 316-მილიონიან სასესხო პორტფელს, მის 50 ფილიალში დასაქმებული თითქმის ათასი თანამშრომელი ქვეყნის მასშტაბით 112,900 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. კრისტალი ოპერირებს როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო და მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებას აწვდის.

კრისტალი რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება მიიღო. კომპანიას 2020 წელს საერთაშორისო საფინანსო სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza-ს რეიტინგში „A-“ მიენიჭა.

2019 და 2020 წლებში კრისტალმა გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონკურსში სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოები დაიმსახურა შემდეგ კატეგორიებში: გენდერული თანასწორობა, მდგრადი მოხმარება და წარმოება. კრისტალმა პირველი ადგილი აიღო კონკურსში „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის 2020“, რომელიც ორგანიზებული იყო ათასწლეულის ფონდის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და ბიზნეს ლიდერების ფედერაციასთან „ქალები მომავლისათვის“ პარტნიორობით.



## შინაარსი

# 04

### სტრატეგიული ანგარიში

- 6** მიმოხილვა
- 7** ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები
- 8** თავმჯდომარის განცხადება
- 12** უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი
- 16** მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა
- 25** ბიზნესმოდელი
- 26** კორპორაციული სტრატეგია
- 36** ბიზნესის ძირითადი შედეგები
- 38** რეფინანსირება
- 39** ტექნიკური დახმარება
- 40** ლიზინგის ბიზნესი
- 42** მთავარი რისკები და განუსაზღვრელობა
- 48** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
- 56** ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში
- 63** ინოვაციების მართვა
- 65** ინფორმაციული ტექნოლოგიები
- 68** ანალიტიკური შესაძლებლობები

# 70

### მმართველობითი ანგარიში

- 72** სამეთვალყურეო საბჭო
- 72** თავმჯდომარე
- 73** საბჭოს შემადგენლობა
- 74** სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
- 76** მმართველი გუნდი
- 78** კომიტეტის ანგარიშები

# 80

### ფინანსური ანგარიში

# 166

### დანართები

- 168** დანართი 1 – გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა 2020 წლის მდგომარეობით
- 170** დანართი 2 – USAID YES-Georgia რიცხვებში
- 171** დანართი 3 – 2020 წლის სოციალური გავლენის კვლევა
- 190** დანართი 4 – შემოკლებების ჩამონათვალი

# სტრატეგიული ანგარიში



კრისტალის ხედვაა  
გახდეს მომხმარებელზე  
ფოკუსირებული, ადამიანებზე  
ორიენტირებული და  
მონაცემებზე დაფუძნებული  
წამყვანი რეგიონალური  
ფინანსური ჩართულობის  
ორგანიზაცია.



## მიმოხილვა

კრისტალი არის განვითარების პლატფორმა მიკრო და მცირე მენარმეებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სიღარიბის დაძლევის მენარმეობის ხელშეწყობით ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გზით.

კრისტალის უპირატესობა გახლავთ ის, რომ ჩვენ საკუთარ თავს მივიჩნევთ ჩვენი მომხმარებლების განვითარების პლატფორმად. ჩვენი გადაწყვეტებზე ორიენტირებული მიდგომა გვხმარება გავცდეთ საკრედიტო უზრუნველყოფაზე ფოკუსირებას. ფინანსური ჩართულობა მოითხოვს ხელმისაწვდომობას უფრო მეტ სერვისზე, როგორცაა მიმდინარე ანგარიში, სადაზღვევო და არა-ფინანსური მომსახურება, მათ შორის ბიზნეს და ფინანსური რჩევები, ტექნოლოგიური აპლიკაციები, ისევე როგორც განათლება, ინფორმაცია და ლიდერობის განვითარების შესაძლებლობები.

კრისტალი არის საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და აქტივების ზომით უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი. კრისტალი მართავს 316 მილიონიან სასესხო პორტფელს და 50 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით ათასი თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 112,900-ზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება.

კრისტალის ინსტიტუციონალური აქციონერები არიან „ფონდი კრისტალი“ „Incofin IM“ და „Developing World Markets“. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა

25 პარტნიორთან, მათ შორისაა საერთაშორისო მიკრო-საფინანსო ფონდები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები. კრისტალი კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის აქტიური მონაწილეცაა. მისი კორპორაციული ობლიგაციები საქართველოს საფონდო ბირჟის „ბ“ კატეგორიაშია დაშვებული.

კრისტალი რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება გაიარა. კომპანიას 2020 წელს საერთაშორისო საფინანსო სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza-ს რეიტინგში „A-“ მიენიჭა.

2019 და 2020 წლებში კრისტალმა გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონკურსში სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოები დაიმსახურა შემდეგ კატეგორიებში: გენდერული თანასწორობა, მდგრადი მოხმარება და წარმოება. კრისტალმა პირველი ადგილი აიღო კონკურსში „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის 2020“, რომელიც ორგანიზებული იყო ათასწლიულის ფონდის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და ბიზნეს ლიდერების ფედერაციასთან „ქალები მომავლისათვის“ პარტნიორობით.



## ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

წმინდა ზარალი <b>(852 K)</b>		მთლიანი აქტივები <b>366,074</b>		უმოქმედო სესხები <b>7.79%</b>		რისკის ხარჯი <b>1.68%</b>	
2019	Δ	2019	Δ	2019	Δ	2019	Δ
(324 K)	162.96%	337,095	8.60%	5.58%	2.21%	3.09%	-1.41%
სასესხო პორტფელი <b>315,880</b>		მთლიანი კაპიტალი <b>58,011</b>		ხარჯი შემოსავალთან მიმართებაში მოზიდული დაფინანსების ხარჯის ჩათვლით <b>72.12%</b>		ფილიალები <b>50</b>	
2019	Δ	2019	Δ	2019	Δ	2019	Δ
297,211	6.28%	59,862	-3.09%	73.55%	-1.43%	48	4.17%
უკუგება საშუალო აქტივებზე <b>-0.24%</b>		უკუგება საშუალო კაპიტალზე <b>-1.45%</b>		მომხმარებლები <b>112,903</b>		თანამშრომლები <b>1,037</b>	
2019	Δ	2019	Δ	2019	Δ	2019	Δ
-0.10%	-0.14%	-0.58%	-0.87%	100,163	12.72%	989	4.85%

თავმჯდომარის განცხადება



არჩილ ბაკრაძე  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ძვირფასო პარტნიორებო,

სიხარულით გაცნობებთ, რომ ჩვენ წარმატებით გავართვით თავი უდიდეს გამოწვევას, უხილავ მტერთან – კოვიდ-19-თან გამკლავებას. მართალია, მწუხარებით ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომელთა სიცოცხლეს პანდემიამ იმსხვერპლა, მაგრამ ვიცით, რომ ახლა უკვე ნათლად მოჩანს სინათლე გვირაბის ბოლოს და, იმედი მაქვს, სულ მალე ყველა ნორმალურ ცხოვრებას დაავუბრუნდებით. 2020 იყო გმირული თავდადების, მდგრადობის დემონსტრირებისა და მენარმეობის საუკეთესო მხარეების წარმოჩენის წელი. ვფიქრობ, კრისტალისათვის 2020 წლის სიმბოლო საღაროს ოპერატორია (იხ. წლიური ანგარიშის გარეკანი) – იგი სრულყოფილად განასახიერებს ფრონტოფისის თანამშრომელთა თავდადებას, რომლებიც უშიშრად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რათა მთელი საქართველოს მასშტაბით უწყვეტი სერვისი მიეწოდებინათ კრისტალის ათასობით მომხმარებლისათვის. ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა იმ ადამიანების საქმისადმი ერთგულება, რომლებსაც კულისებს მიღმა, სტრესულ ვითარებასა და თვითიზოლაციის პირობებში უწევდათ მუშაობა. სწორედ ამიტომ, მე და ჩემი კოლეგები სამეთვალყურეო საბჭოში ვამაყობთ და მადლიერი ვართ კრისტალის, მისი ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების, ათასზე მეტი ძლიერი ქალისა და მამაკაცისა სათავე ოფისსა და 50 ფილიალში.

2020 წელს თვალნათლივ დავინახეთ, რომ მომხმარებელთა კეთილდღეობისადმი გულწრფელ ერთგულებას საპასუხო მხარდაჭერა და ერთგულება მოაქვს. როდესაც მარტში კოვიდ-19-თან დაკავშირებული მოვლენები განვითარდა, ვიცოდით, რომ საქართველო ღრმა ეკონომიკური კრიზისის წინაშე იდგა, ხოლო ჩვენი 110 ათასი მომხმარებლის ოჯახი დაუცველი აღმოჩნდა ყოველდღიური შემოსავლის დაკარგვის გამო. პანდემიის შედეგად იკლო ან სრულად შეწყდა მომხმარებელთა 75%-ის შემოსავალი (შესაბამისად – 63.3% და 12.2%). გამოკითხვამ, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში ჩავატარეთ, გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა 54.2%-ს არ ჰქონდა დანაზოგი, ხოლო მათ შორის, ვისაც ჰქონდა, 24.9% აცხადებდა, რომ ის 2 თვეზე ნაკლებ ხანს, ხოლო 8.7% – რომ 2-დან 3 თვემდე ეყოფოდა. შემოსავლების აღდგენის გეგმებისა და იმედის შესახებ დასმულ შეკითხვაზე კი საგანგაშო რაოდენობამ – 55.1%-მა გვიპასუხა, რომ არ ჰქონდა არანაირი გეგმა, ხოლო 16.4%-ს გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

შესაბამისად, ჩვენი მომხმარებლების დაახლოებით 93%-მა ისარგებლა საყოველთაო 3 თვიანი მორატორიუმის შეთავაზებით. პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ გავხდით სესხების დაფარვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლისა და სესხზე მოთხოვნის ზრდის მომსწრენი. სოფლის მეურნეობაზე გაზრდილი დამოკიდებულება და ჩვენი მიკრომენარმეების სპეციალიზაციის დაბალი დონე 2020 წელს დადებით ფაქტორებად მოგვევლინა. ჩვენი მომხმარებლების უმრავლესობა სწრაფად მოერგო მოთხოვნისა და მიწოდების შოკებს და დროულად გადაერთო ისეთი დაზარალებული სექტორებიდან,

თავმჯდომარის  
განცხადება

კრისტალი

როგორც ტურიზმი და მასთან დაკავშირებული დარგები აღმოჩნდა. კრისტალის პორტფელის ამგვარი ბუნებრივი დივერსიფიკაციის, დროულად გატარებული ღონისძიებებისა და საქართველოს მიკრო და მცირე მენარმეთა ბუნებრივი მდგრადობის შედეგად, სესხების მთლიან მოცულობაში ვადაგადაცვილების (NPL) მოსალოდნელზე დაბალი დონე მივიღეთ. მართალია, ჩვენი პროგნოზით პანდემიის ადრეულ ეტაპზე სესხების მთლიან მოცულობაში ვადაგადაცვილების 300%-იანი გაუარესება იყო მოსალოდნელი და ამ მიზნით გამოყოფილი გვექონდა კაპიტალის ადეკვატური რეზერვი, მაგრამ, საბოლოოდ, აქტივების ხარისხი დაახლოებით 40%-ით გაუარესდა, ძირითადად, ყველაზე მეტად დაზარალებული კომერციული სექტორისათვის განხორციელებული რესტრუქტურების მიზნით. ასე რომ, 2020 წლის ბოლოს კრისტალის NPL 7.8%-ს შეადგენდა (5.6% 2019 წელს).

ჩვენ მცირე ზარალი განვიცადეთ, რაც უარყოფითი საინვესტიციო უკუგებით (ROE -1.4%) გამოიხატა, მაგრამ სასიხარულოა, რომ სასესხო პორტფელის ზომიერ ზრდას (დაახლოებით 6.3%) მივაღწიეთ. ამავდროულად გამოიკვეთა საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტის შემცირების პოზიტიური ტენდენცია - 72.1% (73.6% 2019 წელს) და მივიღეთ პოზიტიური წმინდა საპროცენტო მარჟა - 16.9 (18.2% 2019 წელს). ჩვენ 12.7%-ით გავზარდეთ მომხმარებლების რაოდენობა და მოვემსახურეთ 112 ათას ფიზიკურ პირსა და მათ ოჯახებს.

კრისტალი ვერ შეძლებდა ამ მასშტაბის გამოწვევასთან გამკლავებას ჩვენი მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ), საქართველოს მთავრობის, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კრისტალის დიდი ხნის კრედიტორებისა და პარტნიორების მხარდაჭერის გარეშე. საგანგებო რეაგირების მეშვეობით საქართველოს მთავრობამ შეძლო პანდემიის პირველი ტალღის ზეგავლენის გადავადება და ამგვარად მოიგო დრო ქვეყნის ეპიდემიოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობების განახლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ უპრეცედენტო დახმარება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მრავალრიცხოვანი ფინანსური ინსტიტუტებისაგან. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა

მიკროსაფინანსო სექტორი კოვიდ-19-ის შედეგებთან გამკლავების თვალსაზრისით ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად გამოაცხადეს და აამოქმედეს ინსტრუმენტები, მათ შორის უცხოური ვალუტის ჰეჯირების მექანიზმი საბაზრო რისკების შესამცირებლად და ლიკვიდობის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მიზნობრივი მექანიზმი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის. სებ-მა დასწია კაპიტალის რეზერვები, რითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მოსალოდნელი ზარალის შთანთქმის შესაძლებლობა მისცა. და ბოლოს, ეკონომიკის სამინისტრომ ეკონომიკის მოწყვლადი სექტორების დაკრედიტების ხელშეწყობის მიზნით საგარანტიო ფონდი შექმნა.

კრისტალი კრიზისულ პერიოდს ლიკვიდობის უჩვეულოდ მაღალი დონით შეხვდა, რომელიც თავდაპირველად მობილიზებულ იქნა კომერციული ბანკის შექმნის მიზნით. სესხის დაფარვის მაღალი განაკვეთის გათვალისწინებით, მაღალი ლიკვიდობა 2020 წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ და შევასრულეთ ყველა დაგეგმილი გადახდა. მაღლიერი ვართ ჩვენი კრედიტორების დიდი მხარდაჭერისათვის, რომელთაც ინსტრუმენტების განახლება შემოგვთავაზეს და სასესხო შეთანხმებების პირობების კუთხით მოქნილობა გამოიჩინეს. ვამაყობთ, რომ უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში განვითარების საფინანსო კორპორაციისაგან USAID-ისა და SIDA-ს მხარდაჭერით წარმატებით მივიღეთ სასესხო პორტფელის საგარანტიო მექანიზმი. 15 მლნ აშშ დოლარის მოცულობის აღნიშნული ინსტრუმენტი შესაძლებლობას მოგვცემს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გავაძლიეროთ საქართველოს ათასობით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

კრიზისის გამო მოგვიხდა უარი გვეთქვა ბანკის შექმნის გარიგებაზე. ვაფასებთ კონტრაგენტთან განუღებ მუშაობასა და ჩვენი ძირითადი კრედიტორების მტკიცე მხარდაჭერას. სებ-ის შესაბამის გუნდებთან თანამშრომლობა დაგვეხმარა დავმდგარიყავით ბანკად გარდაქმნის გზაზე და ამ მიზნის მიღწევას 2022 წლისათვის ვგეგმავთ.

ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ იმ სტრუქტურულ და თვისობრივ რეფორმებს, რომლებიც უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის - ილია რევისასა და მთლიანად მენეჯმენტის გუნდის, მათ შორის შვილობილი კომპანიების - სს „კრისტალ ლიზინგისა“ და შპს „კრისტალ კონსალტინგის“ ხელმძღვანელების მონაწილეობით განხორციელდა. სირთულეების მიუხედავად, კრისტალმა მოახერხა დისტანციური სესხების გაცემისა და სადაზღვევო პროცესების განახლება, პროდუქტების გამრავალფეროვნება, სესხების ამოღების პროცესის განმტკიცება, ბექოფისის მუშაობისა და კომპანიის ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება.

მრავალ პროდუქტთან დაკავშირებულ ინოვაციებს შორის კმაყოფილებით გამოყოფთ ლიზინგის ხაზის წარმატებით ამოქმედებას, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებს ძირითადი საშუალებების მოთხოვნად, დახვეწილი ფორმით დაფინანსებას სთავაზობს.

აღვნიშნავთ „კრისტალ კონსალტინგის“ მიერ განუღებ არაფინანსური სერვისების გარდაქმნულ პოტენციალს, რაც, ფინანსური პროდუქტების ფართო სპექტრთან ერთად კრისტალს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პლატფორმად აქცევს. USAID-თან ხანგრძლივი პარტნიორობის წყალობით, ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის მეშვეობით ვუზრუნველყავით 1400 ახალგაზრდა მენარმის სწავლება და მენტორობა. Buzz Georgia-ს ხელშეწყობით კი საკომუნიკაციო უნარებსა და ფინანსური შესაძლებლობების სფეროში მოვაშავეთ 500 მენარმე ქალი.

ისე როგორც გასულ წლებში, ჩვენ დეტალურად ვაფასებდით ჩვენი საქმიანობის სოციალურ ზეგავლენას. სოციალური ზეგავლენას კვლევის შედეგები ასახულია წინამდებარე ანგარიშში (დანართი 3).

მეტად სასიხარულოა, რომ კრისტალის ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერჯის პორტფელმა 10.7 მლნ ლარს მიაღწია. ჩვენი მიზანია 2026 წლისათვის იგი 50 მლნ ლარამდე გავზარდოთ ბუნებრივი ზრდისა და ისეთ ფართომასშტაბიან ინიციატივებში მონაწილეობის გზით, როგორებიცაა ტყის გაჩუხვის შედეგების შემცირება GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) ხელმძღვანელობითა და გლობალური კლიმატის ფონდის (GCF), ასევე სხვა დონორთა დაფინანსებით.

2021 წელს სრულად ფოკუსირებული ვიქნებით კომერციულ ბანკად გარდაქმნაზე, რაც გააძლიერებს კრისტალის ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციის პოზიციას და შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ თანხის დაზოგვისა და მიმდინარე ანგარიშის მომსახურება. ეს ჩვენი აქციონერებისათვის დამატებით ღირებულებას შექმნის მკაცრად რეგულირებული საბანკო ბიზნესის დაბალი რისკებისა და საქართველოს სტაბილურად ძლიერი მაკროპრუდენტული პოლიტიკის გათვალისწინებით. ბანკად გარდაქმნა უზრუნველყოფს უფრო ეფექტიანი კაპიტალის ხელმისაწვდომობას, არასაკრედიტო პროდუქტებიდან მიღებული შემოსავლის ზრდასა და ადგილობრივ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ხელმისაწვდომობას.

ბაზრის პოტენციალის გათვალისწინებით, კომპანია განაგრძობს ზრდის სტრატეგიის განხორციელებას. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს მასშტაბის ეკონომიას, რაც ბიზნესპროცესების ავტომატიზაციისა და დიგიტალიზაციის მიმართულებით ამბიციური მუშაობის თანადროულად განხორციელდება. კრისტალი კვლავ საუკეთესოა გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული (ESG) და ასევე ჩვენი 3P-ს (ადამიანები (P-people), პლანეტა (P-planet) და მოგება (P-profit)) შედეგების მართვის თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით, გირჩევთ, თვალი ადევნოთ ინვესტორთან ურთიერთობის ახლად შექმნილ პორტალს <https://ir.crystal.ge/>.

დასასრულს, სიამაყით განვაცხადებ, რომ 2020 წელს ჩვენ საბოლოოდ მივიღეთ იმ ხანგრძლივი პროცესის შედეგი, რომელმაც სამართლებრივი სიცხადე შეიტანა 2012 წელს აქციონერებთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებში. შედეგად, ფონდმა „კრისტალმა“ უფრო სიმბოლური პოზიცია დაიკავა აქციონერთა სტრუქტურაში და შეიქმნა ძირითადი მენეჯერებისა და დამფუძნებლებისაგან შემდგარი ერთგულ აქციონერთა ჯგუფი. 2020 წლის ბოლოს კომპანიის 36.6%-ს ძირითადად ფლობს მენეჯერთა და თანადამფუძნებელთა ჯგუფი (სრული დილუციის გათვალისწინებით). მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ შემოგვიერთდებიან ინსტიტუციური ინვესტორთა ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ხორცს შეასხამენ მდგრადი და მონაცემებზე დაფუძნებული ბანკის, როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების პლატფორმის ამბიციურ სტრატეგიას.

და ბოლოს, მინდა მაღლობა გადავუხადო ჩვენს პატივცემულ კრედიტორებს, აქციონერებს, პარტნიორებს, მომსახურების პროვაიდერებსა და მარეგულირებელს, რომელთა მხარდაჭერითაც კრისტალს შეუძლია უზრუნველყოს გრძელვადიანი აქციონერების ღირებულების შექმნა და შეასრულოს ფინანსური ჩართულობის უაღრესად მნიშვნელოვანი მისია.



# უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი



**ილია რევია**  
კრისტალის უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

ძვირფასო აქციონერებო,

კრისტალის შექმნიდან 23 წლის განმავლობაში საქართველო არაერთი საფრთხისა და გამოწვევის წინაშე დამდგარა. თუმცა, გასული წელი განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. ამ უპრეცედენტო ახალ რეალობაში კრისტალი იმ ეკონომიკური და სოციალური წესრიგის გარდაქმნის მომხრე გახდა, რომელშიც საქართველოს კერძო სექტორი და საზოგადოება ტრადიციულად ოპერირებდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და მრავალმა ბიზნესმა გაურკვევლობა და ფინანსური სტრესი განიცადა. კოვიდ-19-ის პანდემიის, ფინანსური გაურკვევლობისა და პოლიტიკური დაძაბულობის თანხვედრამ საქართველოს ეკონომიკის არაერთი სისუსტე გამოავლინა, რამაც რეალური მშპ-ის 6,1%-იანი კლება, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3,2%-ით შემცირება გამოიწვია. 2020 წელს მკვეთრად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა, თუმცა ვარდნა შეასუსტა შედარებით ძლიერმა ფისკალურმა სტიმულმა და დაკრედიტების ზრდამ.

ცხადია, რომ 2020 წელი აღსავსე იყო გამოწვევებით, ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენებით და არაპროგნოზირებადი ცვლილებებით პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაში, მაგრამ ამ წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ კიდევ, როგორც გუნდმა და ინდივიდებმა.

მიუხედავად გამოწვევებისა, საქართველოს ფინანსურმა სისტემამ შეინარჩუნა მაღალი მდგრადობა ბოლო წლებში განხორციელებული პრუდენციული ღონისძიებების შედეგად. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ინსტიტუტებისადმი დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნებმა ფინანსურ სექტორს საკმარისი ბუფერების აკუმულირების შესაძლებლობა მისცა სტრესული სიტუაციიდან გამოსასვლელად. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში პრუდენციულ მოთხოვნებს დაექვემდებარა, მდგრადობა შეინარჩუნეს.

კრისტალმა 2020 წელი დაიწყო მყარი პოზიციით: თავი გააართვა 2018-19 წლებში შემოღებულ რეგულაციურ მოთხოვნებს, გააძლიერა რისკის მართვის პროცესები, შეამცირა უმოქმედო სესხების წილი სესხების მთლიან მოცულობაში და მოახდინა ფილიალების ქსელის ოპტიმიზაცია. ამ სიძლიერის და მოქნილობის ფონზე ჩვენ ვგეგმავდით საბანკო ლიცენზიის მიღებას ერთ-ერთი ადგილობრივი ბანკის შექმნის საშუალებით და 2020 წლის დასაწყისში სწრაფი ნაბიჯით მივდიოდით ამ მიზნისაკენ. სამწუხაროდ არ მოველოდით, რომ 2020 წლის პირველი კვარტალის დასასრულს მთელი მსოფლიო შეიცვლებოდა და მრავალი სტრატეგიული პროექტი – მათ შორის მიერ ბანკის შექმნა – შეფერხდებოდა. საქართველოში კოვიდ-19-ის გავრცელების შედეგად, ჩვენი მოქმედებები სწრაფად გადაეწყო კრისტალის თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობის შენარჩუნების, ეკონომიკის აღდგენის ხელშეწყობისა და კრისტალის აქციონერთა ღირებულების დაცვის მიმართულებით.

## უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი

როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანმა მქონე კომპანიამ, ჩვენ გავატარეთ სათანადო ზომები თანამშრომლებისა და მომხმარებლების კოვიდ-19-ით ინფიცირების თავიდან ასაცილებლად. კომპანიამ დანერგა სახლიდან მუშაობის პოლიტიკა სათავო ოფისის თანამშრომლების დიდი უმრავლესობისათვის, ხოლო ჯანმრთელობის მხრივ რისკის ჯგუფებში შემავალ ყველა თანამშრომელს მოვთხოვეთ არ ემუშავათ ოფისიდან. იმისათვის, რომ ყველა მომხმარებლისათვის განუვლი მომსახურება ერთ დონეზე შეგვენარჩუნებინა, თანამშრომლებს ონლაინ/დისტანციური მუშაობისათვის ყოველგვარი შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოში 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული ორივე საყოველთაო ჩაკეტვის დროს კრისტალის ფილიალები ღია იყო და ფუნქციონირებდა, ხოლო ფილიალის თანამშრომლები ცვლებში მუშაობდნენ.

კრიზისის დასაწყისში ყველაზე აქტუალური იყო ლიკვიდობის მართვისა და მომხმარებლების გადახდის უნარიანობის საკითხები. ჩვენ გამოვაცხადეთ სამთვიანი მორატორიუმი სესხების დაფარვაზე და პარალელურად გამოვკითხეთ ათასზე მეტი მომხმარებელი მათი უშუალო საჭიროებებისა და აღდგენის გეგმების შესაფასებლად. კრისტალის აქტივების კლასი, ძირითადად, მიკროსაფინანსო მცირე სესხებისაგან შედგებოდა, ხოლო ჩვენი მომხმარებლების უმრავლესობას შემოსავლის სხვადასხვა წყარო ჰქონდა, ჩვენი, თითქმის 100%-ით ლარში დენომინირებული პორტფელი მდგრადი აღმოჩნდა შოკების მიმართ და წლის ბოლოსათვის მთლიანი ვადაგადაცილებული სესხები (30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხები + რესტრუქტურისაცა + ჩამონერა) 2%-ით გაიზარდა. რესტრუქტურისებული პორტფელი იყო ხარისხის გაურარესების ძირითადი განმპირობებელი, რაც ეკონომიკის ჩაკეტვის ლოგიკური შედეგია. რესტრუქტურისაცა იყო ინსტრუმენტი, რომელსაც კრისტალი იყენებდა ჩვენს მომხმარებელთა მხარდასაჭერად, რათა აღდგენის პერიოდში მათთვის ფინანსური ტვირთი შეემცირებინა. კრისტალის მომხმარებლების მიმართ გამოვლენილმა მხარდაჭერამ დადებითი შედეგი მოიტანა წლის განმავლობაში და ჩვენი უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა.

ფინანსურ პარამეტრებზე კრიზისის გავლენის გათვალისწინებით, ჩვენ მკაცრად გადავხედეთ ბიუჯეტირებას და ხარჯების მართვის პროცესებს. განხორციელდა ხარჯების ოპტიმიზაცია, რაც დაგვეხმარა კრიზისთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯის გადაფარვაში. მიუხედავად ლარის კურსის 14.3%-ით გაურარესებისა, ინფლაციის დონის 5.2%-ით მატებისა, დაფინანსების ხარჯების საერთო ზრდისა 8.8%-დან 10.2%-მდე და შესაბამისად, საქმიანობის ხარჯების ზრდისა, ჩვენ შევძელით საოპერაციო ხარჯების 5.7%-ით შემცირება და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, საოპერაციო ხარჯების წილი 13.9%-დან 12.0%-მდე გავაუმჯობესეთ. შედეგად, 2020 წლის ბოლო კვარტალში ჩვენ შევძელით კაპიტალზე პოზიტიური უკუგების მიღება, ხოლო მთელი წლის განმავლობაში – 1.4%-ის ოდენობით.

კაპიტალის მართვის მხრივ, პანდემიაზე რეაგირების მიზნით მოვახდინეთ პორტფელის დამატებით 5%-იანი რეზერვის შექმნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ეროვნული ბანკის ზედამხედველობის განახლებული გეგმის შესაბამისად. ამავდროულად, მარეგულირებელმა დაუშვა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის არსებული 18%-დან 12%-მდე შემცირება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო პორტფელი ზარალის შთანთქმა. წლის ბოლოსათვის, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი კომფორტულ დონეზე შევინარჩუნეთ და 17.05%-ს შეადგენდა, რაც ბევრად აღემატებოდა მარეგულირებლის მიერ დაწესებულ ახალ ზღვრულ მნიშვნელობას.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული ბაზრის ცვლილებების შედეგად, წლიური პორტფელის ზომიერ – 5%-იან ზრდას მოველოდით გასული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. მცირედ გადავაჭარბეთ მოლოდინს და 5.9%-ით ზრდას მივაღწიეთ. აღნიშნული ზრდის დიდი ნაწილი საშუალო და მცირე ზომის სესხებზე (30,000 ლარზე ნაკლები) მოდიოდა, რაც მკაფიოდ ცხადხყოფს მიკრო და მცირე მენარმეთა მდგრადობას კრიზისის დროს.

კრისტალის გუნდის წევრები იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ ახალ რეალობაზე სწრაფად მორგებისათვის გზების მოძიებისა და განხორციელების მიზნით. ჩვენ ვაგრძელებდით ისეთი საკრედიტო პროდუქტების დანერგვას, როგორებიცაა, ხანგრძლივი ოვერდრაფტი, იპოთეკური სესხები, ბიზნესის განახლების სესხები და ჩვენი ინოვაციური ავტოსასესხო პროდუქტი „ნიტრო“. ახლად შექმნილმა ლიზინგის მიმართულებამ პირველი

სტრატეგიული ანგარიში

უფროსი აღმასრულებელი ოფისის წერილი

ნაბიჯები გადადგა კრიზისული წლის განმავლობაში და მოახდინა 2,8 მილიონი ლარის პორტფელის აკუმულირება. შეიქმნა პორტფელის მართვის ახალი მექანიზმი, რომელმაც, ორი საყოველთაო ჩაკეტვის მიუხედავად, პრობლემური სესხების ამოღების წილის 5.6%-ით ზრდის შესაძლებლობა მოგვცა გასული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. კომპანიაში მიღწეულ იქნა რისკების მართვის კულტურისა და სისტემების შემდგომი გაძლიერება პორტფელის სტრუქტურის მეთოდოლოგიის შექმნის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ავტომატიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისა და საკრედიტო და საოპერაციო კონტროლის განყოფილების გაძლიერების მეშვეობით.

გაგრძელდა მენეჯმენტ პროცესების განვითარება და დახვეწა, დავენერგეთ სამუშაოს მართვის ახალი პროცესი და მიზნების დასახვის სისტემა ჩვენი თანამშრომლებისათვის, გავაძლიერეთ ბიზნესანალიტიკური შესაძლებლობები და შევქმენით დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო თანამშრომლებისათვის. 2020 წელს კომპანიამ განაგრძო ეფექტიანობის გაძლიერება უფრო დახვეწილი ორგანიზაციული სტრუქტურის მიმართულებით და წინა წელთან შედარებით დაახლოებით მეოთხედით შეამცირა ორგანიზაციული განყოფილებების რაოდენობა.

ციფრული შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე ფოკუსირების ფონზე, უფრო მაღალი ტემპით გაგრძელდა დიგიტალიზაცია. 2020 წელს დავენერგეთ ახალი ონლაინ-დაფინანსების პლატფორმა CrystalOne, რომელიც სასესხო განაცხადის შევსებისა და სესხის გაცემის სრულად დისტანციური პროცესების შესაძლებლობას იძლევა. ეს მოიცავს კრისტალის როგორც უკვე არსებულ, ისე ახალ მომხმარებლებთან ურთიერთობის დაწყებას, იდენტიფიკაციის, აუტენტიფიკაციის და სესხის დამტკიცების პროცესებს. ჩვენი მიზანია აღნიშნული პლატფორმა საუკეთესო მიკროდაფინანსების ციფრულ საკრედიტო მომსახურებად ვაქციოთ საქართველოში. ციფრული ბიზნესის განვითარებასთან ერთად, სწრაფად დაინერგა ლიზინგის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა, რომელმაც „კრისტალ ლიზინგს“ ყველა ოპერაციის ავტომატიზების შესაძლებლობა მისცა.

კრისტალის ბანკად გარდაქმნის საშუალოვადიანი გეგმის შესაბამისად, 2020 წლის ბოლო კვარტალში ჩვენ დავინწყეთ ძირითადი საბანკო სისტემის დანერგვა მაღალი რეპუტაციის მქონე ადგილობრივ პარტნიორ Alta Software-თან ერთად, რომელიც 20 წელზე მეტია წარმატებით მუშაობს საქართველოს 11 ბანკთან. Alta-ს ძირითადი

საბანკო სისტემა სრულად თავსებადია ადგილობრივ კომერციულ და რეგულატორულ მოთხოვნებთან. ეს არის კრისტალის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტი 2021 წლისათვის, რომლის დასრულებაც მე-4 კვარტალში იგეგმება.

მთელი ფინანსური სექტორისათვის ამ განსაკუთრებით დაძაბულ პერიოდში, ნიშანდობლივი იყო კრისტალის მიმართ ყველა პარტნიორის მიერ გამოხატული მტკიცე მხარდაჭერა. 2020 წლის ბოლოსათვის, კრისტალმა მიიღო ვალდებულებებისაგან გათავისუფლების წერილები კოვიდ-19-ის კრიზისის გამო შეუსრულებელ ყველა ვალდებულებასთან დაკავშირებით და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის დაფინანსება 33 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. დაფინანსების ტრადიციული შესაძლებლობების გარდა, კრისტალი იყო პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელმაც ხელი მოაწერა სამხრეთ შეთანხმებას განვითარების საფინანსო კორპორაციასა (DFC) და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან (SIDA) 15 მლნ აშშ დოლარის სასესხო პორტფელის საგარანტიო პროგრამასთან დაკავშირებით საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. აღნიშნული ტრანზაქცია ხაზგასმით მიუთითებდა საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორისადმი საერთაშორისო ნდობას კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში.

2020 ასევე გამოირჩეოდა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობის დაწყებით. აღსანიშნავია შეთანხმების ხელმოწერა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან „ანარმოე საქართველოში“ (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ). ამგვარად, კრისტალი საქართველოს მთავრობის სასესხო გარანტიისა და საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების იმ პროგრამის მონაწილე პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი გახდა, რომელიც განკუთვნილი იყო პანდემიის პერიოდში ყველაზე მაღალი სტრესის ქვეშ მყოფი დარგებისათვის.

არ შემოიქმნა არ აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსურ სექტორსა და კონკრეტულად კრისტალს აღმოუჩინა. კრიზისის დასაწყისში სებ-მა კრისტალს გამოუყო სპეციალური სახსრები (კერძოდ, საკრედიტო სახსრები 68 მლნ ლარის ოდენობით და სავალუტო სვოპის ხაზი 50 მლნ აშშ დოლარის ოდენობით), რომლის მიზანი იყო კრიზისის შედეგად გაზრდილი ჰეჯირების ხარჯების შემცირება. სებ-ის მიერ გატარებული გონივრული ღონისძიებები, მიკროსაფინანსო სექტორთან საიმედო კომუნიკაცია და კრიზისის დროს აღმოჩენილი დახმარება მართლაც განსაკუთრებული იყო.

უფროსი აღმასრულებელი ოფისის წერილი

ამავდროულად, ჩვენ განვაგრძეთ ახალი სტრატეგიის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ყურადღებას ვამახვილებდით უფილიალო (სრულად ციფრულ) ოპერაციებსა და საკასო ოპერაციების საჭიროების შემცირებაზე. ჩვენი პატივცემული პარტნიორების დახმარებით, ჩვენ შევძელით ბიზნესის ადაპტაცია და კონსულტაციის განწევა ჩვენი ბიზნეს-კლიენტებისთვის. ამგვარად გავზარდეთ მდგრადობისა და განვითარების შესაძლებლობები, რაც ესოდენ აუცილებელია ახალ კონტექსტში, და დავრჩით ერთგულნი ჩვენი მისიისა შევასრულოთ მიკრო და მცირე მენარმეების განვითარების პლატფორმის როლი საქართველოში.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ განსაკუთრებით დაძაბულ პერიოდში სასიამოვნო იყო იმის დანახვა, თუ როგორ ემსახურებოდნენ ჩვენი თანამშრომლები საზოგადოებას. როგორც ყოველთვის, კრისტალის პროფესიონალები მოტივირებული იყვნენ და იყენებდნენ პროფესიულ უნარებს მომხმარებელთა ცხოვრების უკეთესობისაკენ შესაცვლელად. კრიზისის დასაწყისში კრისტალმა ჩაატარა ონლაინ-ჰაკათონი „კოვიდ-19-ის შეკავება“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა იმ ინოვაციური დამწყები ორგანიზაციების გამოვლენა და დაფინანსება, რომლებიც კოვიდ-19-ის უარყოფითი შედეგების დასაძლევად ეფექტიან და სწრაფ ბიზნესგადაწყვეტილებებს ახორციელებდნენ. მრავალ გარემოს-დაცვით და სოციალურ საქმიანობასთან ერთად, ჩვენ განვაგრძობდით ახალგაზრდა მენარმეის სკოლის (YES-Georgia) აქტიურად მხარდაჭერას, დავეხმარეთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სოციალური პლატფორმა „1ნაობის“ მეშვეობით, გამოვყავით საზაფხულო სკოლის სტიპენდიები ახალგაზრდა ქალებისათვის და დავაფინანსეთ სათემო პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფდა სასმელი წყლის, სამედიცინო ამბულატორიისა და საჯარო ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობას საქართველოს რეგიონებში. კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ფარგლებში 2020 წელს გამორჩეული ადგილი დაიკავა Buzz Georgia-მ. პროგრამის ფარგლებში კრისტალმა 500 მენარმე ქალს გაუწია ბიზნეს-საკონსულტაციო და მენარმეობის განვითარების მომსახურება.

ჩვენ მიერ განეული სამუშაო არ დარჩენილა შეუმჩნეველი. წარმატებული საქმიანობისთვის კრისტალმა არაერთი აღიარება მოიპოვა:

- ◀ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ კონკურსში კრისტალის მწვანე დაფინანსების პროგრამამ მიიღო „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო კატეგორიაში „მდგრადი წარმოება და მოხმარება“.
- ◀ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის კრისტალმა მიიღო „ათასწლეულის ფონდის“ ჯილდო კატეგორიაში „ბიზნესი გენდერული თანასწორობისათვის“.
- ◀ კომპანიამ ზედიზედ მეორე წელი მიიღო მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის საპატიო ჯილდო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობისათვის.

არსებულ მოწყვლადობებთან ერთად, კრიზისმა გვიჩვენა ჩვენი ბიზნესის გაუმჯობესების შესაძლებლობებიც. პანდემიის შემდგომმა პერიოდმა მოგვცა შესაძლებლობა გვესწავლა სოციალური და ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ექსპერიმენტების მეშვეობით. მომხმარებელთა მინიმალური შეფერხებით მომსახურების გზების მოძიებით და ამავე დროს საზოგადოების მხარდაჭერით, თანამშრომლების ჩართულობის, პროდუქტიულობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფით, კრისტალმა ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და სულსკვეთების გამოცდა ჩააბარა. ამავდროულად, ჩვენ დავინახეთ კრიზისის შედეგად წარმოშობილი შესაძლებლობა, რომ ბიზნესი და საზოგადოება გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე მანამდე იყო.

უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო კრისტალის არაჩვეულებრივ გუნდს, ყველა მხარდამჭერს და პარტნიორს. დასაფასებელია მომხმარებელთა მომსახურების პროცესში მათ მიერ გამოჩენილი საოცარი თავდადება, საქმისადმი ერთგულება და ერთმანეთზე ზრუნვა. მართალია, ჩვენს მდგრადობას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ უპირველესად, არის 1 000 პროფესიონალის შრომის შედეგი მთელი საქართველოს მასშტაბით. კრისტალს ჩვენი ადამიანები ქმნიან!

**2021 წელი უფრო მნიშვნელოვანი და წარმატებული წელი იქნება კრისტალისათვის!**

პატივისცემით,  
ილია რევია  
კრისტალის უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

საქართველოს ბანკი




# მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

## მთლიანი შიდა პროდუქტი

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიამ დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ეკონომიკა. პანდემიამ ყველაზე დიდი ზიანი ტურისტულ ინდუსტრიას მიაყენა, რომელიც ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ მიმართულებად ჩამოყალიბდა. პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის შედეგად საქართველოში 2020 წლის რეალური მშპ-ის საშუალო ზრდამ 6.1% შეადგინა.

რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში - %-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


## მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

### ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გაზარდა წარმოების ხარჯი. შესაბამისად შექმნა ინფლაციის ზრდის რისკი, ამიტომ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მთელი წლის განმავლობაში მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნა. 2020 წლის დეკემბერში 2020 წლის იანვართან შედარებით MPR-ი 1 პპ-ით შემცირდა და 8% შეადგინა.

2020 წელს მოთხოვნის შემცირებისა და მაღალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მიუხედავად, კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად ინფლაციის ზრდაზე მოქმედი ფაქტორებისა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების ზრდის შედეგად, საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 5.2% შეადგინა.

### ინფლაცია და MPR საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკი

### დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განაახლა დასაქმებისა და უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგია. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით თვითდასაქმებულად აღარ ჩაითვლება საკუთარ საოჯახო მეურნეობაში მომუშავე პირი, რომელიც პროდუქციის უმეტეს ნაწილს (50%-ზე მეტს) პირადი მოხმარებისათვის აწარმოებს. ასეთი პირები გადანაწილდებიან უმუშევართა ან მოსახლეობის იმ კატეგორიაში, რომელიც სამუშაო ძალად არ მოიაზრება. ახალი სტანდარტის დანერგვის გამო აუცილებელი გახდა ისტორიული მონაცემების გადაანგარიშება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უზრუნველყო 2010 წლიდან არსებული მონაცემების განახლება.

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს უმუშევრობის დონე 0.9 პპ-ით გაიზარდა და 18.5% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ პერიოდში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 3.2%-ით შემცირდა და 1,523.7 მლნ ადამიანი შეადგინა.

უმუშევრობის დონე საქართველოში - %-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### ექსპორტი და იმპორტი


შემცირებული საგარეო მოთხოვნის ფონზე, 2020 წელს საქონლის ექსპორტმა 3 342.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ის ქვეყნებსა (45.2%; წლიური -8.0 პპ) და ევროკავშირზე (21.5%; წლიური -0.3 პპ).

პანდემიის ფარგლებში დაწესებულმა შეზღუდვებმა არსებითად შეასუსტა შიდა მოთხოვნაც. 2020 წელს საქონლის იმპორტმა 8 005.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15.9%-ით ნაკლებია. იმპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ის ქვეყნებსა (29.9%; წლიური 3.0 პპ) და ევროკავშირზე (24.0%; წლიური -1.6 პპ).

### ტურიზმი

2020 წლის პირველ კვარტალში დაწყებული კოვიდ-19-ის პანდემიის ნეგატიური ეფექტი ყველაზე მტკივნეულად ტურიზმის სექტორზე აისახა. 2020 წელს ტურისტების წლიური რაოდენობა 78.6%-ით შემცირდა და 1,089 ათასი შეადგინა. ტურისტთა ნაკადის არსებითი შემცირების შედეგად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 83.4%-ით შემცირდა და 541.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქართველოში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საქართველოს ეროვნული ბანკი

### ფულადი გზავნილები

2020 წელს ფულადი გზავნილების შემოდინება წლიურად 8.8%-ით (153 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა და 1,886 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წილი – 19.3% რუსეთზე მოდის (364 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 5.4 პპ-ით შემცირებას), მეორე ადგილი – 15.8%-ით უჭირავს იტალიას (298 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 2.0 პპ-ით ზრდას), რომელსაც 11.6%-ით მოსდევს საბერძნეთი (219 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 0.5 პპ-ით ზრდას), აშშ 11.6%-ით (218 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 1.3 პპ-ით ზრდას) და ისრაელი 8.3%-ით (157 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წილის წლიურად 1.1 პპ-ით შემცირებას).

ფულადი გზავნილების შემოდინება საქართველოში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით 2020 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ 616.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 52.9%-ით ნაკლებია 2019 წლის დაზუსტებულ მონაცემებთან შედარებით.

წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს განხორციელებული FDI-ის ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ფინანსურ სექტორზე – 64.9%, რომელსაც მოსდევდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობა – 16.4%-ით და უძრავი ქონება 11.6%-ით.

FDI საქართველოში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**მიმდინარე ანგარიში**

კოვიდ-19-ის გლობალური პანდემიის პირობებში შემცირებული საგარეო მოთხოვნისა და შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვალობაზე, 2020 წლის პირველი სამი კვარტალის წინასწარი მონაცემებით გაურესებელია მიმდინარე ანგარიშის (CA) ბალანსი, მაშინ როცა ბოლო წლები CA-ის ბალანსის სტაბილური გაუმჯობესებით ხასიათდებოდა. 2020 წელს CA-ის დეფიციტმა 1,961,678 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც კვარტალური მშპ-ის 12.4 %-ია.

CA-ის დეფიციტი მშპ- სთან მიმართებაში საქართველოში - %-ში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**გაცვლითი კურსები და უცხოური ვალუტის რეზერვები**

2020 წლის ბოლოს 2019 წლის ბოლოსთან შედარებით ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 14.3%-ით და ევროს მიმართ 25.4%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქული ლირის მიმართ 7.4%-ით და რუსული რუბლის მიმართ 5.2%-ით გამყარდა.

2020 წელს 2019 წელთან შედარებით ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 10.3%-ით და ევროსთან მიმართებით 12.6%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქული ლირის მიმართ 10.3%-ით და რუსული რუბლის მიმართ 1.1%-ით გამყარდა.

2020 წელს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით NEER-სა და REER-ის შემცირებაში აისახა. 2020 წლის დეკემბერში, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით NEER-ი - 5.6%-ით, ხოლო REER-ი 7.4%-ით შემცირდა.

2020 წლის განმავლობაში ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებით არსებითი გაუფასურების გამო მიმდინარე ინფლაციის ზრდის შესაკავებლად სებ-მა მარტიდან დეკემბრის ჩათვლით 873 მლნ აშშ დოლარი გაყიდა და უცხოური ვალუტის რეზერვების რაოდენობამ 3,700 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ბიუჯეტის დეფიციტი და სამთავრობო ვალი მშპ-ის მიმართ**

კოვიდ-19-ის პანდემიის ნეგატიური შედეგი უარყოფითად აისახა ბიუჯეტის პარამეტრებზე და წინასწარი მონაცემებით 2020 წელს ბიუჯეტის დეფიციტი (IMF-ის პროგრამის მიხედვით) მშპ-ის 9.1%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მაასტრიხტის კრიტერიუმების მიხედვით რეკომენდებულ 3%-იან ლიმიტს და 7 პპ-ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

წინასწარი მონაცემებით 2020 წელს სამთავრობო ვალის მშპ-სთან შეფარდება 59.9%, შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 19.5 პპ-ით მეტია და თითქმის გაუტოლდა მაასტრიხტის კრიტერიუმების მიხედვით რეკომენდებულ 60%-იან ლიმიტს.

**საკრედიტო ბაზარი**

საკრედიტო ბაზარი განიმარტება, როგორც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ რეზიდენტ შინამეურნეობებზე 100 ათასი ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 5 წლის დაფარვის ვადით გაცემული სესხების პორტფელი და ხელშეკრულებები.

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, კომერციული ბანკების პორტფელი 6.89%-ით (386.3 მლნ ლარი) გაიზარდა და 5,991 მლნ ლარი შეადგინა. ანალოგიურ პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი გაიზარდა 4.87%-ით (55 მლნ ლარი) და 1,184 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საკრედიტო ბაზრის ჯამური ზომა გაიზარდა 6.55%-ით (441.3 მლნ ლარი) და 7.175 მლნ ლარი შეადგინა.

2020 წელს 2019 წელთან შედარებით სასესხო კონტრაქტების ბაზარი შემცირდა 2.5%-ით (85.2 ათასი) და 3.27 მლნ კონტრაქტი შეადგინა. კომერციული ბანკების კონტრაქტები შემცირდა 1.47%-ით (39.1 ათასი) და 2.61 მლნ კონტრაქტი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო კონტრაქტები კი 6.51%-ით (46.1 ათასი) შემცირდა და 662.4 ათასი სასესხო კონტრაქტი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

### საერთაშორისო რეიტინგები

#### S&P Global Ratings

##### S&P გლობალური რეიტინგი

კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური მაკროეკონომიკური ტენდენციები და მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი აისახა „სტანდარტ ენდ ფუარსის“ საკრედიტო რეიტინგშიც, რომელშიც საქართველოს პერსპექტივის შეფასება პოზიტიურიდან ნეგატიურად შეიცვალა, ხოლო სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად დარჩა BB დონეზე. უარყოფითი პერსპექტივა ასახავს საქართველოს რისკს, უზრუნველყოს სათანადო უცხოური ვალუტის შემოდინება ტურიზმის სექტორის სწრაფი აღდგენის დაბალი შანსებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ არსებული ბუნდოვანების ფონზე.



##### მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგი

2020 წლის მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგის მიხედვით, რომელიც 2019 წლის მონაცემებს ეფუძნება, საქართველო კვლავ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას და 190 ქვეყანას შორის 7-ე ადგილი უკავია (2019 წლის რეიტინგის მიხედვით საქართველოს 6-ე ადგილი ეკავა).

#### 2021 წლის მაკროეკონომიკური პროგნოზები

S&P-ის 2021 წლის 26 თებერვლის ანგარიშის მიხედვით, 2021 წლისათვის საქართველოს მშპ-ის ზრდის პროგნოზი 4%-ია, სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) ზრდის პროგნოზი - 4%, მიმდინარე ანგარიშის მშპ-სთან ფარდობა იქნება 12.7%, ბიუჯეტების ბალანსის მშპ-სთან ფარდობა იქნება 7.6%, ხოლო მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობა - 69.6%.

Fitch-ის რეიტინგის 2021 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2021 წლისათვის საქართველოს მშპ-ის ზრდის პროგნოზი 4.3%-ია, ბიუჯეტების ბალანსის მშპ-სთან ფარდობის პროგნოზი

8%-ია, ხოლო მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის პროგნოზი - 60.4%.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის თებერვალში გაკეთებული პროგნოზების მიხედვით, 2021 წელს მშპ-ის ზრდა 4%, ინფლაცია - 3.9%, ხოლო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8% იქნება.

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2021 წლისთვის პროგნოზირებულია მშპ-ის 4.3%-ით და ინფლაციის 2.5%-ით ზრდა, ბიუჯეტის ბალანსის მშპ-სთან ფარდობის პროგნოზი 7.6%-ია, ხოლო მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობა 60.1% იქნება.



### ბიზნესმოდელი

კრისტალი არის საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩაბმულობის ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებლებს უწევს სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებას და მათი განვითარების პლატფორმის როლს ასრულებს. ჩვენი კონკურენტული უპირატესობაა მომხმარებელზე ფოკუსირებული ბიზნესმოდელი, რომელიც მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების განვითარებას ორიენტირებულია.

კრისტალი მომხმარებელს მომსახურებას უწევს ფილიალებისა და ციფრული არხების საშუალებით. 2020 წლის ბოლოსათვის კრისტალი საქართველოს უმეტეს ნაწილში 50 ფილიალით არის წარმოდგენილი. ამასთან, ჩვენი ელექტრონული კომერციის/გარე განვითარებისა და ონლაინ-საკრედიტო პლატფორმები კვლავ აგრძელებს ახალი მომხმარებლების მოზიდვას ონლაინარხების მეშვეობით.

ჩვენი საკრედიტო მიმართულება პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს როგორც საცალო, ისე ბიზნესმომხმარებლებს კრისტალთან ურთიერთობა განსაკუთრებული გამოცდილებაა მომხმარებელთათვის, რადგან იგი იღებს მათთვის კომფორტულ და ინოვაციურ მიკროსაფინანსო გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს ღრმად პერსონიზებულ კონსულტირებას და აქვს ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც მათ განვითარებას ემსახურება.

ჩვენი არასაკრედიტო მიმართულება მოიცავს საოპერაციო პროდუქტების ფართო სპექტრს, მათ შორის, ანგარიშსწორებას, ფულის გადარიცხვას, ვალუტის გადაცვლას, დაზღვევას და მათთან დაკავშირებულ საოპერაციო მომსახურებას.

კრისტალის დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია, რადგან დაფინანსება ძირითადად უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან შემოდის, თუმცა, ადგილობრივი კომერციული ბანკებიც დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. კრისტალმა განავითარა დაფინანსების ისეთი ალტერნატიული წყაროებიც, როგორებიცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი პროდუქტების, შიდა სისტემების, პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას, პერსონალის უზრუნველყოფას, ასევე კორპორაციული კულტურის განვითარებას პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. კომპანია დადებითი რეპუტაციით სარგებლობს მომხმარებელთან, დამფინანსებლებთან, მარეგულირებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ინტეგრირებული ანგარიში



## კორპორაციული სტრატეგია

ჩვენი სტრატეგიაა გავხდეთ საქართველოში აგრო, მიკრო და მცირე მენარმეებზე ფოკუსირებული საუკეთესო ბანკი, ყველა დაინტერესებული მხარისათვის უფრო მეტი ღირებულების შექმნისა და ჩვენი საქმიანობის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. ჩვენი სტრატეგიაა გავზარდოთ და გავაფართოოთ ჩვენი „ნოუ ჰაუ“ და გავხდეთ მომხმარებლებზე ფოკუსირებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული ინსტიტუტი. ჩვენი სტრატეგია მუდმივად იცვლება და იხვეწება იმ ახალი გამოწვევების დასაძლევად და ახალი შესაძლებლობების გამოსაყენებლად, რომლებიც ბაზარზე იჩენს თავს.

ზრდისა და განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, 2021-2022 წელს კრისტალი გეგმავს განაცხადის შეტანას კომერციული საბანკო ლიცენზიის მისაღებად. ბანკის შესაფერისი ინსტიტუციური სიმნიფის, გეოგრაფიული დაფარვის, მომხმარებლებისა და თანამშრომელთა რაოდენობის მიღწევის შემდეგ, კრისტალი კონკურენციას უწევს საბანკო დანებსებულებებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც ზომით მას დიდად არ ჩამორჩება. თუმცა, კრის-

ტალის კონკურენტული შესაძლებლობები ბანკებთან შედარებით შეზღუდულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით და დადგენილი ნორმატიული მოთხოვნებით. კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზია კრისტალს მისცემს საშუალებას უკეთ უზრუნველყოს თავისი მისიის შესრულება, რადგან კომპანიას მიეცემა შესაძლებლობა ერთი მხრივ, დაფინანსების წყაროების ეფექტიანი დივერსიფიკაცისა, რითაც დაფინანსების ხარჯებს უფრო პროგნოზირებადს გახდის, მიაწოდებს მომხმარებლებს ისეთ მოსახერხებელ პროდუქტებს, როგორებიცაა მიმდინარე/შემნახველი საბანკო ანგარიშები და ანაბრები და, მეორე მხრივ, მცირე ბიზნესის სეგმენტში დაფინანსების ზრდისა.

კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ კრისტალი კვლავ მომხმარებელთა იმავე სეგმენტს მოემსახურება, მაგრამ უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმიდან და, ამასთანავე, ყველა დაინტერესებული მხარისთვის შექმნის უფრო მეტ ღირებულებას.

## კორპორაციული სტრატეგია



### საოპერაციო მიზნები

ჩვენი კორპორაციული სტრატეგიის განხორციელება დამოკიდებულია იმ საოპერაციო მიზნების შეუფერხებელ და დროულ შესრულებაზე, რომლებიც ჩვენს საწარმოო ერთეულებსა და დეპარტამენტებში განაწილებული წლიური სტრატეგიული ეტაპების საფუძველია. ეს ძირითადი მიზნებია:


- ◀ კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღება
- ◀ ავტომატიზებული საბანკო სისტემის დანერგვა
- ◀ საკრედიტო პორტფელის გაფართოება
- ◀ არასაკრედიტო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდა
- ◀ ბიზნესპროცესების დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია
- ◀ ბრენდის განმტკიცება და მომხმარებელთა კმაყოფილების გაუმჯობესება
- ◀ კადრების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების სისტემების გაუმჯობესება
- ◀ რისკების მართვის გაუმჯობესება
- ◀ გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის, აგრეთვე მისი კვლევის გაუმჯობესება
- ◀ მონაცემთა მართვისა და ანალიზის გაუმჯობესება.

კრისტალის ღირებულების შექმნის მოდელი

კრისტალი არის საქართველოში მიკრო და მცირე მენარმეებისა და ფერმერების განვითარების პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სიღარიბის აღმოფხვრას მენარმეობის ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით მდგრადი ხელშეწყობის გზით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კრისტალის ღირებულების შექმნის მოდელი, რომელიც ასახავს, თუ როგორ ვაღწევთ შედეგებს ჩვენი საქმიანობით, რომელიც პროდუქტებს/რესურსებს, მომსახურების არხებსა და მომხმარებელთა სეგმენტებს მოიცავს, ვითვალისწინებთ რა 3P-ის პრინციპს (ადამიანები (P-people), პლანეტა/გარემო (P-planet) და მოგება (P-profit)). წინამდებარე გაერთიანებულ ანგარიშში ჩვენ შევიმუშავებთ მითითებული შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას. დაბოლოს, ხსენებული შედეგების გავლენა ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების ექვსი მიზნის მიღწევას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მიკრო და მცირე მენარმეებსა და მცირე ფერმერებს მთელი საქართველოს მასშტაბით ბიზნესის პოტენციალის გაცნობიერებაში, ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. როგორც სოციალურად აქტიური მოთამაშე, კრისტალი მომხმარებელს სთავაზობს პასუხისმგებლიან, ინოვაციურ და მწვანე ფინანსურ გადაწყვეტილებებს, კლიენტთა ეკონომიკური წარმატებისთვის მნიშვნელოვან გამოცდილებასთან ერთად.



\*მომავალი პროდუქტები და სეგმენტები

შედეგები 2020 წელს



მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში შეტანილი წვლილი 2020 წელს



1 სიღარიბის აღმოფხვრა სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველგან



პროგრესი 2020 წელს

2020 წელს, კრისტალი მოემსახურა 112,000 მომხმარებელს, მათ შორის 54% მიკრომენარმესა და ფერმერს.

ჩვენ ვგეგმავთ გავზარდოთ იმ სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც ვუნვეთ მომსახურებას და ამავე დროს დავრჩეთ გადახდისუნარიანი მსესხებელთა დაბალშემოსავლიან სამიზნე სექტორში.

ჩვენ მნიშვნელოვან წინსვლას მივაღწიეთ საბანკო ლიცენზიის მიღების საკითხთან დაკავშირებით, რაც კრისტალს შესაძლებლობას მისცემს ყველა მომხმარებელს შესთავაზოს ფინანსური ჩაბმულობის მომსახურება.

კრისტალმა დანერგა ახალი არაფინანსური მომსახურებები, მათ შორის, ბიზნესკონსულტაციები, მენტორობა და ტექნოლოგიური გადამწყვეტები, რომელთა მიზანი იყო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობის ზრდა.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და თეთრი სახლის „ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის ინიციატივის“ (W-GDP) მხარდაჭერით, ჩვენ შევუდეთ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ქსელის – Buzz Georgia-ს შექმნას.

შუალედური მიზნები

2025 წელს კრისტალი გეგმავს მიაღწიოს 145,000 ოჯახამდე, რაც მოსახლეობის 25%-ს შეადგენს. ჩვენი მომსახურებები დაეხმარება ამ ოჯახებს თავი დააღწიონ სიღარიბეს ეკონომიკური პროდუქტიულობის გაუმჯობესების გზით. ეს მიიღწევა ფინანსური ჩაბმულობის, კრიტიკული უნარ-ჩვევებისა და ქსელების ხელმისაწვდომობის გზით. საკუთარ მომხმარებლებს, განსაკუთრებით ქალებს, ახალგაზრდებსა და სხვა განსაკუთრებულ ჯგუფებს კრისტალი სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური და არაფინანსური მომსახურებების ნაკრებს, ასევე უზრუნველყოფს მათ წვდომას ტექნოლოგიურ აპლიკაციებსა და ბაზრებთან.

კრისტალის ათასობით წარმატებული მომხმარებელი არაპირდაპირ შეასრულებს მისაბაძი მაგალითის როლს საზოგადოების სხვა წევრებისთვის, თუ როგორ დაეძლიათ სიღარიბე და გავხდეთ ეკონომიკურად წარმატებული.



4 ხარისხიანი განათლება ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის



პროგრესი 2020 წელს

შპს „კრისტალ კონსალტინგმა“ შეიმუშავა ბიზნესკონსულტაციისა და მენტორობის სერვისები მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებიც წარმატებით მიიღო 74 მომხმარებელმა.

კრისტალის ფონდთან თანამშრომლობით, USAID-ისა და W-GDP-ის დაფინანსებით, კრისტალი 1400 ახალგაზრდას მოემსახურა ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის მეშვეობით.

69 მონაწილემ მიიღო დაფინანსება კრისტალის მიკროინვესტიციების ფონდიდან.

500 ქალმა მიიღო მონაწილეობა სოციალური უნარების გამომუშავების პროგრამაში Buzz Georgia-ს ფარგლებში.

2020 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის ტრენინგი ჩატარდა 2684 მონაწილეს.

შუალედური მიზნები

კრისტალი უზრუნველყოფს უწყვეტი სწავლის შესაძლებლობას ინოვაციური საკონსულტაციო პლატფორმის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ონლაინსწავლების, მენტორობისა და ქსელური თანამშრომლობის შესაძლებლობებს; ამ ყველაფრის მიზანია ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ ეკონომიკური წარმატებისათვის კრიტიკული ცოდნა, ინფორმაცია და უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევები.

გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულების ფარგლებში კრისტალი მხარს უჭერს სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას ახალგაზრდებსა და ქალებში, რაც ხელს უწყობს დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესებას.

სტრატეგიული ანგარიში





**5** გენდერული თანასწორობა

**გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება**

**შუალედური მიზნები**

კრისტალი შედის იმ ქართული კომპანიების ხუთეულში, რომლებმაც ხელი შეუწყო ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას (WEPs). კრისტალის ადამიანური რესურსები და ადამიანებთან დაკავშირებული წესები და პროცედურები უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას კომპანიის ფარგლებში; რომლის თანამშრომელთა 52%-ს ქალები შეადგენენ (დაახლოებით 500 თანამშრომელი). ამასთან, ჩვენ მხარს ვუჭერთ ლიდერული უნარების ჩამოყალიბებას თანამშრომელ ქალთა შორის სხვადასხვა აქტივობების, მათ შორის სწავლების, სემინარების, სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო და სხვა მექანიზმების მეშვეობით.

მომხმარებელ ქალებზე მორგებული სპეციალური სერვისების (ფინანსური, არაფინანსური) მეშვეობით, კრისტალი უმნიშვნელოვანეს გავლენას მოახდენს ქალთა ეკონომიკურ მონაწილეობასა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე.

**პროგრესი 2020 წელს**

თანამშრომელთა 66.7 %-ს ქალები შეადგენენ.

კრისტალს შემუშავებული აქვს სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო მექანიზმი.

მომხმარებელთა 60%-ს ქალები შეადგენენ.

კრისტალის ქალთა გაძლიერების პროგრამის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ქალთა სწავლების პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს 107 ქალი თანამშრომელი დანიშნულა კრისტალში.



**7** ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია

**ხელმისაწვდომი, საიმიდო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა**

**შუალედური მიზნები**

2026 წლისთვის კრისტალის მწვანე სესხების პორტფელი 50 მლნ ლარს შეადგენს, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ჩვენი ოჯახების ენერგოეფექტიანობაზე და დადებითად აისახება კლიმატის ცვლილების თავიდან აცილებაზე და სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებაზე.

გარდა ამის, 2025 წლისათვის ჩვენ შევადგასებთ კრისტალის გავლენას ნახშირბადის გაფრქვევასთან მიმართებით, შევამცირებთ გაფრქვევას სამუშაო ადგილზე და მოვახდენთ იმ ნარჩენი გაფრქვევის კომპენსირებას, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია. კრისტალი ასევე შეიტანს წვლილს კლიმატურ ცვლილებასთან ბრძოლის საკითხებში და გახდება ნახშირბადნიეტრალური, იზრუნებს რა განვითარებად საზოგადოებებსა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე.

**პროგრესი 2020 წელს**

მწვანე პორტფელმა შეადგინა 10.7 მლნ ლარი;

ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერჯიის პროდუქტების უმრავლესობა ენერგოეფექტიანობის მიზანს ემსახურება. ამასთან, კრისტალის მიერ მზის ენერჯიის სისტემების გამოყენების ნახალისებამ შეადგინა 17,165 ლარი.

განხორციელდა ყველა მოსამზადებელი სამუშაო ხეტყის გაჩეხვის საწინააღმდეგო მასშტაბური პროექტების დასაწყებად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელმძღვანელობით და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით, კლიმატის მწვანე ფონდის დაფინანსებით.

კრისტალი წარმატებით აფასებს CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევის შემცირებას და მისი მიზანია შეაფასოს ნახშირორჟანგის გაფრქვევაზე მისი მთლიანი გავლენა, რათა განსაზღვროს წლიური მიზნები და გახდეს ნახშირბადნიეტრალური 2025 წლისთვის.



**8** ღირსეული სამუშაო აკონომიკური ზრდა

**სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის**

**შუალედური მიზნები**

კრისტალის ფინანსური ჩაბმულობის სერვისები მომხმარებლებს სთავაზობს ცოდნასა და ინვესტიციებს უფრო მეტი პროდუქტიულობის მისაღწევად; აღსანიშნავია, რომ კრისტალი ორიენტირებულია მაღალი ღირებულების შემქმნელ და ინტენსიური დასაქმების დარგებზე.

ჩვენი მომსახურებები ძირითადად ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობასა და მხარდაჭერაზე, რაც ხელს უწყობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას.

კრისტალისთვის ახალგაზრდები მომხმარებელთა მნიშვნელოვან სეგმენტია. მათზე ამჟამად ფოკუსირებულია ჩვენი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა – YES Georgia, რაც ახალგაზრდებისთვის კომერციული შეთავაზების წინაპირობაა; ეს ახალგაზრდების ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

დაბოლოს, ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით, ტურიზმი კრისტალის ერთ-ერთი მაღალპრიორიტეტული სექტორია. ამასთან, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ მდგრად პრაქტიკაზე, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, ხელს უწყობს ადგილობრივ კულტურას.

**პროგრესი 2020 წელს**

საკრედიტო პორტფელის 54% მიემართა პროდუქტიულ სესხებზე, მათ შორის SME (22%), აგრო (17%) და მიკრო-ბიზნეს სესხები (15%).

ახალგაზრდებს (35 წელს ქვემოთ) უჭირავთ სესხების 30% და სასესხო პორტფელის 23.8%.

ოჯახის წევრების დასაქმების გარდა, არ არსებობს სამუშაო ადგილების შექმნის მყარი მტკიცებულება, თუმცა, კრისტალის მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური და არაფინანსური სერვისების მიწოდებას სწრაფად მზარდი საწარმოებისათვის, რომლებიც გახდებიან ახალი და ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

2020 წელს ტურიზმის ინდუსტრიამ ყველაზე მძიმე დარტყმა განიცადა კოვიდ-19-ის გამო, თუმცა, კრისტალმა მსესხებლებს სესხის გადახდის 3-თვიანი მორატორიუმი შესთავაზა, რასაც სესხების რესტრუქტურირაცია მოჰყვა.

ამ რთულ ბიზნეს სიტუაციაში, კრისტალმა სრულად შეინარჩუნა პერსონალი და არ შეამცირა ხელფასები. მეტიც, შენარჩუნდა ყველა ის სარგებელი, რაც თანამშრომლებს პანდემიის პერიოდამდე ქონდათ.

მომხმარებლის 47%, რომელიც სარგებლობს პროდუქტიული სესხებით ამბობს, რომ მათ გაუმჯობესდათ წარმოება, ხოლო 29% ამბობს, რომ მათ გაზარდეს მოგება.



**10** მემორიკაული უთანასწორობა

**უთანასწორობის შემცირება ქვეყნაპირ და ქვეყნებს შორის**

**შუალედური მიზნები**

ჩვენი სამიზნე მომხმარებლები ყველაზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის 40 პროცენტს შორის არიან. ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ მათ გაუმკლავდნენ დაუცველ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და გახდნენ უფრო მდგრადები. ეს მიიღწევა მათი სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერით, რითაც იზრდება შემოსავლის დონე და უმჯობესდება ოჯახის კეთილდღეობა.

დიასპორასთან დაკავშირებული აქტივობების მეშვეობით, კრისტალი მხოლოდ ფულადი გზავნილების ღირებულებას კი არ ამცირებს (ძირითადად, ვალუტის გაცვლის ინტენსივობის გაუმჯობესება), არამედ ასევე უწყობს ხელს მრავალი ქართველი ეკონომიკური მიგრანტის მთლიან ფინანსურ ჩაბმულობას. შესაბამისად, ეს ინვესტ ქართველ მიგრანტთა ოჯახების ეკონომიკური მდგრადობის გაზრდას.

**პროგრესი 2020 წელს**

არსებული მომსახურებების შეთავაზება ხდება ეკონომიკურ მიგრანტთა (საქართველოში მცხოვრები) ოჯახებისათვის, მათ შორის, ფულადი გზავნილების, ვალუტის გადაცვლის სერვისებისა და სესხების სახით რეგულარული ფულადი გზავნილების არსებობის შემთხვევაში. ეს შეთავაზება კიდევ უფრო გაფართოვდება საბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ.

სტრატეგიული ანგარიში



# ბიზნესის ძირითადი შედეგები

## ბიზნესის ძირითადი შედეგები



### ძირითადი ბიზნესსიახლეები

წლის დასაწყისში ბიზნესმა დიდი ძალისხმევა მოახდინა პანდემიით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრას. მომხმარებლების მხარდაჭერის მიზნით გამოყენებულ იქნა სესხების გადავადების ინსტრუმენტი, რითაც კომპანიის მიერ გადავადდა 124 ათასზე მეტი სესხი.

პანდემიის საწყის ეტაპზე, მომხმარებლის მხარდაჭერისა და სპეციალური შეთავაზებების შექმნის მიზნით, განხორციელდა მომხმარებლების რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოიკითხა 1,100 მომხმარებელი. კომპანიამ, გააანალიზა რა მომხმარებლების საჭიროებები და გამოხმაურება, შეიმუშავა პოსტკრიზისული დაკრედიტების პროგრამა, რომელიც, ერთი მხრივ, მოერგო არსებული მომხმარებლების მოთხოვნებს და, მეორე მხრივ, სრულად ითვალისწინებდა ბაზარზე არსებულ ბიზნესაქტივობებსა და კონკრეტული სეგმენტების საჭიროებებს. შესაბამისად, მომხმარებლებისათვის შეთავაზებულ იქნა პოსტკრიზისული გარემოს დასაძლევად მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მეთოდები.

პანდემიის პერიოდში კომპანიამ უზრუნველყო მომსახურებათა დიგიტალიზაცია და მომხმარებლებს ძირითადი პროდუქტები ონლაინმომსახურებით მიანოდა. გარდა ამისა, დადგენილი რეგულაციების და მოთხოვნების სრული დაცვით, შეუფერხებლად ფუნქციონირებდა საფილიალო ქსელი.

- ◀ მიმდინარე წელს ყველა მომხმარებლისათვის შეთავაზებულ იქნა სიცოცხლის დაზღვევა, რომლის ფარგლებში 14,000 მომხმარებელზე მეტი დაეზღვია როგორც სამომხმარებლო, ისე ბიზნესმიმართულად.
- ◀ აგრომიმართულებით კომპანია ჩაება მოსავლის დაზღვევის სახელმწიფო პროექტში, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა ათასზე მეტი სადაზღვევო პოლისი.
- ◀ შეიცვალა მიკროდაკრედიტების პროცესები და მიდგომები, რამაც საშუალება მოგვცა წლის განმავლობაში 45,000 მომხმარებელზე მეტს მოვმსახურებოდა.
- ◀ საფილიალო ქსელს თბილისის მასშტაბით დაემატა ახალი კონცეფციის 3 სერვისცენტრი, რომლების საშუალებითაც მომხმარებლებს გახანგრძლივებულ სამუშაო საათებში არასაკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ.

## რეზინანსირება

2020 წელს კრისტალმა 9 ოპერაცია განახორციელა ისეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორებიც არის: ევროპის საინვესტიციო ბანკი, BlueOrchard, Microvest, Incofin, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროპული ფონდი, Symbiotics. დაფინანსების სრული ოდენობა 33 მლნ აშშ დოლარს აღემატებოდა. ოპერაციების 78% პირველ კვარტალში განხორციელდა, რადგან კომპანია ფინკა ბანკის შექმნას გეგმავდა. თუმცა, შემდეგ შექმნის პროცესი შეწყდა პანდემიის შედეგად შექმნილი გაურკვევლობის გამო. განხორციელდა თითქმის 60 მლნ ლარის ლიკვიდობის უზრუნველყოფა, რითაც გარანტირებულად უზრუნველყოფილ იქნა პანდემიის პერიოდში ლიკვიდობის ნებისმიერი რისკისაგან დაზღვევა.

კრედიტზე მოთხოვნის შემცირებისა და განახლებული, შემცირებული ზრდის მიზნების გამო, 2020 წლის მეორე ნახევარში კრისტალმა არ განახორციელა პრიორიტეტული სავალო ოპერაცია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რადგან ადგილობრივი მექანიზმები საკმარისი იყო დაფინანსების საჭიროებების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ სებ-მა განახორციელა მიკროსაფინანსო სექტორის ფართომასშტაბიანი მხარდაჭერა და კრისტალმა ისარგებლა 68 მლნ დოლარის ოდენობის სვოპის ხაზითა და სარეზერვო საკრედიტო სახსრებით.

### 2020 წელს განხორციელებული ტრანზაქციები



## ტექნიკური დახმარება

კრისტალი აქტიურად მონაწილეობს ტექნიკური დახმარების განხორციელებაში და ეძებს ახალ შესაძლებლობებს კომპანიის სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით განვითარებისათვის. მთლიანად 2020 წლის განმავლობაში კრისტალმა შეძლო 660 ათასზე მეტი ლარის მოზიდვა ტექნიკური დახმარების საშუალებით; კრისტალის თანხობრივი მონაწილეობა 24%-ს შეადგენდა. ამ კუთხით კრისტალი თანამშრომლობდა ისეთ ინსტიტუტებთან, როგორებიც არის: ფონდი მწვანე ზრდისათვის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროპული ფონდი, Proparco და ევროპის საინვესტიციო ბანკი, ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლა, ინკოფინ იმ და DWM, რომლებთან ერთადაც განახორციელა პროექტები: „ტექნიკური მექანიზმი მდგრადობის ჩარჩოს გასაძლიერებლად“, „მწვანე

პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მარკეტინგული კამპანია“, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ავტომატიზაცია“, ტრენინგ კურსები თანამშრომელთათვის, კრისტალ ლიზინგის პოლიტიკისა და პროცედურების განვითარება“ და სხვა პროექტები. ერთერთი აღსანიშნავი პროექტია 100 მეწარმის მხარდაჭერა ელ-კომერციის ბაზრის პლატფორმის აკიდო მიმართულებით, მდგრადობის სტრატეგიაში ტრენინგებისა და მენეჯმენტის ქოუჩინგთან ერთად. ინკოფინ იმ-ს დახმარებით კრისტალმა კომპანია Cerise-თან ერთად ჩაატარა ყოვლისმომცველი სოციალური ზემოქმედების კვლევა. DWM-მა, BFA-სთან პარტნიორობით უზრუნველყო პანდემიის კოვიდ-19 გავლენის გამოძევა ჩვენს მომხმარებლებზე.



# ლიზინგის ბიზნესი

## ლიზინგის ბიზნესი



### 2020 წლის დახასიათება

მსოფლიოს ყველა ინდუსტრიის მსგავსად, 2020 წელი გამოწვევებით სავსე იყო ლიზინგის ინდუსტრიისათვისაც. წლის განმავლობაში მკვეთრად დაეცა ბიზნესის თავდაჯერებულობისა და სამეწარმეო ინიციატივების ინდექსი, რამაც პირდაპირ შეამცირა კაპიტალური ხარჯების განვების ინიციატივები. მიმდინარე ეკონომიკური სიტუაცია და კოვიდ-19-ის გავლენა მძიმედ აისახა ქვეყანაში მოქმედი ლიზინგის ოპერატორების პორტფელზე. ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით, ლიზინგის პორტფელი 23%-ის ფარგლებში შემცირდა.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა კრისტალის ლიზინგის ბაზარზე შესვლა. მიუხედავად სირთულეებისა და გამოწვევისა, კრისტალ ლიზინგი ეფექტიანად ადაპტირდა ახალ გარემოში, მეტიც, კრისტალის სამეთვალყურეო საბჭომ მილო გადანყვეტილება „კრისტალ ლიზინგის“ შვილობილ კომპანიად ჩამოყალიბების შესახებ.

აღნიშნულ ფონზე „კრისტალ ლიზინგმა“ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, კერძოდ:

- ◀ დაკომპლექტდა გუნდი;
- ◀ დაინერგა ქართულ ბაზარზე ადაპტირებული და ლიზინგის ოპერაციებზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფა;
- ◀ დაიწყო მოლაპარაკება პოტენციურ დამფინანსებლებსა და ადგილობრივ მომწოდებლებთან, ერთი მხრივ, პარტნიორობისა და, მეორე მხრივ, გაყიდვების არხებისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით;

◀ „კრისტალ ლიზინგი“ ჩაება სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ და მხარდაჭერილ ეკონომიკური განვითარების პროგრამებში, რომლებსაც სსიპ „ანარმოე საქართველოში“ და სოფლის განვითარების სააგენტო მართავენ;

◀ ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ინვესტირების ფრანგული კორპორაციის – „პროპარკოს“ ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, შემუშავდა 20-მდე პროცედურული დოკუმენტი და 15-ზე მეტი კონტრაქტის ტიპი, ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები, შეიქმნა პროდუქტები, რაც „კრისტალ ლიზინგს“ ბაზარზე არსებული ფინანსური ლიზინგის პროდუქტებთან გათანაბრების შესაძლებლობას აძლევს;

### 2021 წლის მნიშვნელოვანი გეგმები:

- ◀ საოპერაციო და გაყიდვების ეფექტიანობის ხარჯზე 2021 წლის ბოლო კვარტლისათვის ოპერაციული break-even-ის მიღწევა და პორტფელის 13 მლნ ლარამდე ზრდა;
- ◀ გაყიდვის არხების (ციფრული არხები, სს „კრისტალის“ საფილიალო ქსელი, მომწოდებლების გაყიდვის წერტილები, ბროკერები, ბიზნესასოციაციები) გაძლიერება;
- ◀ სექტორული და აქტივების დივერსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის სექტორში კონცენტრაციის გაუმჯობესება;
- ◀ აქტიური თანამშრომლობა აქტივების ადგილობრივ მომწოდებლებთან ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის მიმართულებით და შესაბამისი ფინანსური რესურსების მოზიდვა;

საბაზარული ანგარიში

# მთავარი რისკები და განუსაზღვრელობა

## მთავარი რისკები და განუსაზღვრელობა

### რისკის მართვის ძირითადი პრინციპები

რისკის მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის არსებობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე იქნება დაფუძნებული, კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია.

რისკის მართვის სისტემა უნდა პასუხობდეს ძირითად პრინციპებს (ISO 31000):

### რისკის მართვის ჩარჩო და პროცესი

- რისკების მართვის ჩარჩო განსაზღვრავს იმ ძირითად მიდგომებს, რომლებიც საჭიროა კომპანიაში რისკების მართვის საერთო მართვის სისტემაში ინტეგრირებისათვის.
- რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია კომპანიაში, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მისი ინტეგრაციის ხარისხზე. აღნიშნული მოითხოვს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი სამეთვალყურეო საბჭოსა და უმაღლესი მენეჯმენტის მხარდაჭერას.
- მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას გაუწევს მმართველ გუნდს რისკების მართვის კულტურის მყარად დანერგვის პროცესში, მუდმივად გამოხატავს მხარდაჭერას რისკების მართვის კუთხით და ხაზგასმით აღნიშნავს რისკების მართვის პროცესის მნიშვნელოვნებას.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად სამეთვალყურეო საბჭო მმართველ გუნდთან ერთად უზრუნველყოფს (ISO 31000):

- კომპანიის მიზნების განსაზღვრისას რისკების ადეკვატურად გათვალისწინებას;
- რისკების ბოლომდე გაცნობიერებას, მათი მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას და, შესაბამისად, კომპანიაში ფუნქციონირებას;
- კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში რისკების მართვის სისტემის ყველა დონეზე ინტეგრირებას;
- კომპანიის მართვის ყველა დონეზე რისკების მართვისათვის საჭირო ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას და გადანაწილებას;

კომპანია იყოს

### დროულად ინფორმირებული

არსებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ;

### მოახდინოს

შესაძლო დანაკარგების პრევენცია და ინციდენტის ეფექტიანი მართვა;

### შეუმნას

გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის სანდო საფუძვლები;

### გაზარდოს

მიზნების მიღწევის ალბათობა;

### გააუმჯობესოს

კონტროლი, ოპერაციული ეფექტიანობა და ორგანიზაციის მდგრადობა;

### შესაბამისობაში


იყოს მარეგულირებლის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან;

### რისკის

მართვის სისტემა თანხვედრაში უნდა იყოს კომპანიის ბიზნესსტრატეგიასთან და ხელს უწყობდეს კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

- რისკების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის იმ პერსონალის მიერ წარმართვას, რომელსაც აქვს სათანადო გამოცდილება, ფლობს საჭირო ტექნიკურ უნარ-ჩვევებს და აქვს წვდომა ყველა საჭირო რესურსთან;
- რისკების მართვისათვის პასუხისმგებელი პერსონალის ბიზნესმიმართულებისაგან დამოუკიდებლობას;
- კომპანიაში რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსების არსებობას (რომელიც მოიცავს, მაგრამარ შემოიფარგლება ადამიანური რესურსებით, რისკების მართვისათვის საჭირო დოკუმენტაციის, ინფორმაციისა და სისტემების, პროცესების, მეთოდებისა და საშუალებების ხელმისაწვდომობით, პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების შესაძლებლობით).

**რისკების მართვის ჩარჩო:**



- 1) ვალდებულებასა და მანდატს – სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მენეჯმენტს განუსაზღვროს შესაბამისი მანდატი და რისკის მართვის პოლიტიკა, უზრუნველყოს კომპანიის კულტურისა და რისკების მართვის პოლიტიკის ერთმანეთთან შესაბამისობა;
- 2) კომუნიკაციასა და ტრენინგს – აუცილებელია რისკის მართვის მართვის ტოლერანტობა ნათლად არის გაზიარებული როგორც კომპანიის მენეჯმენტთან, ისე კომპანიის შიგნით;
- 3) სტრუქტურასა და ანგარიშვალდებულებას – რისკების მართვის სტრუქტურა ნათლად განსაზღვრავს რისკების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობებსა და შედეგებზე პასუხის-

- მგებლობას. რისკების მართვის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები არიან დამოუკიდებელი, აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და უნარები;
- 4) გადასინჯვასა და გაუმჯობესებას – მნიშვნელოვანია მუდმივად ხდებოდეს რისკების მართვის სისტემის გადასინჯვა და განახლება (როგორც რისკების მართვისათვის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, ისე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ);
- 5) მართვის საინფორმაციო სისტემას – რისკების მართვის სისტემის ყველაზე კრიტიკული ელემენტი. კომპანიას უნდა ჰქონდეს ზუსტი მონაცემები და მონაცემების აღრიცხვის გამართული სისტემა, რათა შეძლოს დადგენა, არის თუ არა რისკის შედეგად დამდგარი ზარალი რისკის მართვის სისტემის ფარგლებში.

**რისკის მართვის დონეები**

რისკის მართვის სისტემას შეადგენს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც მოიცავს რისკის მართვის ინსტრუმენტებისა და პროცესების ერთობლიობას.

კომპანიაში რისკის მართვის სისტემა ეფუძნება სამი დონის დაცვის მექანიზმს (BCBS 2011):

I დონე	პროცესის მფლობელი – პასუხისმგებელია პროცესში არსებული რისკის მართვისათვის კომპანიაში დანერგილი რისკის მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით;
II დონე	რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული – პასუხისმგებელია რისკის მართვის სისტემის შემუშავებისა და განახლებისათვის, რისკის მართვის ინსტრუმენტების დანერგვისათვის;
III დონე	შიდა აუდიტის სამსახური – პასუხისმგებელია რისკის მართვის პროცესის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის;

**რისკის მართვის სტრუქტურა**

რისკის მართვის პროცესში ჩაბმული უნდა იყოს კომპანიის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის განმტკიცებას.

კომპანიაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობები, რაც საჭიროა რისკის მართვის პროცესის ეფექტიანობისათვის.

<b>სამეთვალყურეო საბჭო</b>	განსაზღვრავს კომპანიის ძირითად მიზნებს, ამტკიცებს რისკების მართვის მართვის მართვის პოლიტიკას. მასთან არსებული რისკების კომიტეტის მეშვეობით, რეგულარულად განიხილავს ძირითად (key) რისკებს და აუდიტის კომიტეტის მეშვეობით აფასებს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობას.
<b>სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტი</b>	რისკების, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის (ALCO) და შიდა აუდიტის კომიტეტების მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული შიდა და გარე რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების განწვევა იმ სისტემებისა და პროცესების შესახებ, რომლებიც უნდა იქნეს ინტეგრირებული ან გაუმჯობესებული რისკების მართვისა და შემცირების მიზნით.
<b>შიდა აუდიტის სამსახური</b>	კომპანიის შიდა აუდიტი უზრუნველყოფს რისკების მართვის სისტემის მონიტორინგს, აფასებს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობასა და მდგრადობას.
<b>უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი</b>	უზრუნველყოფს კომპანიაში სისტემების დანერგვას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და რისკების მართვის ლიმიტების შესრულებისათვის.
<b>გენერალური რისკის მართვის კომიტეტი</b>	განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარდგენილ შესრულებული საქმიანობის ანგარიშებს და მომზადებულ რეკომენდაციებს. უფლებამოსილია წარმოადგინოს რეკომენდაციების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებები რისკების შემცირების და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ.
<b>რისკების მართვის სტრუქტურული ერთეულები</b>	(რისკების მართვის სამსახური, შესაბამისობისა და ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის სამსახური) – აფასებენ არსებული კონტროლის მექანიზმების ხარისხსა და შესაბამისობას კომპანიის რისკის მართვის მართვისა და აახლებენ რისკის მართვის ინსტრუმენტებს (მმართველი გუნდის ვალიდაციის შემდეგ).
<b>ოპერაციების მართვის სტრუქტურული ერთეული</b>	მართავს და აკონტროლებს რისკებს ოპერაციულ დონეზე, ჩაბმულია რისკების მართვის ინსტრუმენტების შეფასებასა და განახლებაში.

სტრატეგიული ანგარიში

### რისკის შემცირება და ქარბი კონცენტრაციების მართვა

კომპანიაში რისკის შემცირება და ქარბი კონცენტრაციების მართვა ხდება რისკის მართვის ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებიც პერიოდულად გადაისინჯება და ახლდება.

კომპანიაში დანერგულია რისკის შემცირების შემდეგი ძირითადი ინსტრუმენტები:

- ◀ საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის დადგენილი ლიმიტები, მათ შორის, ბიზნესსექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით. პორტფელის 10-20%-ზე მეტი არ უნდა იყოს რომელიმე ქვესექტორში;
- ◀ კომპანია ყოველთვიურად აანალიზებს პორტფელის რისკებს. ანალიზის მიზანია პორტფელში რისკის კონცენტრაციის გამოვლენა და მისი შემცირების მიზნით ქმედითი ღონისძიებების რეკომენდაცია;
- ◀ საკრედიტო კომიტეტი, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა, გადაწყვეტილებას იღებს მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად, პოტენციური რისკებისა და პროექტის ეფექტიანობის გათვალისწინებით;
- ◀ საკრედიტო სკორინგი და საკრედიტო რეიტინგი, რომლებიც შესაბამის პასუხისმგებელ პირს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება;
- ◀ კომპანიის ხედავ კონკრეტული განაცხადის დაფინანსების გადაწყვეტილების პროცესში ითვალისწინებს მომხმარებლის დაცვას ზედმეტი ფინანსური ტვირთისაგან, კრისტალის მიერ გაცემული სესხი უნდა ემსახურებოდეს მომხმარებლის ბიზნესის განვითარებას ან მისი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ეფექტი აუცილებლად დადებითი უნდა იყოს;
- ◀ სესხზე გრაფიკის მიხედვით შენატანის შემცირება შემოსავლების შემცირების მიხედვით, სესხის რესტრუქტურირება, რაც ეფექტიანი ინსტრუმენტია და მომხმარებელს უმსუბუქებს საკრედიტო ტვირთს;
- ◀ სტრესტესტების ფორმატი, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელი რისკის შეფასებას მოვლენების სხვადასხვა სავარაუდო სცენარით განვითარების შემთხვევაში;
- ◀ საკრედიტო მოსალოდნელი ზარალის რეზერვების საერთაშორისო სტანდარტის სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება IFRS-9 მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას;
- ◀ რისკშემთხვევების ბაზა, რომლის ანალიზის შედეგად ვლინდება მომეტებული რისკის ოპერაციები და შემდეგ ანალიზდება კონტროლის სუსტი მხარეები;
- ◀ თაღლითობის იდენტიფიკაციისა და მართვის გამართული პოლიტიკა;
- ◀ ბიზნესუნწყვეტობის გამართული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილურობასა და მდგრადობას სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციაში, მათ შორის – პანდემიისას;
- ◀ საკრედიტო და საკასო ოპერაციების კონტროლის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ოპერაციების „პოსტფაქტუმ“ მონიტორინგისათვის; მისი მიზანია დაშვებული ხარვეზების აღმოჩენა და რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი რეაგირებისათვის;
- ◀ ინფორმაციული უსაფრთხოების გამართული სისტემა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ISO 27001 სტანდარტს;
- ◀ ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიაში არსებობს AML პოლიტიკა, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს იმ ტრანზაქციების განხორციელებას, რომლებიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას;
- ◀ კომპანიას ინტეგრირებული აქვს ძირითად სისტემაში სანქცირებულ პირთა სია – Accuity, რომლის მეშვეობითაც გამოირიცხება საქმიან ურთიერთობაში შესვლა სანქცირებულ პირებთან;
- ◀ კომპანიის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური მუდმივად ახორციელებს საკანონმდებლო სიახლეების საფუძველზე შიდა მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების განახლებას;

### 2020 წლის ძირითადი მიღწევები, რისკების მართვის გაუმჯობესება

- ◀ კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში კომპანიამ სრულად უზრუნველყო ძირითადი და კრიტიკული ბიზნეს-პროცესების უწყვეტობა, იხელმძღვანელა რა საამისოდ არსებული პოლიტიკით.
- ◀ პანდემიის შედეგების საკრედიტო პორტფელზე ზეგავლენის შესამცირებლად, კომპანიამ შექმნა საკრედიტო პორტფელის მართვის გამართული მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა:
  - ◀ მომხმარებელთა საჭიროების წინასწარ კვლევას მათ შემოსავლებზე პანდემიის ზეგავლენის დადგენის მიზნით;
  - ◀ შემოსავლების მოკლე ვადებში აღდგენის მიზნით, დამატებითი ფინანსური სახსრების შეთავაზება რეფინანსირების ინსტრუმენტის გამოყენებით; მოკლე ვადის ინსტრუმენტი გამოიყენებოდა მხოლოდ ჯანსაღი ბიზნესის შემთხვევაში, რომელიც საბრუნავი საშუალებების მოკლევადიან ნაკლებობას განიცდიდა;
  - ◀ პანდემიის ზეგავლენის გათვალისწინებით განახლდა სესხის განხილვისა და დამტკიცების პროცესი;
- ◀ ეროვნული ბანკის რეკომენდაციის მიხედვით, პანდემიის პერიოდში კომპანიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით დამატებით დარეზერვდა პორტფელის 5%.
- ◀ გარე აუდიტის რეკომენდაციის მიხედვით შემუშავდა მეთოდოლოგია, რომელიც ასახავს პანდემიის ზეგავლენას IFRS-9 სტანდარტით გათვალისწინებულ სასესხო დანაკარგების რეზერვის მოცულობაზე.
- ◀ გაუმჯობესდა საკასო და სალომბარდო ოპერაციების კონტროლის მიმართულება.
- ◀ შეიქმნა პორტფელის სტრესტესტის გამართული მეთოდოლოგია.
- ◀ შესაბამისობის რისკების შემცირების მიზნით, შესაბამისობის განყოფილება ჩაბმულია ყველა ახალი შიდა პროცედურისა და პროდუქტის შეფასების/დანერგვის პროცესში;
- ◀ ALCO კომიტეტის გამართული პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ლიკვიდობის, საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო რისკების, კაპიტალთან დაკავშირებული რისკების მართვას;
- ◀ დივერსიფიცირებული შიდა და საერთაშორისო საკრედიტო პარტნიორები, რაც უზრუნველყოფს ინსტრუმენტის უწყვეტი დაფინანსების და ლიკვიდურობის საბრუნავად;
- ◀ სავალუტო რისკის მართვისა და შემცირების მიზნით გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- ◀ უცხოური ვალუტის ღია პოზიციის ადეკვატური ლიმიტი, რომელიც არ ცდება 10%-ს, უზრუნველყოფს სავალუტო რისკის მოსალოდნელი დანაკარგების მინიმუმზავას;
- ◀ კაპიტალის რისკის ანალიზისა და მართვის გამართული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლის დაცვას როგორც ეროვნული ბანკის მოთხოვნის, ისე საერთაშორისო გამსესხებლების კოვენანტების მიხედვით;
- ◀ საპროცენტო რისკის ანალიზისა და მართვის გამართული მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ცვალებადი განაკვეთის ნასესხები საშუალებების დადგენილი ლიმიტის შენარჩუნებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადაფასების შედეგად მოსალოდნელი სხვაობის მინიმუმზავა და კომპანიის კაპიტალზე ნაკლები ზეგავლენა

სტრატეგიული ანგარიში





## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

### კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური ხედვისა და სტრატეგიის დანერგვა

საქართველოში სიღარიბის მდგრადი დაძლევის მიზნის ერთგულება ჩვენი კომპანიის მდგრადი განვითარების ხედვის მთავარი აქცენტი.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას: კრისტალი ჩაბმულია გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) პროექტებში, ბიზნესკონსულტაციებსა და მწვანე დაფინანსებაში, ითვალისწინებს გარემოსდაცვით და სოციალურ მოსაზრებებს ბიზნესმოდელში, კორპორაციულ სტრატეგიაში, საოპერაციო პოლიტიკასა და ფინანსურ პრაქტიკაში.

ჩვენი კორპორაციული სტრატეგია ეფუძნება სამი ძირითად ასპექტისაკენ სწრაფვას. ეს ასპექტებია: ადამიანები, პლანეტა და მოგება. ჩვენ ვისწრაფვით თანაბრად ვიზრუნოთ ჩვენი დაინტერესებული მხარეების, ჩვენი პლანეტისა და ჩვენი მომხმარებლების ფინანსური მდგრადობის საჭიროებებზე, რათა ცალკე აღებულმა არცერთმა ფაქტორმა საფრთხე არ შეუქმნას დანარჩენ ორს.

ჩვენი სტრატეგიული მიზნები ისეა ორგანიზებული ამ სამი ძირითადი ასპექტის ირგვლივ, რომ თითოეული კომპონენტისათვის ინდივიდუალური მიზანი იყოს განსაზღვრული. ამ მიზნებთან მიმართებით განხორციელებული წინსვლა ფასდება გარემოს დაცვის, სოციალური და კორპორაციული მართვის (ESG) ზემოქმედების შეფასების სისტემის გამოყენებით.

## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

### მდგრადობის სტანდარტები

#### მდგრადი განვითარების მიზნები

მიგვაჩნია, რომ მდგრადი განვითარების მიზნებს კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მისიისა და ღირებულებების თვალსაზრისით და 6 მიზანი პირდაპირ გვაქვს ინტეგრირებული ჩვენს კორპორაციულ სტრატეგიაში.

#### გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპები (WEPS)

კრისტალი ერთ-ერთი პირველი კომპანია იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა ქალთა გაძლიერების პრინციპებს (WEPS).

#### გაეროს გლობალური შეთანხმება

ჩვენ, შეთანხმების მონაწილეები, 2011 წლიდან ვართ და ყოველ წელს ვამზადებთ ანგარიშს ქალთა გაძლიერების პრინციპებსა (WEPS) და მდგრადი განვითარების მიზნებში (SDGs) შეტანილი წვლილის შესახებ.

#### საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) სტანდარტები

IFC-ის სტანდარტებს მივიჩნევთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ოქროს სტანდარტად და მიზნად ვისახავთ, რომ ჩვენი ქვევა დაეფუძნოს იმ ღირებულებებს, რომლებსაც აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს.

#### გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი

კრისტალი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის თაობაზე და ასრულებს პრინციპს „შესაბამისობა ან გამჟღავნება“, რათა უზრუნველყოს კორპორაციული მართვის ღია შეფასება.

#### სმარტკამპანიის (SMART Campaign) მომხმარებლის დაცვის პრინციპები

მომხმარებელთა დაცვის ქცევის წახალისების მიზნით, ჩვენ საჯაროდ ვუჭერთ მხარს სმარტკამპანიის პრინციპებს, რაც წახალისებს კომპანიებს, რომლებიც აამოქმედებენ მომხმარებელთა დაცვის შესაბამისი დარგის მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს. ჩვენი მკაცრი პროცედურები განსაზღვრულია მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკით, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

### კორპორაციული ღირებულებები

#### პასუხისმგებლობა

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მომხმარებელთა ქარბაღლიანობის თავიდან აცილებას. ჩვენ ვართ ღიდერები ბაზარზე სასესხო პირობების გამჭვირვალობისადმი მიდგომით.

#### გამჭვირვალობა

კრისტალის ურთიერთობა მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან, დამფინანსებლებსა და ფართო საზოგადოებასთან ეფუძნება გამჭვირვალობას, პათიოსნებასა და სამართლიანობას.

#### პარტნიორობა

გრძელვადიანი, თანასწორუფლებიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული ურთიერთობა.

#### ხელმისაწვდომობა

პროდუქტის დიზაინი, დაკრედიტების სტანდარტები, დისტრიბუციის არხები და მომხმარებელთა ინტერფეისი, ეს ყველაფერი ფოკუსირებულია ხელმისაწვდომობაზე.

#### ინოვაცია

ინოვაცია და მუდმივი გაუმჯობესება კრისტალისა და ჩვენი თანამშრომლების მუშაობის წესია. ჩვენ გვიყვარს ტექნოლოგიები და წავახალისებთ შემოქმედებით მიდგომას. ცხოვრება ინოვაციაა!

სტრატეგიული ანგარიში

### სოციალური გავლენის კვლევა

#### მომხმარებელთა აღქმის კვლევა – კოვიდ-19-ის გავლენა და მომხმარებელთა სურვილები

2020 წლის აპრილში კრისტალმა ჩაატარა კვლევა მომხმარებელთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და, შესაბამისად, მათ გადახდისუნარიანობაზე კრიზისის გავლენის შესასწავლად. აღნიშნული კვლევა პროაქტიულად იქნა გამოყენებული კრისტალზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის განსაზღვრისა და კრიზისის შედეგების დასაძლევად ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების დადგენის მიზნით.

2020 წელს კრისტალის სოციალური გავლენის შეფასების მიზნით, ჩვენ ჩავატარეთ ყოველწლიური სოციალური გავლენის კვლევა. სრული ინფორმაცია მოცემულია დანართში 3.

#### ამჟამად არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტები და დაფინანსებული საქმიანობა



#### მწვანე დაფინანსება

მწვანე დაფინანსების ინიციატივა კრისტალმა 2017 წელს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიზნობრივი ინვესტიციების ფარგლებში დაიწყო. ინიციატივის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნახშირბადის მცირე რაოდენობით გამოყოფის თვალსაზრისით არსებული ალტერნატიული საშუალებების შესახებ და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ამ ინიციატივის ძირითადი კომპონენტია კრისტალის მწვანე პროდუქტების ხაზის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. ცნობიერების ამაღლების კამპანიები ყურადღებას ამახვილებს კრისტალის მომხმარებლების მიერ მწვანე და ენერგოეფექტიანი ალტერნატივების დანერგვაზე, მათი გამოყენების ფინანსური და გარემოსდაცვითი სარგებლის პოპულარიზაციაზე.

საბოლოოდ, მწვანე პროდუქტების შემუშავებით და მწვანე ალტერნატივების პორტფელის წილის ზრდით, კრისტალი მიზნად ისახავს შეამციროს გამონაბოლქვი და უარყოფითი გავლენა გარემოზე.

ენერგოეფექტიანობის ცენტრის დახმარებითა და „ენერჯის დაზოგვისა და CO<sub>2</sub>-ის კალკულატორის“ შემუშავებით, კომპანიამ შეძლო თავისი გარემოსდაცვითი გავლენის გამოთვლა:



უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ერთი ხე შთანთქავს დაახლოებით 25 კგ CO<sub>2</sub>-ს წელიწადში. შესაბამისად, კრისტალს შეუძლია „განაცხადოს“, რომ აკეთებს 16,400 ხის საქმეს.



#### კრისტალის ახალგაზრდა მენარმეთა სკოლა | USAID YES-Georgia

USAID-ის პროგრამასთან „ახალგაზრდებისა და ქალთა მენარმეთის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, კრისტალმა 2016 წელს გახსნა ახალგაზრდა მენარმეთა სკოლა, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების გაძლიერება და მათი ეკონომიკური და სამეწარმეო უნარჩვევების განვითარება. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს 16-იდან 28 წლამდე ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, რათა მათ შეძლონ საკუთარი ფინანსების სათანადო მართვა.

მცირე/საშუალო საწარმოს შექმნა და თვითდასაქმება არ არის მარტივი ამოცანა. ამიტომაც ჩვენ ხშირად ვხვდებით მოტივაციის ნაკლებობას სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას. ამ გამოწვევის დასაძლევად აუცილებელია დამწყები საწარმოს ნახალისება და სრულყოფილი მიდგომის გამოყენება, კერძოდ: მენარმეთის დასაწყებად აუცილებელი ცოდნისა და კონსულტაციის მიღება და გადაცემა, წარმატებული სტარტაპების ისტორიების გაზიარება და მოტივაციის ამაღლება, დაფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მენტორინგის სერვისები. ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის პროგრამის მიზანია უპასუხოს გაეროს მდგრადი განვითარების მე-8 მიზნით განსაზღვრულ გამოწვევებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2 – USAID Yes-Georgia რიცხვებში.

#### ონლაინშაკათონი „კოვიდ-19-ის შეკავება“

კოვიდ-19-ის გლობალური ეპიდემიის შესაკავებლად და მისი სოციალური და ეკონომიკური გავლენის შესარბილებლად, კრისტალმა გააძლიერა ახალგაზრდა მენარმეთა ონლაინმხარდაჭერა და წამოიწყო ბიზნესიდეების ონლაინშაკათონი USAID Yes-Georgia-სა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით.

ონლაინშაკათონში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდებს უნდა წარედგინათ ბიზნესპროექტი კოვიდ-19-ით გამოწვეული უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ეფექტიანი და სწრაფი გადაწყვეტისათვის. კრისტალმა შაკათონის ფარგლებში განსახორციელებელი ბიზნესპროექტების დასაფინანსებლად **50,000 ლარი გამოყო.**



სტრატეგიული ანგარიში



სპონსორობა

მომავლის აგროგამონვევა 2020

კრისტალის მომხმარებლების დიდი ნაწილი ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სექტორისა და მენარმეობის ხელშეწყობა კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია. ამიტომაც, „მომავლის აგროგამონვევა“, რომლის მიზანია ინოვაციებისა და სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მენარმეობის აღმოჩენა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების, აგროტურიზმისა და მსოფლიო სოფლის მეურნეობის სფეროებში, განისაზღვრა, როგორც მხარდასაჭერი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება.

სოციალური პლატფორმა „1ანობა“

კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის შედეგების შემცირების მიზნით, სოციალური პლატფორმა „1ანობის“ მეშვეობით კრისტალმა ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა 50 იძულებით გადაადგილებულ პირსა და სოციალურად დაუცველ ოჯახს – აღნიშნულ პირებსა და ოჯახებს გადაეცა (20 ოჯახი თბილისში; 30 ოჯახი გორში) თანხა.

სტიპენდიები „კინგზ ჯორჯიას“ გამარჯვებულთათვის

კრისტალმა, როგორც ქალთა გაძლიერების (მდგრადი განვითარების მიზანი N5) და ხარისხიანი განათლების აქტიურმა მხარდამჭერმა (მდგრადი განვითარების მიზანი N4), დააფინანსა „კინგზ ჯორჯიას“ საზაფხულო სკოლის ორი გამარჯვებული გოგონა. გოგონებმა ინგლისური ენის უროვნულ ოლიმპიადაში გაიმარჯვეს.



ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა მენტორობა და თანამშრომლობა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან

კრისტალი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელმაც საქართველოში ხელი მოაწერა და მხარი დაუჭირა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპებს“ (WEPEs). 2018 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციასა (UN Women) და სიდასთან თანამშრომლობით კრისტალმა შეიმუშავა „2018-2019 წლების ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სამოქმედო გეგმა“.

კომპანიის მიერ შეიმუშავებული „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, კრისტალში დასაქმებული ქალებისათვის 2019 წელს ასევე დანერგა თანამშრომელ ქალთა მენტორობის პროგრამა. ამ პროექტის მიზანი იყო კრისტალში დასაქმებული ქალების ეკონომიკური გაძლიერება პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარების, აგრეთვე, კარიერული და პირადი განვითარების ხელშეწყობის გზით. შედეგად, 2020 წელს კრისტალი მხარში ამოუდგა კომპანიაში დასაქმებულ 107 ქალს.

კრისტალმა ასევე მიზნად დაისახა საუკეთესო ღირებულების შექმნა და უფრო დიდი სოციალური გავლენის მოხდენა ქალთა თემების ფინანსური დახმარების გზით. ფონდ „ტასოსთან“ თანამშრომლობით კრისტალმა განახორციელა სამი სათემო პროექტი: ცაგერის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის მიწოდება უზრუნველყოფილ იქნა 25 ოჯახისთვის; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გულიანში გაიხსნა სამედიცინო ამბულატორია, რაჭაში, სოფელ პიპილეთში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა.



Buzz Georgia

Buzz Georgia არის USAID-ის პროგრამის „ახალგაზრდებისა და ქალთა მენარმეობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID YES-Georgia) შემადგენელი ნაწილი. იგი ხორციელდება ფონდი კრისტალის მიერ კრისტალთან (თანადამფინანსებელი) და ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციასთან – სს „კრისტალ კონსალტინგთან“ თანამშრომლობით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის კომერციული კონსულტაციის კომპონენტს. 2020 წლის აპრილში Buzz Georgia-მ დაიწყო კრისტალის მიერ შერჩეული 20 ტრენერის (საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სესხის ოფიცრები) ონლაინსწავლება (TOT). ფაქტობრივი სწავლება ქალებთან ჩატარდა 2020 წლის ივნისში. პანდემიის რეგულაციების გამო, ყველა სწავლება ჩატარდა დისტანციურად.

Buzz Georgia-სთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხებისა და დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2 – „USAID Yes-Georgia“ რიცხვებში.

სტრატეგიული ანგარიში



### ჯილდოები და აღიარება

#### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ჯილდო 2020

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონკურსში კრისტალმა მიიღო „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის 2020 წლის ჯილდო – ბიზნესი მდგრადი განვითარებისათვის“, გახდა რა გამარჯვებული კატეგორიაში „მდგრადი მოხმარება და წარმოება (მდგრადი განვითარების მიზანი N12) მწვანე დაფინანსების პროექტისათვის“.

*მწვანე დაფინანსება კრისტალში 2017 წლიდან მოქმედებს. პროექტის მიზანია მომხმარებლებისათვის მწვანე ალტერნატივების შეთავაზებით ხელი შეუწყოს ეკომეგობრულ გადაწყვეტილებებს და ამგვარად გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირებაში მიიღოს მონაწილეობა.*

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოს ჟიურის წევრებს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები წარმოადგენდნენ, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი მდგრადი განვითარების მიზნების წინსვლის საკითხებში. „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო 2020 – ბიზნესი მდგრადი განვითარებისათვის“, რომელსაც კომპანია უკვე მესამე წელია ფლობს, ქართულ ბიზნესკომპანიებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში განხორციელებული განსაკუთრებული პროექტებისა და ინიციატივებისათვის ენიჭება.



#### „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის 2020“

2016 წელს ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიურ კონკურსს „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს გლობალური კომპაქტის მიერ ჩამოყალიბებული ქალთა გაძლიერების პრინციპების (UN WOMEN WEPS) პოპულარიზებას საქართველოში.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე კონკურსში 200-ზე მეტ კომპანიას აქვს მონაწილეობა მიღებული. გამარჯვებულ კომპანიებს შორის არიან ბანკები, უნივერსიტეტები, სადაზღვევო და სატელეკომუნიკაციო კომპანიები, სასტუმრო და სამშენებლო ინდუსტრიის წარმომადგენლები, ღვინის მწარმოებლები და ტექნოლოგიებისა და ენერჯეტიკის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები.

კრისტალმა პირველი ადგილი აიღო კონკურსში „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის 2020“, რომელიც ორგანიზებული იყო მილენიუმ ფაუნდემის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ბიზნეს ლიდერების ფედერაციისთან „ქალები მომავლისათვის“ პარტნიორობით. კონკურსში საქართველოში მოქმედი ის ბიზნეს-კომპანიები მონაწილეობდნენ, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომელი და კლიენტი ქალების განვითარებასა და გაძლიერებას მათ საქმიანობაში.





## ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

### ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

თითოეულ კრისტალელზე ზრუნვა და მათთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია. შესაბამისად, კრისტალი მუდმივად ზრუნავს ისეთი ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად, რომელშიც კომპანიის ნიჭიერი თანამშრომლები შეძლებენ თავისი უნარების მაქსიმალურად გამოვლენას, მუდმივად და უწყვეტად მიეცემათ როგორც პიროვნული, ისე პროფესიული შესაძლებლობების სრულყოფისა და განვითარების საშუალება.

ქვემოთ მოცემულია სტატისტიკა კრისტალში დასაქმებული პირების შესახებ:

#### კრისტალში დასაქმების ხანგრძლივობა

0-1 წლამდე	11.6%
1-5 წლამდე	59.5%
5-10 წლამდე	24.2%
10 წელზე მეტი	4.7%

#### მამრობითი მდედრობითი

ყველა თანამშრომელი	33.3%	66.7%
უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი	83.0%	17.0%
Senior management	38.0%	62.0%
Mid-level management	67.0%	33.0%


#### თანამშრომლების ასაკი

<20	0.2%
20-30	32.6%
30-40	53.7%
40-50	10.1%
50-60	2.4%
>60	1.0%

#### აყვანილი თანამშრომლების რაოდენობა 2020

სულ	183
ქალი %	78%
მამაკაცი %	22%

#### წლიური ბრუნვა





### თანამშრომელთა მხარდაჭერა პანდემიის პერიოდში

კრისტალს, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიას, შემუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობისა და შრომის უსაფრთხოების გეგმა, რომლის განუყოფელი ნაწილიც არის პანდემიასთან ბრძოლის სცენარი.

სწორედ ამ გეგმის მიხედვით, 2020 წლის თებერვლიდან კომპანიამ დაიწყო ვირუსის (კოვიდ-19) გავრცელებასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან. პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზანი უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და კომპანიის თანამშრომლებისა და მომხმარებლების მაქსიმალურად დაცვა იყო.

- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დისტანციურ მუშაობაზე მაქსიმალურად გადავიდა ყველა ის თანამშრომელი, რომლის პოზიციაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ეს შეეხო როგორც სათავო ოფისს, რომლის თანამშრომლების 95% დისტანციურად მუშაობს, ისე ფილიალებს, იმის გათვალისწინებით, რომ შენარჩუნებულიყო ბიზნესუწყვეტობა, მაგრამ შედარებით უსაფრთხო გამხდარიყო მომსახურების პროცესი. ფილიალებში მინიმუმამდე იქნა დაყვანილი თანამშრომელთა რაოდენობა და დაწესდა ორკვირიანი მორიგეობა. ამას გარდა, შემცირდა თანამშრომელთა სამუშაო საათები.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, გამოვლინდნენ რისკგუფში შემავალი თანამშრომლები და სრულად გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.
- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ქოლცენტრში მომხმარებელთა ნაკადის ზრდის გათვალისწინებით, შესაბამისი მიმართულებების გაძლიერება კომპანიის



- მენეჯმენტმა პრიორიტეტად მიიჩნია და განახორციელა მისი სრული მობილიზება მომხმარებელთათვის საჭირო სრული ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში, დისტანციურად მისაწოდებლად. მომხმარებლების მომსახურებისათვის განკუთვნილ ქოლცენტრში დასაქმებული თანამშრომლები სამუშაოს დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად ასრულებდნენ. დისტანციურად მიმდინარეობდა როგორც შიდა სამუშაო, ისე გადაუდებელი ბიზნესშეხვედრები და გასაუბრებები გამოცხადებულ ვაკანსიებზე.
- სისტემატურად ტარდებოდა ონლაინტრენინგები და სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით, რათა კომპანია სრულად მომზადებული შეხვედროდა კრიზისული პერიოდის გამოწვევებს.
- ოფისებში სისტემატურად ტარდებოდა სადებიზინფექციო სამუშაოები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.
- ყველა თანამშრომელი, რომელიც ფილიალებში მორიგეობით ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, სრულად აღიჭურვა პერსონალური დაცვის ინვენტარით.
- შემუშავდა პანდემიის პერიოდში ოფისში გასათვალისწინებელი წესები და რეკომენდაციები, რომლების დაცვაც თანამშრომლებისა და მომხმარებელთათვის გახდა სავალდებულო. თანამშრომელთა სწორი ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიქმნა საინფორმაციო პორტალი, რომელზეც განთავსდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები და მითითებები ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, საკონტაქტო ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზისა და კომპანიაში გამოყოფილი იმ პასუხისმგებელი პირების შესახებ, რომლებიც მხარდაჭერას უწევდნენ თანამშრომლებს.
- გაიწერა პრევენციული ღონისძიებების სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს და პერიოდულად ზიარდებოდა თანამშრომლებთან.

დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლებისათვის სისტემატურად ტარდება ვებინარები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

**აღსანიშნავია, რომ კრისტალმა, ბიზნესისთვის ამ რთულ პერიოდში სრულად შეინარჩუნა კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ შემცირებულა. გარდა ამისა, შენარჩუნდა ყველა ის სარგებელი, რომელიც კომპანიის თანამშრომლებს საგანგებო რეჟიმზე გადასვლამდე ჰქონდათ.**

### დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას სთავაზობს ყველა თანამშრომელსა და დასაქმების კანდიდატს რასის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ან რომელიმე სხვა განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად. პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შემთხვევებში. ორგანიზაციას მართავენ პროფესიონალი, მოტივირებული და პატიოსანი თანამშრომლები. კომპანია მუდმივად ცდილობს შექნას დასაქმებულთა ჩაბმულობის, მოტივაციის ამაღლებისა და მათი პროფესიონალიზმის ზრდის ახალი შესაძლებლობები.

### ადამიანური რესურსების მართვის პროცესების დიგიტალიზაცია

2019 წელს კომპანიაში დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზაციის სისტემა (HRMS). პროექტის პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა და კომპანია გადავიდა HR-ოპერაციების მართვის სრულიად ახალ სისტემაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის HR-პროცესების ადმინისტრირების ეფექტიანობას და ზოგავს როგორც ფინანსურ, ისე ადამიანურ რესურსს.

### HR ომბუდსმენი

კრისტალში თითოეული თანამშრომლის კეთილდღეობაზე ზრუნვა და საუკეთესო შრომის პირობების შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტია და კომპანია მუდმივად მუშაობს არსებული სისტემის ამ მიმართულებით გაუმჯობესებაზე.

სწორედ ამ მიზნით, კომპანიაში არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა და პროექტი ხორციელდება. ერთ-ერთი ასეთი სიახლე კრისტალში HR-შესაბამისობის მართვის მიმართულების შექმნაა (იგივე HR-ომბუდსმენი), რომლის მიზანია:

- კომპანიაში შრომითი ურთიერთობის თანამედროვე სტანდარტის შექმნა;
- მაღალი შრომითი პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბება;
- თანამშრომელთა შრომითი უფლებების დაცვა;
- თანამშრომელთა უფლებების დასაცავად პროაქტიული ღონისძიებების გატარება;
- საკითხის დასაფიქსირებლად მოქნილი და ხელმისაწვდომი მექანიზმების შექმნა;

HR-ომბუდსმენი არის როგორც კომპანიის, ისე თითოეული კრისტალელის წარმომადგენელი და მათი ინტერესების დამცველი კანონის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კომპანიაში დადგენილი წესების შესაბამისად.

კრისტალი საქართველოში პირველი ორგანიზაციაა, რომელშიც აღნიშნული სისტემა შეიქმნა. ამ გადაწყვეტილებით კომპანია კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ მისი მთავარი საზრუნავი კრისტალელები და მათი უფლებების დაცვაა.

2020 წელს HR-შესაბამისობის მართვის მიმართულებით განხორციელდა ან დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა:

- თანამშრომელთა უფლებათა დაცვის მექანიზმის წესის შემუშავება;
- შრომის ხელშეკრულებასა და შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
- თანამშრომლების პრეტენზიების მოკვლევა/ განხილვა.
- კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა ცნობიერებისა და კომპეტენციების ამაღლების კუთხით განხორციელდა სპეციალური პროექტი „თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები შრომით ურთიერთობებში“. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს ჩაუტარდა თემატური ვებინარები, რომელთა ფარგლებშიც მიენოდათ ინფორმაცია შრომის ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის პირობების, დისციპლინური წარმოების წესის, კომპანიაში დამტკიცებული შიდა წესების შრომით ურთიერთობებზე გავლენის, კომპანიაში არსებული ანტიდისკრიმინაციული და უფლების დაცვის მექანიზმის შესახებ. განხილული თემები აქტიური დისკუსიის ფორმაში მიმდინარეობდა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შრომითი ურთიერთობების გაჯანსაღებას და დაეხმარება თანამშრომლებს თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების უკეთ გაგნობიერებასა და ეფექტიანად შესრულებაში.

სტრატეგია



**კრისტალის აკადემია**

კრისტალის აკადემიის ფარგლებში ხორციელდება კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშეწყობა, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროცესი. პანდემიის მიუხედავად, აკადემიის ფარგლებში მოხდა მთლიანი სასწავლო პროცესის დიგიტალიზაცია და სასწავლო აქტივობების განხორციელება კრისტალის აკადემიის დისტანციური სწავლების პლატფორმის, Microsoft Teams-ისა და Zoom-ის საკომუნიკაციო არხების საშუალებით, რამაც შესაძლებლობა მისცა თანამშრომლებს დაუფლებოდნენ ახალ უნარებს დისტანციურად.

- ▶ პანდემიის პერიოდში დისტანციურ მუშაობაზე გადასული თანამშრომლების მხარდაჭერისათვის შეიქმნა სპეციალური სახელმძღვანელო კომპანიაში დისტანციური მუშაობის მექანიზმის უზრუნველსაყოფად და
- ▶ თანამშრომლების დასახმარებლად დისტანციური მუშაობისათვის აუცილებელი უნარების გამოსამუშავებლად.

გაეროს გლობალური შეთანხმების (UNGC) ქალთა გაძლიერების პრინციპების შესაბამისად, რომლის ერთერთი კომპონენტია თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება დისკრიმინაციის და სექსუალური შევიწროების შესახებ, ომბუდსმენის ოფისის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარდა დისტანციური კურსები, რომელიც დაფუძნებული იყო მოდულურ პრინციპებზე მაღალი და საშუალო დონის მენეჯმენტის ცნობიერების ასამაღლებლად სექსუალური შევიწროების, პრევენციის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

თანამშრომელთა გადასამზადებლად, 2020 წლის განმავლობაში შემუშავდა და განხორციელდა სხვადასხვა სას-

წავლო აქტივობა, რომელთა ფარგლებშიც შემდეგი ტრენინგ აქტივობები ჩატარდა:

აქტივობა	ჯგუფი	თანამშრომელთა რაოდენობა
თემატური ვებინარი	19	1,287
დისტანციური სწავლება	11	950
ტრენინგები (მათ შორის - ონლაინსწავლება)	38	447

**დისტანციური სწავლების პლატფორმა**

თანამშრომელთათვის სწავლების ხელმისაწვდომობისა და მათი მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შეიქმნა კრისტალის აკადემიის დისტანციური სწავლების პლატფორმა (<https://academy.crystal.ge>), რომელიც კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის სასურველ დროსა და ადგილზე ონლაინრეჟიმში გაეცნონ სასწავლო მასალებს, შეასრულონ სხვადასხვა დავალება, ამასთან, დაეუფლონ ახალ ცოდნას და დახვეწონ უნარები. დისტანციური სწავლების პლატფორმაზე წლის განმავლობაში შეიქმნა სხვადასხვა სახის სასწავლო კურსი, სატრენინგო მასალა და ვიდეოტუტორიალი, რამაც უფრო მოსახერხებელი და ეფექტიანი გახადა სასწავლო პროცესი.

პანდემიის პერიოდში პლატფორმამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომპანიაში თანამშრომელთა განვითარების პროცესის უწყვეტად განხორციელებაში.



**სტაჟირება კრისტალში**

უნყვეტი სწავლების შესაძლებლობის შექმნისა და განათლების მხარდაჭერის კუთხით კომპანიაში შეიქმნა სტაჟირების ორეტაპიანი სისტემა (საორიენტაციო და პროფესიული სტაჟირება), რომლის მთავარი მიზანია საფინანსო სექტორში ახალგაზრდების პროფესიული და კარიერული განვითარების წახალისება, ამასთან, საფინანსო სექტორში მუშაობით დაინტერესებული პირებისათვის ღირებული გამოცდილების შექმნის შესაძლებლობის მიცემა.

სტაჟირების გავლა შესაძლებელია კრისტალის ყველა ფილიალში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეგიონებში მყოფი ადამიანებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას. ადგილზე სტაჟირებს ხვდებათ სპეციალურად მომზადებული მენტორები, რომლებიც მათ უზიარებენ შესაბამის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე, უქმნიან სამოტივაციო გარემოს სტაჟირების პერიოდის წარმატებით გასაველეად.

ბიზნესპროცესების უკეთესი აღქმისათვის, სპეციალურად სტაჟირებისათვის შედგენილია პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებული სასწავლო სახელმძღვანელოები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ტესტური გარემო, რაც ხელს უწყობს მოკლე პერიოდში პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებას.

ახალგაზრდების სტაჟირების პროცესში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა უნივერსიტეტსა და პროფესიულ სასწავლებელთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სტუდენტებისთვის შეიქმნა შესაძლებლობა კომპანიის ფარგლებში სანარმოო პრაქტიკის გავლისათვის.

**მიზნების დასახვისა და შედეგების შეფასების სისტემა (GSPA)**

2020 წელს ჩვენ შევიმუშავეთ და დავენერგეთ მიზნების დასახვისა და შედეგების შეფასების სისტემა. ახალი სისტემის დანერგვის მიზანი იყო: (ა) ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი გარემოს შექმნა თანამშრომლებისათვის - მიზნების განსაზღვრის, დაგეგმვისა და საქმიანობის შედეგების მონიტორინგის მიზნით მათი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში და კომპანიის მიზნების შესაბამისად; (ბ) კვარტალური მიზნების დასახვის კულტურის ჩამოყალიბება, რაც სწრაფად ცვალებადი ბიზნესგარემოს პირობებში შესაძლებლობას მისცემს ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს უფრო სწრაფად დასახონ მიზნები/ამოცანები/საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები. ეს უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას და კომერციული შედეგების გაუმჯობესებას; (გ) თითოეული თანამშრომლის მიერ ოპერაციებში/ კომპანიის განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასება და გაზომვა, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის შედეგების უწყვეტ გაუმჯობესებას; (დ) თანამშრომელთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, განვითარების საჭიროებების განსაზღვრა, კარიერული წინსვლის საფუძვლის შექმნა; (ე) საქმიანი კომუნიკაციისა და კონსტრუქციული უკუკავშირის მხარდაჭერა და ხელშეწყობა თანამშრომლებსა და მენეჯერებს შორის; (ვ) საქმიანობის სათანადო მართვის გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის (ხელფასების ზრდა და მოტივაციური სქემები, ფინანსური/ არაფინანსური მოტივატორებისა და კარიერული წინსვლის ჩათვლით), ასევე საქმიანობის მართვის გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა.

სტრატეგიული ანგარიში

ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

შიდა კომუნიკაცია

კრისტალი ერთ-ერთი პირველი კომპანია იყო, რომელმაც კრიზისის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში ეფექტიანად შეძლო თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, პროცესების მართვა და ამასთან, მომხმარებლებისათვის მომსახურების შეუფერხებლად მიწოდება.

ამ პერიოდში თანამშრომლებს შორის შიდა კორპორაციული კომუნიკაციის გამართულად წარმართვას მენეჯმენტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. ეს შეეხო როგორც საკომუნიკაციო არხების გამართულ ფუნქციონირებას, ისე თანამშრომლებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდებასა და უკუკავშირს. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის თანამშრომლების უმეტესობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ დისტანციურად მუშაობდა, გუნდი სრულად ფლობდა ინფორმაციას კომპანიაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებისა და სიახლეების შესახებ. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა თანამშრომელთა გამოკითხვაში, სადაც გამოკითხულთა 97% თავს ინფორმირებულად, ხოლო 3% ნაწილობრივ ინფორმირებულად თვლიდა.

დისტანციურად მუშაობის პერიოდში კომპანიის მენეჯმენტს თითოეული მიმართულებით უწევდა სხვადასხვა „ტრადიციული“ სამუშაო წესის ადაპტირება იმისათვის, რომ გუნდი მაქსიმალურად ეფექტიანი და პროდუქტიული ყოფილიყო. თუმცა, არსებულმა რეალობამ დაგვანახვა სრულიად ახალი საჭიროებები, ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავების აუცილებლობა, დროის მართვისა და ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებლობა და ა.შ.

კომპანიაში ინტენსიურად მიმდინარეობს შიდა საკომუნიკაციო არხებით ახალი ინფორმაციის გაზიარება, რაც ასევე ხელს უწყობს თანამშრომელთა ინფორმირებას. საბოლოოდ, კომპანიაში Office 365-ის შიდა კომუნიკაციების არხების, სტანდარტების, სისტემებისა და პრაქტიკების დანერგვის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამუშაო პროცესი, შემცირდა და დაიზოგა ადამიანური რესურსი და დრო.

თანამშრომელთა ჩაბმულობა

ფინანსური ჩაბმულობის ორგანიზაცია კრისტალის წარმატების მიღწევის მთავარი დასაყრდენი, სხვა ფაქტორებთან ერთად, აქ დასაქმებული ადამიანები არიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლისა და მისი მიზნების კორპორაციულ ინტერესებთან დაკავშირება. კომპანია მუდმივად ზრუნავს დასაქმებულთათვის საუკეთესო გარემოს შექმნაზე, რომელშიც თითოეულ თანამშრომელს საკუთარი პოტენციალისა და უნარების რეალიზების შესაძლებლობა მიეცემა.

დისტანციურ რეჟიმში მუშაობის პერიოდის, კომუნიკაციის ეფექტიანობის, ბიზნესის უწყვეტობის, ასევე გუნდის და მენეჯმენტის საქმიანობის შესაფასებლად, კომპანიამ გასულ წელს რამდენჯერმე ჩაატარა თანამშრომელთა გამოკითხვა და მხედველობაში მიიღო გამოკითხვის შედეგად მიღებული რჩევები და რეკომენდაციები.

ამას გარდა, საერთო ინტერესების მქონე თანამშრომელთა დაახლოებისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, კომპანიის შიდა სოციალურ ქსელში (YAMMER) შექმნილია სხვადასხვა ტიპის თემატური ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია კომპანიის თითქმის ყველა თანამშრომელი. ჯგუფები დაყოფილია სხვადასხვა თემატიკის მიხედვით და აერთიანებს კონკრეტული ინტერესების მქონე თანამშრომლებს.

თანამშრომლებს შორის ერთმანეთის მიმართ სოციალური პასუხისმგებლობისა და ერთმანეთზე ზრუნვის კიდევ ერთი დასტური იყო კომპანიის შიდა რესურსით შექმნილი სპეციალური პლატფორმა „დამემგზავრე“, რომელიც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს დაემგზავრონ ერთმანეთს საკუთარი ავტომობილებით გადაადგილებისას, შეძლებისდაგვარად აარიდონ თავი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას და ამით ხელი შეუწყონ ვირუსით ინფიცირების რისკის შემცირებას.

ჯანსაღი ცხოვრების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია

ჩვენი კომპანიისათვის პრიორიტეტია ადამიანები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიაში უკვე ტრადიციადია ქვეული შიდა სპორტული ღონისძიებები, ჩემპიონატები, სპორტულ და გამაჯანსაღებელ ცენტრებში ფასდაკლებების შეთავაზება, გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, 2020 წელს მსგავსი აქტივობებისაგან კომპანიამ თავი შეიკავა. თუმცა, ამ მიმართულებით დაგეგმილი არაერთი ღონისძიება და აქტივობა, რომელიც უკვე პროექტების სახით არის განხორციელებული, პანდემიის დასრულებისთანავე განახლდება.



ინოვაციების მართვა





ციფრული პროდუქტები

CrystaOne - შემუშავდა პროექტი ონლაინსაკრედიტო პლატფორმის განვითარების შესახებ. 2020 წლის განმავლობაში საპროექტო ჯგუფმა განავითარა ონლაინპლატფორმა, ციფრული არხის საშუალებით დისტანციურად, ფილიალში ვიზიტის გარეშე, როგორც ახალი, ისე არსებული მომხმარებლის მიერ სესხის და განვადების განაცხადის წარმოდგენის გასამარტივებლად. Crystalone პლატფორმაზე შეიქმნა მომხმარებლის კაბინეტი, სადაც მომხმარებელს აქვს წვდომა მიმდინარე სესხების ინფორმაციაზე და სასესხო ხელშეკრულებებზე, რომლებზეც შეუძლიათ ელექტრონულად ხელმოწერა. კაბინეტის შექმნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მომხმარებლებისათვის პანდემიის პერიოდში გადახდების მასობრივად გადავადებას.

DM-ეროვნული ბანკის განახლებული რეგულაციების მიხედვით მოხდა გადაწყვეტილების მიღების სისტემის განახლება, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვემცირებინა სესხის განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების დრო.

ალტერნატიული გაყიდვები

მიმდინარე წელს გაგრძელდა ინოვაციური პროექტის - ავტოსესხის განვითარება. ავტოსესხის მიმართულებით გაყიდვები ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში ერთი სერვისცენტრიდან. აღსანიშნავია, რომ სერვისცენტრს სრულად შეეხო ორივე ე.წ. „ლოქდაუნი“ და 12 თვის განმავლობაში მთლიანობაში 3 თვეზე მეტი ხნით გაჩერდა. მიუხედავად ამისა, გადაჭარბებით შესრულდა ძირითადი საპროექტო პარამეტრები.

2020 წელს ალტერნატიული გაყიდვებისა და ინოვაციური პროდუქტების სამსახურს განსაკუთრებულად პროდუქტიული წელი ჰქონდა. პანდემიისას კრისტალის ციფრულმა პროდუქტებმა ძალიან ბევრ მომხმარებელს გაუმარტივა ცხოვრება. კრისტალის ონლაინგანვადებამ დიდი აღიარება და პოპულარობა მოიპოვა ონლაინმომხმარებლებს შორის. შედეგად ონლაინგანვადებების პორტფელი გაიზარდა 312%-ით;

ონლაინგანვადებაში კრისტალმა გარდამტეხი უპირატესობა მოიპოვა ბაზარზე და ბაზრის ხუთ ძირითად მონაწილეს შორის 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით ფლობს ბაზრის 12-13%-ს;

მწვანე დაფინანსება

2020 წელს მწვანე პორტფელი 1.3 მლნ ლარით გაიზარდა, შეადგინა რა 10.7 მლნ ლარი და 10,000 მომხმარებელი.

საგანმანათლებლო პროექტი მწვანე სახლი დამტკიცდა კრისტალის ინვესტორის GGF-ის (მწვანე ზრდის ფონდი) ტექნიკური დახმარების ფარგლებში დამტკიცდა. აღნიშნული მოსახლეობაში მწვანე პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

კრისტალი შეუერთდა საქართველოში Green Climate Fund-ის (GCF) ინიცირებულ ფართომასშტაბიან პროექტს - "ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების შესაძლებლობა საქართველოში, ტყის დეგრადაციიდან სათბური გაზების ემისიების შესამცირებლად". კრისტალის როლია ენერგოეფექტიანი შეშის ღუმელებისა და საწვავის ალტერნატიული საშუალებების შესაძენად სესხების მიწოდება, განსაკუთრებით ქალი მომხმარებლებისთვის.



ინფორმაციული ტექნოლოგიები

ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი 2020 წლის მთავარ გამოწვევას - პანდემიას, შეასრულა დასახული მიზნები და განვითარების გეგმა ბიზნესუწყვეტობის კუთხით. კომპანიამ დიგიტალური ტრანსფორმაციის კუთხით საკმაოდ დიდი ცვლილებები განიცადა, შეიცვალა მისი მუშაობის სტილი, მოხდა სისტემებისა და პროცესების ადაპტაცია 2020 წლის ძირითად გამოწვევასთან - პანდემიასთან.

მოკლედროში მოხდა თანამშრომლების დისტანციურ მუშაობაზე გადაყვანა, რამდენიმე დღიანი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ სათავო ოფისის თანამშრომლები აღიჭურვნენ დისტანციური მუშაობის ყველა საჭირო ტექნიკური თუ პროგრამული შესაძლებლობით. კრისტალი იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც სრულფასოვნად გადაერთო დისტანციურ მუშაობაზე. კომპანიამ ბიზნესპროცესების ჩავარდნისა და შეფერხების გარეშე აამუშავა ბიზნესუწყვეტობის გეგმა და ოპერატიულად განახორციელა ტექნიკური სამუშაოები ბიზნესპროცესების პანდემიის გამოწვევებთან მორგების მიზნით.

წარმატებით დანერგვით პროცესებმა, კონტროლმა და გადამწყვეტილებებმა (2019 წელს ISO 27001-ის წარმატებული სერტიფიცირების ფარგლებში) საშუალება მოგვცა დაგვეცვა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების მაღალი დონე, რომელმაც უზრუნველყო პანდემიის პერიოდში თანამშრომლების შეუფერხებელი და უსაფრთხო მუშაობა. ცვლილებები განხორციელდა მომხმარებლებისათვის პანდემიის პირობებში მხარდაჭერისა და მორგების კუთხით. მოხდა სისტემების ადაპტაცია, მომხმარებლებისათვის გადავადებასთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობის პლატფორმის შექმნა, რომელიც ათასობით მომხმარებელმა გამოიყენა.

შეიქმნა დისტანციური გაყიდვების მოდელი, რომლის საშუალებითაც კომპანიის გაყიდვების მიმართულებით მომუშავე თანამშრომლებს მიეცათ დისტანციურად ყველა საჭირო პროგრამული და ტექნიკური აღჭურვილობის, სესხების პლატფორმის, კორპორაციული სატელეფონო პროგრამული უზრუნველყოფის შესაძლებლობა, სასურველი დისტანციური ლოკაციიდან მომხმარებლების მომსახურების და სხვადასხვა ტიპის ოპერაციის განხორციელების, მათ შორის, სესხების დამტკიცების და გაცემის მიზნით.

განხორციელდა სესხების მორატორიუმი, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლებს მიეცათ საშუალება ესარგებლათ შეღავათით – სასესხო შენატანებზე 3 თვემდე ვადით.

პანდემიის გამო პრიორიტეტების შეცვლის მიუხედავად, კომპანიამ დანერგა ახალი გადაწყვეტილებები და სისტემები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა ლიზინგის „ქორ სისტემა“, გზავნილების გადარიცხვის მოდული და შიდა გზავნილის პლატფორმა, SMS-მოდული, განვითარდა და დაიხვეწა სხვა პლატფორმები, გაეშვა სასესხო პლატფორმა მცირე სესხებისათვის, დაიხვეწა გადამწყვეტილებების მიღების DM-მოდული, გაუმჯობესდა და სხვადასხვა ფუნქციონალი დაემატა HRMS და ERP-სისტემებს.

შეიქმნა ციფრული ტრანსფორმაციის 3 წლიანი სტრატეგია, რომელიც მოიცავს კომპანიის გეგმებს, გამოწვევებს, ხედვებსა და ციფრული ტრანსფორმაციისათვის საჭირო ყველა პროექტსა და პროცესს. გაანალიზდა ბიზნესსტრატეგია და მოხდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის ადაპტაცია.

დაიწყო საბანკო ტრანსფორმაციისა და „ქორ სისტემის“ ცვლილების პროექტი. განხორციელდა ბაზარზე არსებული პროდუქტების შესწავლა, ვადების, ბიუჯეტის, და მოთხოვნების ანალიტიკა.

შემუშავდა და დაიხვეწა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემების პროცესები და პროცედურები. ყველა მიმართულებით მოხდა შესაბამისი სტანდარტების გაუმჯობესება და დანერგვა.

რეგულარულად ხდებოდა ძირითადი სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფის, „ქორ სისტემის“ განახლება და რეგულაციებთან მორგება. შემუშავდა და დაინერგა შიდა სისტემების განვითარების ახალი მიდგომები და არქიტექტურა. უზრუნველყოფილ იქნა ახალ არქიტექტურაზე სერვისების ნაწილის მიგრაცია. განხორციელდა ძირითადი ინფრასტრუქტურული ცვლილებები, ოპტიმიზაცია, გადაწყვიტა და შეიცვალა ინფრასტრუქტურა. წარმატებით განხორციელდა რამდენიმე კრიტიკული სისტემის ბიზნესუნყველობის შემუშავება და ტესტირება. დაინერგა ახალი სისტემები, რომლებმაც გააუმჯობესა უსაფრთხოების პროცესები და მონიტორინგი.

**ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციების მიმართულება**

კომპანიის ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდმა შეძლო მინიმალურ პერიოდში ბიზნესუნყველობის გეგმის ამუშავება და შეფერხების გარეშე კომპანიის საჭირო ადამიანური რესურსების ოპერატიულად გადაყვანა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. მომხმარებლების დისტანციურად სრულფასოვანი მომსახურების მიზნით, მოხდა გაყიდვებისა და ფრონტოფისის ნაწილის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადაყვანა.

კომპანიის სტაბილურობის, ყოველდღიური ოპერაციული საქმიანობის, ბიზნესუნყველობის უზრუნველყოფის, ზრდისა და ახალი პროექტების მხარდაჭერის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭირო სერვერული ინფრასტრუქტურა, პროექტები და ახალი პროცესები. განხორციელდა მონაცემთა ცენტრის განახლება-გაუმჯობესება, რამაც უზრუნველყო კომპანიის სტაბილური და მდგრადი განვითარება.

ჩატარდა ბიზნესუნყველობის რამდენიმე ტესტირება კრიტიკული სერვისების უწყვეტობის გეგმის მიხედვით. განახლდა სასერვერო აპარატურა, მოხდა სასერვერო ინფრასტრუქტურის ვირტუალიზაცია და ოპტიმიზაცია.

მიმდინარეობდა აქტიური მონიტორინგი და კონტროლი უსაფრთხოების მიმართულებით, რამაც უზრუნველყო მდგრადი და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციების დაცულობა.

**პროექტების მართვისა და ბიზნესანალიზის მიმართულება**

პროექტის მენეჯმენტი და ბიზნესანალიზის მიმართულება ახორციელებს კომპანიის მასშტაბით ყველა, მათ შორის, IT და არა IT პროექტების მართვასა და ბიზნესანალიტიკას. პროექტების მართვისათვის გამოიყენება Waterfall და Agile მეთოდოლოგიები, რომლებიც შეირჩევა თითოეული პროექტის მოთხოვნის, საქმიანობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. Agile-მეთოდოლოგიით წარმატებით გაუმჯობესდა პროცესები რამდენიმე მიმართულებით და მიღწეულ იქნა დასახული ბიზნესშედეგები.

პროექტების მართვის მცირე გუნდმა შეძლო წლის განმავლობაში წარმატებით დაესრულებინა 30-მდე სხვადასხვა მასშტაბის და მნიშვნელობის პროექტი.

აღსანიშნავია ისეთი წარმატებული წამოწყებები, როგორებიცაა სესხების გადავადებების პროექტი, ლიზინგის „ქორ სისტემის“ დანერგვა, გადარიცხვების მოდული, ახალი SMS-მოდული, ERP და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის (HRMS) დახვეწა და განვითარება. გაუმჯობესდა სესხების პროცესინგისა და სქორინგის სისტემა, გაუმჯობესდა გადაწყვეტილების მართვის სისტემა, პრობლემური სესხების მართვის მოდული და სხვ.

**ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების მიმართულებით მიღწეული შედეგები**

ინფორმაციულმა უსაფრთხოებამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა პანდემიის პირობებში კომპანიის ბიზნესუნყველობის შენარჩუნებაში. ყველა სისტემა, გადაწყვეტილება თუ პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კომპანიაში დაინერგა, ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით იყო სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურად დაცვით მხარდაჭერილი. შენარჩუნდა და გაგრძელდა ISO 27001 სერტიფიცირების ფარგლებში მიღებული სტანდარტების დაცვა, კონტროლი და გადახედვა. პარალელურად მიმდინარეობდა პროცესებისა და პოლიტიკების კონტროლი, გადასინჯვა და გაუმჯობესება. გაზრდილი საფრთხეების მიუხედავად, მიმართულებამ შეძლო დაგეგმილი სამუშაოების, პროექტებისა და კონტროლის მაღალ დონეზე შესრულება.

**პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიმართულება**

პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიმართულებამ დიდი შრომა განია სისტემების დახვეწისა და განვითარებისათვის. პრიორიტეტულად კონცენტრირდა სესხების პლატფორმის, სესხების დამუშავებისა და

პროცესინგის განვითარებაზე, გადაწყვეტილების მიღების სისტემაზე, ციფრული პლატფორმა „აკიდოს“, სხვადასხვა მცირე თუ დიდი სერვისის განვითარებასა და ინტეგრაციაზე.

სესხების პროცესინგის მიმართულებით დაემატა ახალი პროდუქტები, რამაც უზრუნველყო სესხის გაცემის პროცესის ავტომატიზაცია და დაჩქარება. დაემატა ონლაინპლატფორმა მომხმარებლებისათვის, რომლითაც შესაძლებელი გახდა ონლაინსესხის მოთხოვნა, ისტორიის ნახვა და სესხების ელექტრონული ვალიდაცია. აღნიშნული პროდუქტი მომხმარებლებისათვის სასარგებლო განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში გახდა. დაიხვეწა და განვითარდა ბიზნესინტელიჯენსის სისტემა.

პერიოდულად მიმდინარეობდა კრიტიკული სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური და ვერსიული განახლება, რეგულაციებთან მორგება. განხორციელდა არქიტექტურული ცვლილებები და მოხდა სერვისების ნაწილის მიგრაცია.

**პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის კონტროლის მიმართულება**

პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის კონტროლის მიზანია აღმოაჩინოს პროექტებისა და პროგრამული განახლების ხარვეზები და უზრუნველყოს სტაბილური და უხარვეზო სისტემების დაწერვა. სამსახურის მცირე გუნდმა შეძლო ათობით პროექტის ტესტირება და სტაბილიზაცია. შემუშავდა და დაინერგა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პროცესები, რამაც შეამცირა ტესტირებისათვის საჭირო დრო, უზრუნველყო ტესტირების პროცესის გაუმჯობესება, ტესტირების პროცესის სათანადოდ გაანალიზების, დაგეგმვისა და ოპტიმიზაციის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ავტომატური ტესტირების მიმართულებით, კომპანიაში დაინერგა ავტომატური ტესტირების საფუძვლები, ჩატარდა ტრენინგი, რამდენიმე პროექტისთვის გაკეთდა საპილოტე ავტომატიზაცია. სამომავლოდ იგეგმება ავტომატიზაციის გაფართოება და სხვადასხვა პროექტზე მორგება. ტესტირების ავტომატიზაციით შესაძლებელი გახდება ხანგრძლივი და მასშტაბური სამუშაოების ავტომატურ რეჟიმში შესრულება, რაც გააუმჯობესებს ხარისხს, შეამცირებს შესაძლო ხარვეზების რაოდენობასა და პროექტების ტესტირებისათვის საჭირო დროს.

სტრატეგიული ანგარიში



# ანალიტიკური შესაძლებლობები

## ანალიტიკური შესაძლებლობები

გასული წელი მნიშვნელოვანი წინსვლის წელი იყო კრისტალის ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით.

2020 წელი გამოირჩეოდა ბიზნესინტელიჯენსში ახალი ინფორმაციული პროდუქტების დანერგვის თვალსაზრისითაც. კონკრეტულად, დაინერგა ინფორმაციული პროდუქტები:

- ◀ **საკრედიტო პორტფელის ანალიზი GIS რუკის საშუალებით** – ინფორმაციული პროდუქტი, რომელიც შესაძლებელს ხდის სწრაფად და ეფექტიანად შეფასდეს საკრედიტო პორტფელისა და მომხმარებლების გადანაწილება ქვეყნის მასშტაბით.
- ◀ **საკრედიტო პორტფელის დაგეგმარება** – ინფორმაციული პროდუქტი, რომელიც შესაძლებელს ხდის, ერთი მხრივ, მოხდეს სესხის გაცემის, ძირის დაფარვისა და პორტფელის სტატისტიკური პროგნოზირების დახმარებით დაგეგმარება და, მეორე მხრივ, ამ მაჩვენებლების გეგმისა და შესრულების რეალურ დროში შედარება.

2020 წელს აგრეთვე დაიწყო ფინანსებისა და არასაკრედიტო ოპერაციების მიმართულებით ინფორმაციული პროდუქტების განვითარებაზე აქტიური მუშაობა, რომლის საბოლოო შედეგები 2021 წლის ბოლოს იქნება ხელშესახები.



# მმართველობითი ანგარიში



აქციონერთათვის წლიური ანგარიშის წარდგენა და აუდიტებული ფინანსური ანგარიშების მიწოდება ჩვენი პასუხისმგებლობაა. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არის სანდო, დაბალანსებული და გასაგები. იგი აქციონერებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას კომპანიის მდგომარეობასა და საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

სს მისო „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს სახელით წარმოგიდგენთ წლის სტრატეგიულ ანგარიშსა და გარე აუდიტორის მიერ მომზადებულ თანხმებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას. ეს არის სანდო, დაბალანსებული და გასაგები ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია აქციონერების მიერ კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

## სამეთვალყურეო საბჭო

კრისტალს ხელმძღვანელობს ეფექტიანი სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისგან, მათ შორის არის ორი დამოუკიდებელი წევრი და ორი ინვესტორის წარმომადგენელი. ორი წევრი საქართველოს

## თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამოიხატება მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობისა და მისი ფუნქციების ყველა ასპექტის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ბაკურაძის (საქართველო) მოვალეობები განსაკუთრებულად არ შეცვლილა. იგი ფინანსისტი, მენარმე და კრისტალის დამფუძნებელია. გარდა ამისა, არის ორი სხვადასხვა კომპანიის: საქართველოში – საგადასახადო სისტემის მიმწოდებლისა და გაერთიანებულ სამეფოში – სამომხმარებლო ფინანსების კომპანიის თანადამფუძნებელი. გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მართვის ორგანომ (FCA) არჩილ ბაკურაძეს არააღმასრულებელი დირექტორის კონტროლირებადი ფუნქცია CF2 (2017) მიანიჭა. იგი ფონდი კრისტალის გამგეობის თავმჯდომარეა

მარეობის, საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად. ანგარიშში ხაზგასმით არის მითითებული ძირითადი ოპერაციული და ფინანსური შედეგები, წარმოდგენილია მთავარი მიღწევები და გამონწვევები, რომელთა წინაშეც კომპანია 2019 წელს აღმოჩნდა. ასევე მოცემულია მომდევნო საანგარიშო პერიოდის გეგმები. 2019 წლის ანგარიშში შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის გასაჯაროების სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად.

არჩილ ბაკურაძე  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ველოს მოქალაქეა და მათი საქმიანობის ადგილი ძირითად საქართველოა. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.

და რამდენიმე არასამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობს. თავმჯდომარე საკუთარი დროის ნახევარზე მეტს კრისტალს უთმობს, ხოლო მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტით. თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშგაღებულადაა მათ წინაშე. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

## საბჭოს შემადგენლობა

კრისტალი იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, არეგულირებს მის საქმიანობას. იგი ადგენს პროცედურებს, კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლებას. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ლოლაძე (საქართველო) გახლავთ, იგი გამოცდილი კორპორაციული დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი არყოფნის შემთხვევაში და ხელმძღვანელობს რისკების კომიტეტს. ნიკოლოზ ლოლაძე კრისტალის ელექტრონული გადახდის სერვისების მიმწოდებლის – სს „მობაილფაინენს სერვის ჯორჯიას“ აქციონერია, ამიტომ, ამ კომპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხმის მიცემისას იგი თავს იკავებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან (ანბანური თანამიმდევრობით): იან დევიზგაერტი (ბელგია), დანიშნულია Incofin IM-ის მიერ, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტს; ალექსანდრე მუხომბა (აშშ), დანიშნულია DWM-ის მიერ, ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს; კის იანგი (გაერთიანებული სამეფო), დანიშნულია კრისტალის ფონდის მიერ, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციების კომიტეტს. ლილიტ გარაიანი (სომხეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს შიდა აუდიტის კომიტეტს.

### სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2020 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გამართა 1 უშუალო და 12 ვირტუალური შეხვედრა. 2020 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა:

შიდა აუდიტის კომიტეტი	4-ჯერ
აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი	16-ჯერ
რისკების კომიტეტი	4-ჯერ
სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტი	4-ჯერ
გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	4-ჯერ
ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციის კომიტეტი	4-ჯერ

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის მიერ შესრულების შედეგების ინდიკატორების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ

ანგარიშებს და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, დირექტორატის დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, სამოქმედო გეგმის შეთავაზებებს აქციონერებისათვის, როგორცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

### საბჭოს მხარდაჭერა

სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას ახორციელებს კორპორაციული მდივანი, თავმჯდომარის მხარდაჭერას – აღმასრულებელი თანამშემკ.

### კორპორაციული მართვა

კრისტალის კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კომპანიის მისიისა და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა კორპორაციული სტრატეგიის ყოველწლიური შეფასება და მიზნების მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებში ასახვა. ყველა უფროსი ოფიცერი ინიშნება ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მათი ცვლადი კომპენსაციისათვის. აღნიშნული გეგმები გადაეცემათ ბიზნეს ან სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც სამოქმედო გეგმებად გარდაიქმნება და იზომება შესრულების შედეგების მთავარი ინდიკატორებით. ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიზანია, რომ საბჭომ უზრუნველყოს კრისტალის მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული და ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომების შენარჩუნება. ამ მიზნით საბჭო ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა ჩაბმულობის კვლევას. დაბოლოს, სოციალური კომიტეტი ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს სოციალური მემოქმედების ხარისხს. კრისტალს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მკაცრი პოლიტიკა აქვს, რომელიც რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს წესებითა და პროცედურებით და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსით. კრისტალი მოწოდებულია მაქსიმალურად შეუსაბამოს თავისი კორპორაციული მართვის სისტემის მოდელი გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს. განხორციელების შესახებ ანგარიში მოცემულია დანართში N1.


მმართველი გუნდი

# სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



### არჩილ ბაკურაძე

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე** – სამეთვალყურეო საბჭოს და აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის თავმჯდომარე, გახლდათ მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარე, აშუამად კი მისი გამგეობის წევრია. არჩილ ბაკურაძე არის ფონდი კრისტალის გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004), არის ჯონ სმიტის ფონდის (2000) სტიპენდიტი და ჰოლანდიის დევენილთა ფონდის „Stichting Vluchteling“ „Van Heuven Goedhart“-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).



### ნიკოლოზ ლოლაძე

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე** – თავმჯდომარის მოადგილე და რისკების კომიტეტის ხელმძღვანელი. ნიკოლოზ ლოლაძეს აქვს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მუშაობის 10 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება. არის სხვადასხვა მსხვილი ბიზნესისა და არამომგებიანი ორგანიზაციის დამაარსებელი და საბჭოს წევრი საქართველოში. როგორც მართვის საკითხების ექსპერტი, არის სხვადასხვა ბიზნესისა და არამომგებიანი ორგანიზაციის მრჩეველი და საბჭოს წევრი, მათ შორის, საქართველოს საფონდო ბირჟის, სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალის“, სს Mobile Finance Eurasia, გაერთიანებული სამეფოს-საქართველოს პროფესიული ქსელის და შპს Anchor Consulting. იგი სწავლობდა მაგისტრატურაში მართვის (უორვიქი, გაერთიანებული სამეფო) და ფიზიკის (თბილისი, საქართველო) მიმართულებით. მიღებული აქვს სერტიფიკატი პროექტის მართვაში, პოლიტიკის ანალიზსა და სახელმწიფო მართვაში.



### იან დევინგაერტი

**წევრი** – სტრატეგიის, მონაცემებისა და ინოვაციების კომიტეტის თავმჯდომარე, 2015 წლიდან იგი არის Incofin IM კერძო ინვესტიციათა ფონდის დირექტორი. წინა წლებში იგი იყო Gimy-ს (2012-2015) პარტნიორი; Eagle Venture Partner-ის (2001-20015) მმართველი დირექტორი; ანალიტიკოსი, ინვესტიციათა მმართველი, ინვესტიციათა უფროსი მმართველი, ინვესტიციათა უფროსი აღმასრულებელი მმართველი და დირექტორი Gimy-ში (1989-2011); KBC Bank-ის მრჩეველი (1983-1989). მან საწარმოო პოლიტიკა და მშენებელი ინჟინრის სპეციალობა ლეუვენის (ბელგია) კათოლიკურ უნივერსიტეტში, ხოლო კორპორაციულ საფინანსო სტრატეგია საფრანგეთში შეისწავლა.



### ლილიტ გარაიანი


**დამოუკიდებელი წევრი** – ფინანსისტი, „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის 11 ივლისიდან. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვის და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, არის პროკრედიტის კორპორაციის უმაღლესი რგოლის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული, არის ACCA-ს წევრი, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



### ალემ რემტულა

**წევრი** – პარტნიორი და DWM-ის კერძო ინვესტიციათა გუნდის ხელმძღვანელი. რემტულა არის საბჭოს წევრი და აქციონერის წარმომადგენელი DWM-ის მხრიდან 2011 წლიდან. ის აშუამად ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალური კომიტეტს. მისი კარიერა საინვესტიციო საბანკო სფეროში JP Morgan-ში დაიწყო და აქვს 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება გლობალურად, როგორც სამეწარმეო კაპიტალის, ასევე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით მიზნობრივი ინვესტირების კუთხით. მას მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი – პრინსტონის უნივერსიტეტში.



### კისი იანგი

**წევრი** – ეკონომისტი, ადამიანური რესურსების, კომპენსაციის და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე. ის გახლავთ ინტერნეტის, კომუნიკაციისა და გამოცემლობის სფეროებში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე მეწარმე. კისი არის ღია ტიპის სააქციო საზოგადოებების “cScape” აღმასრულებელი თავმჯდომარე და ღია ტიპის საზოგადოების “NBT” თანადამაარსებელი და საბჭოს წევრი. იგი ფლობს ლონდონის ეკონომიკის სკოლის ხარისხს და ასევე აქვს სხვადასხვა სექტორის კომპანიების მენეჯმენტის და ინვესტირების ფართო გამოცდილება. კისი იანგი ხანგრძლივი დროის მანძილზე გახლავთ ელექტრონული გადახდების სფეროში საქართველოში ოპერირებადი წამყვანი სააქციო საზოგადოების „Mobile Finance Eurasia“-ს ინვესტორი.



### მიშაელ ბლოქსი

**ალტერნატიული წევრი** – მიშაელი მოღვაწეობს Incofin IM-ის გლობალური კერძო კაპიტალის ოპერაციების მიმართულებით 2018 წლიდან, Incofin Antwerp ოფისიდან. ის არის Incofin IM AIFM კაპიტალის საინვესტიციო კომიტეტის წევრი. მიშაელს აქვს 16 წელზე მეტი ხნის გამოცდილება კერძო კაპიტალში, სტრატეგიის კონსულტაციისა და სამომხმარებლო ინდუსტრიაში. იგი მუშაობდა Procter & Gamble- თან, როგორც ფინანსური ანალიტიკოსი 2 წლის განმავლობაში. მიშაელი იყო BCG – Boston საკონსულტაციო ჯგუფის კონსულტანტი 4 წლის განმავლობაში. შემდგომ, მიშაელი მოღვაწეობდა ინვესტიციების მენეჯერად 4 წლის განმავლობაში Delta Partners Capital- ში. Incofin-ში შესვლამდე, 3 წლის განმავლობაში, ის გახლდათ პროექტის მენეჯერი სტრატეგიის კონსულტანტთან როლანდ ბერგერთან. მიშაელი ფლობს მაგისტრის ხარისხს ელექტრო ინჟინერიაში და ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკაში (KU Leuven, ბელგია). მას ასევე მოპოვებული აქვს CFA 1 დონე.



### სუმა სვამინათანი

**ალტერნატიული წევრი** – DWM-ის კერძო ინვესტიციების ვიცე პრეზიდენტი. სუმა სვამინათანი 2020 წლიდან არის კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს ალტერნატიული წევრი და აქციონერის წარმომადგენელი DWM-ის მხრიდან. DWM- ში მუშაობის დაწყებამდე, სუმა მუშაობდა კონსულტანტად ნიუ იორკის ბუტიკების საკონსულტაციო კომპანიაში Empire Valuation Consultant. მას აქვს საჯარო და კერძო კომპანიების კაპიტალის, სესხის და რთული აქტივების /ფასიანი ქაღალდების შეფასების მართვის გამოცდილება პოტენციური ინვესტიციების, ფინანსური ანგარიშგების და კორპორატიული დაგეგმვის მიზნებისათვის. ის ასევე მუშაობდა ტექნოლოგიად Capital One Auto Finance -ში, Infosys Technologies- ის მხრიდან . სუმა ფლობს MBA ხარისხს NYU’s Stern ბიზნეს სკოლიდან, სადაც ინდოეთის ქსოვის ინდუსტრიაში ხელით ქსოვის კოოპერატიული საზოგადოებების მიმართულებით აქტივობიდან გამომდინარე, გახდა ფაკულტეტის სტიპენდიანტი სოციალური საწარმოს მიმართულებით. სუმა ფლობს ელექტრო ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს ოსმანის უნივერსიტეტიდან (ჰიდერაბადი, ინდოეთი).

# მმართველი გუნდი



### ილია რევია

**უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი** – იგი გახლავთ წარმატებული პროექტების მენეჯერი და IT მენეჯმენტის სპეციალისტი, შთამბეჭდავი გამოცდილებით მენეჯმენტში, IT მენეჯმენტსა და საბანკო სექტორში. მან დაიწყო თავისი კარიერა როგორც ვებ დეველოპერმა, 2007-2009 წლებში მოღვაწეობდა IT პროექტის მენეჯმენტის მიმართულებით აშშ-ის იურიდიულ ფირმაში, ხოლო 2009 წელს DPK კონსალტინგში. ილია რევია საქართველოს ბანკს შეუერთდა 2009 წელს, სადაც 2014 წელს დაინიშნა უფროსი ინფორმაციის ოფიცრის მოადგილედ და სათავეში ედგა კომპანიის არაერთ კომპლექსურ პროექტს, მათ შორის პრივატიზაცია ჯორჯიას შექმნისა და სწრაფი ტრანსფორმაციის ინიციატივას. 2019 წლის ივნისიდან, ილია რევია დაინიშნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. ილია არის სერტიფიცირებული პროფესიონალი პროექტის მენეჯმენტში (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მენეჯმენტში და შვედეთის J nk ping უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს IT და ბიზნეს ინოვაციებში. მას ასევე მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.



### დავით ბენდელიანი

**უფროსი ფინანსური ოფიცერი** – 2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტის განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.



### მელანია კუჭუხიძე

**უფროსი ბიზნესოფიცერი** – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის უფროსი ბიზნეს ოფიცერი. იგი გახლავთ შემდგარი უფროსი აღმასრულებელი და მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 14 წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. 2006-2010 წლებში მუშაობდა ვითიბი ბანკის საქართველოს საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. მელანია 2010-2015 წლებში გახლდათ ბანკი კონსტანტას ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი, რის შემდგომაც, 2016 წლამდე მუშაობდა თიბისი ბანკში, მიკრო ბიზნესის მართვის გუნდში. 2018 წელს მელანია შეუერთდა კრისტალს ქსელის მენეჯმენტის უფროსის პოზიციაზე, მანამდე, 2 წლის განმავლობაში გახლდათ მწვანე ლისის ურბანული განვითარების პროექტის კომერციული დირექტორი. 2019 წელს მელანია დაინიშნა კრისტალის უფროსი ბიზნეს ოფიცრის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან გახლავთ უფროსი ბიზნესის ოფიცერი. მელანია არის ვითიბი ბანკის კორპორატიული უნივერსიტეტის მაგისტრანტი მენეჯმენტში. მას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი საქართველოს სუბტროპიკული ბიზნესის უნივერსიტეტში ეკონომიკასა და მენეჯმენტში.

# მმართველი გუნდი



### მანუჩარ ჩიტაშვილი

**ინოვაციების უფროსი ოფიცერი** – 2005 წელს იყო ქუთაისის თვითმმართველობის დეპარტამენტის უფროსი. 2001 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში. კრისტალს 2006 წელს შეუერთდა. მას დამთავრებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, არის საჯარო ადმინისტრირების მაგისტრი, მიღებული აქვს ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი. გავლილი აქვს სასწავლო კურსი სტრასბურგში, ევროპის საბჭოში.



### ბექა ციციშვილი

**უფროსი საინფორმაციო ოფიცერი** – უფროსი საინფორმაციო ოფიცერი 2018 წლიდან, იყო „აქარა გრუპის“ უფროსი საინფორმაციო ოფიცერი, მუშაობდა შპს „ავიატორისა“ და ბანკ რესპუბლიკაში საინფორმაციო სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არის შპს „ნექსტ სტეპის“ თანადამფუძნებელი. მას მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ბიზნესისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის გრენოლის ბიზნესის სკოლაში, კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრის ხარისხი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.



### კაბა გაბესკორია

**უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, სს კრისტალ ლიზინგი** – კრისტალის გუნდს შეუერთდა 2009 წელს და ეკავა სხვადასხვა აღმასრულებელი თანამდებობები, როგორცაა უფროსი საკრედიტო ოფიცერი, უფროსი ოპერაციების ოფიცერი და ბიზნესის უფროსი ოფიცერი. 2020 წლიდან იგი დაინიშნა მისო კრისტალის შვილობილი კომპანიის კრისტალ ლიზინგის უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. ბატონ გაბესკორიას აქვს 20 წლიანი გამოცდილება MSME სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე პროკრედიტ ბანკში. მას აქვს საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი. გარდა ამისა, იგი სერტიფიცირებულია პროექტის მართვაში, ბიზნესის ანალიზში, ადამიანური რესურსების მართვაში, პროდუქტის განვითარებაში, საკრედიტო პორტფელის დაგეგმვასა და მენეჯმენტში, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მენეჯმენტში.



### გიორგი ჯანელიძე

**უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, შპს კრისტალ კონსალტინგი** – ბოლო ცხრა წლის განმავლობაში იგი მუშაობდა მისო კრისტალში სხვადასხვა თანამდებობებზე და ამჟამად არის აღმასრულებელი ბიზნეს კონსულტაციის მიმართულებით. 2008 წლიდან გიორგი მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორში. მას აქვს მიკროსაფინანსო, მარკეტინგის, IT, პროექტების მენეჯმენტისა და MSE სექტორის გამოცდილება. გიორგიმ განავითარა რამდენიმე სტარტაპი ბიზნესის იდეიდან საბოლოო პროდუქტამდე. განათლებით, ის არის IT სპეციალისტი, სერტიფიცირებული პროექტის მენეჯერი და ციფრული მარკეტოლოგი. გიორგი ფლობს მაგისტრის ხარისხს IT და ეკონომიკის მიმართულებით და ამჟამად პროგრესირებს დოქტორანტურაში.

მმართველი გუნდი

# კომიტეტის ანგარიშები

## აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO)

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად თავმჯდომარის (ALCO-ს თავმჯდომარე), ინვესტორების წარმომადგენლების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის (CEO), უფროსი ფინანსური ოფიცრის (CFO) და უფროსი ბიზნესოფიცრის (CBO) შემადგენლობით. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის მიზანია კრისტალში აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ზედამხედველობა, რაც მოიცავს: ბალანსისა და მოგება-ზარალის მონიტორინგს, ფულადი სახსრების მოძრაობისა და ლიკვიდურობის დაგეგმვას, დაფინანსების წყაროებს, საპროცენტო განაკვეთებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენას, საპროცენტო, სავალუტო კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდურობის რისკების ანალიზსა და მართვას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე განიხილავს ALCO-სთან დაკავშირებულ ისეთ ანგარიშებს, როგორებიცაა: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საბაზრო წილის ანალიზი და ანგარიში ბიზნესგეგმის განხორციელების შესახებ. ALCO-ს ამჟამინდელი პოლიტიკა ასახულია ინდიკატორთა ჩამონათვალში. იგი არის წლიური ბიუჯეტის ნაწილი და მას, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო.

## გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი

კომიტეტის მიზანია კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის ზედამხედველობა. კომიტეტის ამოცანაა კომპანიის კორპორაციული გარემოსდაცვითი, სოციალური პასუხისმგებლობის, მომხმარებელთა დაცვისა და საპასუხისმგებლო დაფინანსების პრინციპებისა და საქმიანობის განსაზღვრა და ასევე მათი განხორციელების მონიტორინგი. კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინონ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე.

## ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია საკადრო სტრატეგიების კონტროლის, საქმიანობის შეფასებისა და ანაზღაურებისათვის, გარდა ამისა, მისი ფუნქციაა უფროსი ოფიცრებისა და საბჭოს წევრების კანდიდატურების წამოყენება. კანდიდატების დასახელება ეფუძნება საბჭოს შეფასების დროს განსაზღვრულ საბჭოს პროფესიულ საჭიროებებს. თავმჯდომარე შეარჩევს კანდიდატურებს საბჭოს სხვა წევრებს შორის ან ღია კონკურსის მეშვეობით; მანამდე საბჭომ უნდა განსაზღვროს შერჩევის კრიტერიუმები და კანდიდატები შეაფასოს ამ კრიტერიუმების მიხედვით. ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი კვლევს და გასაუბრებ(ებ)ის საფუძველზე სთავაზობს აქციონერებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის კანდიდატურას. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასახელების შემდეგ, აქციონერთა კრება უფლებამოსილია დანიშნოს საბჭოს ახალი წევრი, რომლის უფლებამოსილების მაქსიმალური ვადაც განისაზღვრება წესდებით და აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე.

2020 წელს ჩატარებული სხდომები: 16  
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- ფინანსური შედეგები;
- ფინანსური გეგმა;
- ბიუჯეტის პარამეტრები;
- პორტფელის ხარისხი;
- საკრედიტო რესურსები და დაფინანსება;
- პოსტ კრიზისი და საკრედიტო პოლიტიკა;

2020 წელს ჩატარებული სხდომები: 4  
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- მიმდინარე პროექტები და აქტივობები;
- გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასება;
- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა და რეკომენდაციები;
- მდგრადობის პოლიტიკა;
- ეთიკის კოდექსი;

2020 წელს ჩატარებული სხდომები: 4  
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- შესრულების სეფასება;
- ანგარიში გადინების შესახებ;
- ორგანიზაციული განვითარება;
- უფროსი ოფიცრების შეფასების შედეგები;
- სტრუქტურული ცვლილებები;
- HR ომბუდსმენის ანგარიში;
- თანამშრომლების მხარდაჭერა და პრევენციის ზომები კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში;

## COMMITTEE REPORTS

## შიდა აუდიტის კომიტეტი

შიდა აუდიტის კომიტეტს ქმნის სამეთვალყურეო საბჭო და შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტორების მუშაობის ხელშეწყობა და მათთვის დახმარების გაწევა. შიდა აუდიტის კომიტეტის მიზანია კრისტალში შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვა, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი და მმართველობითი საბჭოს მუშაობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ეს საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც უფრო ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება იქნება შესაძლებელი.

## რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტის მიზანია რისკების ერთობლიობის მეთვალყურეობა, გარდა იმ რისკებისა, რომლებსაც ALCO მოიცავს. კომიტეტის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული საკრედიტო და საოპერაციო რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების გაწევა იმ სისტემებსა და პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა იქნეს ინტეგრირებული ან საჭიროებს გაუმჯობესებას რისკების მართვისა და შემცირების უზრუნველსაყოფად. კომიტეტი არის სათათბირო ორგანო. იგი არ იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ გასცემს რისკებთან დაკავშირებული იმ საკითხების განხილვისა და გამოვლენის უფლებას, რომლებიც თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მმართველმა საბჭომ და მთავარმა ოფიცრებმა. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიული რისკების სამართავად და შესამცირებლად.

## სტრატეგიის, მონაცემებისა და ინოვაციების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს კრისტალის მიერ სტრატეგიის განხორციელება; კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინოს საქმიანობის სტრატეგიულ ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. კომიტეტი უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობას. კომიტეტის მოქმედების სფერო ასევე მოიცავს ინოვაციური პროექტების ზედამხედველობასა და მონაცემთა ტრანსფორმაციის სტრატეგიის განხორციელებას.

2020 წელს ჩატარებული სხდომები: 4  
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- აუდიტის შედეგები;
- განახლებული ანგარიში აუდიტის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების შესახებ;

2020 წელს ჩატარებული სხდომები: 4  
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- რისკის მართვის შედეგები საოპერაციო რისკების და კონტროლინგის ჩათვლით;
- AML და შესაბამისობა;
- რისკის მართვის პოლიტიკა;
- ფროდის პრევენციის პოლიტიკა;
- საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკა;

2020 წელს ჩატარებული სხდომები: 4  
ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- შპს „კრისტალ კონსალტინგი“-ს განვითარება;
- „კრისტალ გოუ“-ს განვითარება;
- მფსჯ „კერკეტი“-ს განვითარება და შედეგები;
- დიჯიტალიზაცია და ციფრული ლანდშაფტი;
- საბანკო ტრანსფორმაცია;
- მომგებიანობის ანალიზი;



მმართველობის ანგარიში



# ფინანსური პროგრამა



## სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელშიც სამართლიანად არის წარმოდგენილი სააქციო საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის შპს „Crystal Consulting“ (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი ოპერაციების შედეგები, ფულადი ნაკადები და ცვლილება კაპიტალში ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკა იმგვარად, რომ ასახავდეს რეალურად, შედარებად და გასაგებ მონაცემებს;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, როდესაც შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიურ მოთხოვნებთან არ აძლევს საშუალებას მომხმარებლებს კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენების და პირობების ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის გაგების შესაძლებლობას;
- ჯგუფის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;

- ინფორმაციის გაცემა მმართველობით ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით;
- მმართველობითი ანგარიშგების მომზადება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხს აგებს შემდეგზე:

- ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომელიც უჩვენებს და განმარტავს ჯგუფის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ასევე საშუალებას აძლევს მას უზრუნველყოს ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა ფასს სტანდარტებთან;
- საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია მათთვის ჯგუფის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2021 წლის 6 ივლისს ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ.

### დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევიკა  
 აღმასრულებელი დირექტორი  
 6 ივლისი, 2021 წ.  
 თბილისი, საქართველო



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის („კომპანია“) და მისი შვილობილის („ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული დღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება-მარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისა და კომპანიის დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობით ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს და, შესაბამისად, არ გამოვხატავთ რაიმე სახის რწმუნებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი.

თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ არაფერი არ გვაქვს განსაცხადებელი ამასთან დაკავშირებით.

**ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები**

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფისა და კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ჯგუფისა და კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

**აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე, შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფისა და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვევებ დააყენოს ჯგუფისა და კომპანიის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ

ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვასდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი და კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

**ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ**

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარებთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ პროცედურები შევარჩიებთ და შევასრულებთ ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვის, ანალიზისა და დოკუმენტაციის გაცნობის, ჯგუფისა და კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარების გზით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშებისა და შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია.


სრბუი ჰაკობიანი  
შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

თბილისი, საქართველო  
2021 წლის 6 ივლისი

	შენიშვნები	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	5	80,948	73,997
საპროცენტო ხარჯი	5	(29,236)	(22,634)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განცდამდე პროცენტიან აქტივებზე</b>		<b>51,712</b>	<b>51,363</b>
გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე	12,13,17	(5,300)	(8,680)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>46,412</b>	<b>42,683</b>
წმინდა საკომისიო (ხარჯი)/შემოსავალი <sup>1</sup>	6	(1,690)	888
წმინდა შემოსულობა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	13,699	2,133
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		(20,050)	(6,805)
წმინდა სესხის მოდიფიცირების ზარალი	3	(2,601)	-
სხვა შემოსავალი		851	230
<b>სხვა არასაპროცენტო ხარჯების გამოკლებით</b>		<b>(9,791)</b>	<b>(3,554)</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>36,621</b>	<b>39,129</b>
თანამშრომლებზე განეული ხარჯი	7	(22,567)	(21,808)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	14,15,16	(4,942)	(4,651)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(9,181)	(12,028)
<b>მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>(69)</b>	<b>642</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(783)	(966)
<b>წლის წმინდა მოგება</b>		<b>(852)</b>	<b>(324)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის სრული შემოსავალი</b>		<b>(852)</b>	<b>(324)</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევიკა  
აღმასრულებელი დირექტორი  
6 ივლისი, 2021 წ.  
თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1 ჯგუფმა შეცვალა სს „მობაილ ფაინენს სერვის – ჯორჯიასთვის“ გადახდილი 431 ათასი ლარის ოდენობით საკომისიოს წარდგენის წესი, სხვა საოპერაციო ხარჯებიდან წმინდა საკომისიო (ხარჯით) / შემოსავლით 2019 წელს.

	შენიშვნები	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	5	80,948	73,997
საპროცენტო ხარჯი	5	(29,236)	(22,634)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განცდამდე პროცენტიან აქტივებზე</b>		<b>51,712</b>	<b>51,363</b>
გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე	12,13,17	(5,300)	(8,680)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>46,412</b>	<b>42,683</b>
წმინდა საკომისიო (ხარჯი) / შემოსავალი <sup>2</sup>	6	(1,690)	888
წმინდა შემოსულობა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	13,699	2,133
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		(20,050)	(6,805)
წმინდა სესხის მოდიფიცირების ზარალი	3	(2,601)	-
სხვა შემოსავალი		685	228
<b>სხვა არასაპროცენტო ხარჯების გამოკლებით</b>		<b>(9,957)</b>	<b>(3,556)</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>36,455</b>	<b>39,127</b>
თანამშრომლებზე განეული ხარჯი	7	(22,520)	(21,703)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	14,15,16	(4,942)	(4,651)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(9,181)	(12,022)
<b>მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>(188)</b>	<b>751</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(783)	(966)
<b>წლის წმინდა მოგება</b>		<b>(971)</b>	<b>(215)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის სრული შემოსავალი</b>		<b>(971)</b>	<b>(215)</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ილია რევიკა  
აღმასრულებელი დირექტორი  
6 ივლისი, 2021 წ.  
თბილისი, საქართველო




95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

2 ჯგუფმა შეცვალა სს „მობაილ ფაინენს სერვის – ჯორჯიასთვის“ გადახდილი 431 ათასი ლარის ოდენობით საკომისიოს წარდგენის წესი, სხვა საოპერაციო ხარჯებიდან წმინდა საკომისიო (ხარჯით) / შემოსავლით 2019 წელს.

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	17,884	20,106
მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	11	2,509	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	12	315,880	297,211
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	13	2,246	-
ძირითადი საშუალებები	14	5,349	5,602
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	15	11,309	3,577
არამატერიალური აქტივები	16	2,611	2,564
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		945	469
გადავადებული საგადასახადო აქტივები	9	2,628	3,411
სხვა აქტივები	17	4,713	4,155
<b>სულ აქტივები</b>		<b>366,074</b>	<b>337,095</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	11	-	4,292
ნასესხები სახსრები	18	279,968	253,983
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	19	12,725	12,667
საიჯარო ვალდებულება	17	12,522	3,914
გადასახდელი დივიდენდები	21	999	767
სხვა ვალდებულებები	20	1,849	1,610
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>308,063</b>	<b>277,233</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	21	3,635	3,635
დამატებითი შენატანები კაპიტალში	21	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		32,266	34,117
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>58,011</b>	<b>59,862</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>366,074</b>	<b>337,095</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ილია რევიკა  
 აღმასრულებელი დირექტორი  
 6 ივლისი, 2021 წ.  
 თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	17,877	20,103
მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	11	2,509	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	12	315,880	297,211
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	13	2,246	-
ძირითადი საშუალებები	14	5,342	5,602
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	15	11,309	3,577
არამატერიალური აქტივები	16	2,611	2,564
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		945	469
გადავადებული საგადასახადო აქტივები	9	2,628	3,411
სხვა აქტივები	17	4,598	4,156
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		246	240
<b>სულ აქტივები</b>		<b>366,191</b>	<b>337,333</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	11	-	4,292
ნასესხები სახსრები	18	279,968	253,983
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	19	12,725	12,667
საიჯარო ვალდებულება	15	12,522	3,914
გადასახდელი დივიდენდები	21	999	767
სხვა ვალდებულებები	20	1,847	1,610
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>308,061</b>	<b>277,233</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	21	3,635	3,635
დამატებითი შენატანები კაპიტალში	21	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		32,385	34,355
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>58,130</b>	<b>60,100</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი Total liabilities and equity</b>		<b>366,191</b>	<b>337,333</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ილია რევიკა  
 აღმასრულებელი დირექტორი  
 6 ივლისი, 2021 წ.  
 თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>2019 წლის 1 იანვარი</b>	<b>3,061</b>	<b>12,718</b>	<b>35,208</b>	<b>50,987</b>
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(324)	(324)
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	21 574	9,392	-	9,966
გამოცხადებული დივიდენდები	21 -	-	(767)	(767)
<b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,635</b>	<b>22,110</b>	<b>34,117</b>	<b>59,862</b>
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(852)	(852)
გამოცხადებული დივიდენდები	21 -	-	(999)	(999)
<b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,635</b>	<b>22,110</b>	<b>32,266</b>	<b>58,011</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ილია რევია  
აღმასრულებელი დირექტორი  
6 ივლისი, 2021 წ.  
თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>2019 წლის 1 იანვარი</b>	<b>3,061</b>	<b>12,718</b>	<b>35,337</b>	<b>51,116</b>
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(215)	(215)
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	21 574	9,392	-	9,966
გამოცხადებული დივიდენდები	21 -	-	(767)	(767)
<b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,635</b>	<b>22,110</b>	<b>34,355</b>	<b>60,100</b>
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(971)	(971)
გამოცხადებული დივიდენდები	21 -	-	(999)	(999)
<b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,635</b>	<b>22,110</b>	<b>32,385</b>	<b>58,130</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ილია რევია  
აღმასრულებელი დირექტორი  
6 ივლისი, 2021 წ.  
თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შენიშვნები	2020	2019
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>		
(ზარალი) / მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(69)	642
<b>კორექტირებები:</b>		
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	(13,699)	(2,133)
წმინდა სესხის მოდიფიცირების ზარალი	3 2,601	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	14,15,16 4,942	4,651
საპროცენტო შემოსავალი	4 (80,948)	(73,997)
საპროცენტო ხარჯები	4 29,236	22,634
გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე	5 5,300	8,680
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი	20,050	6,805
ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებული ზარალი	56	146
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	(5)	-
<b>ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>(32,536)</b>	<b>(32,572)</b>
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>		
წმინდა ზრდა ფინანსურ ვალდებულებებში/წმინდა კლება ფინანსურ აქტივებში, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	2,198	5,208
მომხმარებლებზე გაცემული სესხების ზრდა	(22,672)	(39,809)
წმინდა მატება იჯარაში განხორციელებულ ინვესტიციებში	(2,266)	-
(ზრდა)/კლება სხვა აქტივებში	(671)	159
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	221	(70)
<b>წმინდა ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>	<b>(23,190)</b>	<b>(34,512)</b>
მიღებული პროცენტი	77,576	73,045
გადახდილი პროცენტი	(28,040)	(22,157)
გადახდილი მოგების გადასახადი	(476)	(2,450)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(6,666)</b>	<b>(18,646)</b>

	შენიშვნები	2020	2019
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შექმნა	14	(1,747)	(1,374)
არამატერიალური აქტივების შექმნა	16	(544)	(1,434)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		88	58
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(2,203)</b>	<b>(2,750)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	18	122,701	95,883
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(120,648)	(81,106)
ამონაგები სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან	19	-	12,500
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	19	-	(9,964)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(2,727)	(871)
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	21	-	9,966
გადახდილი დივიდენდები	21	(769)	-
<b>(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(1,443)</b>	<b>26,408</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>		<b>(10,312)</b>	<b>5,012</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე		8,090	1,141
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	10	20,106	13,953
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კვირის ბოლოს</b>	10	<b>17,884</b>	<b>20,106</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ილია რევიკა  
 აღმასრულებელი დირექტორი  
 6 ივლისი, 2021 წ.  
 თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.


	შენიშვნები	2020	2019
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
(ზარალი) / მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(188)	751
<b>კორექტირებები:</b>			
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		(13,699)	(2,133)
წმინდა სესხის მოდიფიცირების ზარალი	3	2,601	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	14,15,16	4,942	4,651
საპროცენტო შემოსავალი	4	(80,948)	(73,997)
საპროცენტო ხარჯები	4	29,236	22,634
გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე	5	5,300	8,680
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		20,050	6,805
ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებული ზარალი		56	146
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან		(5)	-
<b>ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>(29,655)</b>	<b>(32,463)</b>
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>			
წმინდა ზრდა ფინანსურ ვალდებულებებში/წმინდა კლება ფინანსურ აქტივებში, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		2,198	5,208
მომხმარებლებზე გაცემული სესხების ზრდა		(22,672)	(39,809)
წმინდა მატება იჯარაში განხორციელებულ ინვესტიციებში		(2,266)	-
(ზრდა)/კლება სხვა აქტივებში		(556)	157
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		219	(70)
<b>წმინდა ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>		<b>(23,077)</b>	<b>(34,514)</b>
მიღებული პროცენტი		77,576	73,045
გადახდილი პროცენტი		(28,040)	(22,157)
გადახდილი მოგების გადასახადი		(476)	(2,450)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(6,672)</b>	<b>(18,539)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		(6)	(109)
ძირითადი საშუალებების შექმნა	14	(1,739)	(1,374)
არამატერიალური აქტივების შექმნა	16	(544)	(1,434)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		88	58
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(2,201)</b>	<b>(2,859)</b>

**ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან**

შენიშვნები	2020	2019	
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	18	122,701	95,883
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(120,648)	(81,106)
ამონაგები სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან	19	-	12,500
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	19	-	(9,964)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(2,727)	(871)
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	21	-	9,966
გადახდილი დივიდენდები	21	(769)	-
<b>(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(1,443)</b>	<b>26,408</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>		<b>(10,316)</b>	<b>5,010</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე		8,090	1,141
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	10	20,103	13,952
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასასრულის მდგომარეობით</b>	10	<b>17,877</b>	<b>20,103</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ილია რევიკა  
 აღმასრულებელი დირექტორი  
 6 ივლისი, 2021 წ.  
 თბილისი, საქართველო



95-161 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

# 1. ორგანიზაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“ (შემდგომში „კომპანია“) 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „კრისტალის ფონდის“ (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) გადაწყვეტილების საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (თარიღი: 2006 წლის 16 ივლისი) შესაბამისად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი კომპანია – შპს „Crystal Consulting“. შვილობილი კომპანია თანდათანობით იწყებს ფუნქციონირებას და მისი მთავარი საქმიანობა იქნება საკონსულტაციო მომსახურებები, საორგანიზაციო განვითარება, ხელმძღვანელობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაცია და მომსახურება მიკრო და მცირე მენარმეებისთვის.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ და შპს „Crystal Consulting“-ს („ჯგუფი“) იურიდიული მისამართია: ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც დანიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელთა გუნდი.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის მისაღები ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, სესხები უძრავი ქონების შეძენისთვის და მცირე და საშუალო მენარმეებისთვის.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორმოცდაათი ფილიალი (2019 წ.: ორმოცდარვა ფილიალი) და სათაო ოფისი აქვს თბილისსა და ქუთაისში.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
<b>პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:</b>		
AGRIF COÖPERATIEF U.A.	38.75%	37.12%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.37%	12.37%
ფონდი კრისტალი	1.07%	46.53%
ინდივიდუალური აქციონერები	47.81%	3.98%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

2020 წლისა 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერები არიან „AGRIF COÖPERATIEF U.A.“ და „DWM Funds S.C.A-SICAV SIF“ 38,75% და 12,37%-იანი წილით (შესაბამისად) (2019 წლის 31 დეკემბერს: „ფონდი კრისტალი“ 46,53%-იანი წილით).







არა სავაჭროდ ფლობილი კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს შეუძლია გამოუთხოვადად შეიყვანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში. ეს გადაწყვეტილება თითოეულ ინვესტიციაზე ცალკე მიიღება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული შეფასებულად ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ზემოთ განსაზღვრული ფორმით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს.

თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია გამოუთხოვადად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ამგვარი ქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

შეფასების კატეგორიებში კლასიფიცირებული ჯგუფის ფინანსური აქტივებია შემდეგი:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები (SPPI)	შეფასების კატეგორია
წარმოებული ფინანსური აქტივები	სხვა ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს	სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული (FVTPL)
ბანკში არსებული ფულადი ნაშთები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანებები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება

**ბიზნეს მოდელის შეფასება**

ჯგუფი ახდენს იმ ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. ამგვარი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- დაბეჭდილი პოლიტიკები და პორტფელის მიზნები, ასევე ამ პოლიტიკების პრაქტიკაში გამოყენება. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ხელმძღვანელობის სტრატეგია არის თუ არა ორიენტირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამოშვებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადების ნებისმიერი დაკავშირებულ ვალდებულებებთან შეებადამისობის უზრუნველყოფაზე ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებაზე და ფულადი ნაკადების გამოთავისუფლებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგება;

- როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება მენეჯერების კომპენსირება, ე.ი. ეფუძნება თუ არა კომპენსაცია მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვის სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ.

ფინანსური აქტივები, რომელთა ფლობაც ან მართვა გაყიდვის მიზნით ხდება, ასევე რომელთა მაჩვენებელი ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

**შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს**

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა“ ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ არის ფულის დროის ღირებულების და კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის. ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, ჯგუფი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი მოიცავს სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. ამ შეფასების გაკეთებისას, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობები, რომლებმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონის განაკვეთი, მათ შორის ცვლად-განაკვეთიანი შესაძლებლობები;
- ავანსები და გახანგრძლივების შესაძლებლობები; და
- ვადები, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან ჯგუფის ფულადი ნაკადები მოთხოვნას (ე.ი. შემოუბრუნებელი შესაძლებლობები).

**რეკლასიფიკაცია**

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდისა მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. თუ ბიზნეს მოდელი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ფინანსური აქტივების ფლობს, შეიცვლება, მოხდება გავლენის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნეს-მოდელი ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ჯგუფის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მოხდება ცვლილება იმ ბიზნეს მოდელში, რომელშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულად სახსრებს და შეზღუდვად ნაშთებს ბანკებში, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღე ან მასზე ნაკლებია და ისინი თავისუფალია სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

**მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა აქტივებში შესული მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არაწარმოებული ფინანსური აქტივებია. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ხოლო შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ხელშეკრულებებს და სავალუტო სვოპებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც ფორმდება წარმოებული ხელშეკრულება და შემდგომში განმეორებით ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში**

შვილობილი კომპანია წარმოადგენს საწარმოს, რომელსაც კომპანია აკონტროლებს. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.







ჯგუფი აკონტროლებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის შეფასების გზით, თითქმის მსესხებელი ვადაგადაცილების სტატუსში იყოს, ახალი პირობების საფუძველზე.

როდესაც იცვლება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები და მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების ცვლილებას, ჯგუფი განსაზღვრავს, ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც მოდიფიცირდება ჯგუფის რესტრუქტურის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილის სახით, როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, დეფოლტის ალბათობა ასახავს ჯგუფის უნარს მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები, ჯგუფის მსგავსი რესტრუქტურის შემდგომი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდი მაჩვენებლების ჩათვლით, მოდიფიცირებულ სახელშეკრულებო პირობებში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად აღემატება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელს, ზარალის რეზერვის შეფასება გაგრძელდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. ზარალის რეზერვი წინამორბედი სესხებისთვის ზოგადად შეფასდება მხოლოდ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც იარსებებს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა გააუმჯობესა გადახდის ქცევა, საკრედიტო რისკში წინა მნიშვნელოვანი ზრდის შემობრუნების შემდეგ განხორციელებული მოდიფიცირების გამო.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიკაციით წარმოქმნილ შემოსულობას/ზარალს ანგარიშობს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ მთლიანი საბალანსო ღირებულების შედარების გზით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით). ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს მოდიფიცირებული აქტივისთვის, სადაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შესულია საწყისი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის დაანგარიშებაში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო უფლებებს აქტივის ფულად ნაკადებზე ვადა გაუვა (მათ შორის ვადის გასვლა მოხდება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირებიდან), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა სანარმოს გადაეცემა. თუ ჯგუფი არც გადაეცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან

დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ჯგუფი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას.

### ჩამონერები

სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფს არ ექნება გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგება. ამ დროს ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების საქმიანობები, ფინანსური აქტივების ჩამოსაწერად. ჯგუფის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების შემოსულობას ჩამოიწვევს.

### ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო გარიგების არსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა სანარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია ჯგუფისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არანარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც ჯგუფი ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

### წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება წარჩენი ინტერესი სანარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

### ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ნაზარდი დანახარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას და წილობრივი ოფციონები აღიარდება კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტების გამოკლებით.

### პრივილეგირებული აქციები

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. პრივილეგირებული აქციები კაპიტალის სახით არის კლასიფიცირებული, რადგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება უქმდება და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

### საემისიო შემოსავალი

სააქციო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტიურად მიღებული გადახდების სამართლიან ღირებულებას შორის საემისიო შემოსავლის სახით აღიარდება.

### წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის რეზერვი

ხელმძღვანელობის საინიციატივო გეგმის ფარგლებში თანამშრომლები იღებენ აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციის სარგებელს. ამ გეგმის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

თანამშრომლებისთვის მინიჭებული გადავადებული აქციების სამართლიანი ღირებულება ფასდება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღში და აღიარდება კაპიტალში წილობრივი გადახდის რეზერვში. გადასაცემი აქციების რაოდენობა ფასდება უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობებში. შეფასებები იცვლება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და წილობრივი გადახდის რეზერვში.

### დივიდენდები

ჯგუფის მიერ დივიდენდების გამოცხადების და გადახდის უნარი საქართველოს კანონმდებლობის წესებს და რეგულაციებს ექვემდებარება. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნებით, ამ დივიდენდების გამოცხადების პერიოდში.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება ან „სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ“ ფინანსურ ვალდებულებებად, ან „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“.

### სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიაში, როდესაც (i) ფინანსური ვალდებულების ფლობის მიზანია ვაჭრობა ან (ii) მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგებაში ან ზარალში ასახვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გადაფასებისას მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. მოგებაში ან ზარალში აღირიცხული წმინდა შემოსულობა/ზარალი მოიცავს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და ის შესულია წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლში.

### სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, მათ შორის სესხად აღებული თანხები, გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები და სხვა არანარმოებული ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება გარიგების დანახარჯები.

„სხვა ფინანსური ვალდებულებების“ შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.







- იჯარის ვადა იცვლება ან არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების ცვლილება, რომელიც იწვევს ცვლილებას არსებული შესყიდვის უფლებით სარგებლობის შეფასებაში, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება განმეორებით ფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირების გზით, შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- საიჯარო გადასახდელები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ფარგლებში მოსალოდნელი გადახდის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, უცვლელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (თუ საიჯარო გადახდები იცვლება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი დისკონტირების განაკვეთი).
- საიჯარო ხელშეკრულება იცვლება და საიჯარო მოდიფიკაცია არ აღირიცხება ცალკე იჯარად, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი იჯარის საიჯარო ვადის საფუძველზე, შეცვლილი საიჯარო გადასახდელების დისკონტირებით, ცვლილების თარიღში შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

ჯგუფს არ განუხორციელებია ამგვარი ცვლილებები წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები წარმოადგენს შესაბამისი საიჯარო გადასახდელების თავდაპირველ შეფასებას, დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებულ საიჯარო გადასახდელებს, ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათის და თავდაპირველი პირდაპირი ხარჯის გამოკლებით. ისინი შემდეგ ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

როდესაც ჯგუფს წარმოექმნება საიჯარო აქტივის დემონტაჟის და მოხსნის, ასევე მათი განთავსების ადგილის აღდგენის ან საბაზისო აქტივის იჯარის პირობებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება, ბასს (IAS) 37-ის საფუძველზე აღიარდება და შეფასდება შესაბამისი ანარიცხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს უკავშირდება, ხარჯები შევა გამოყენების უფლებით გადაცემულ შესაბამის აქტივში, თუ ამგვარი ხარჯების განევა არ მოხდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწარმოებლად.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებს ცვთა ერიცხება საიჯარო ვადასა და საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე. თუ იჯარა გადასცემს საბაზისო აქტივის საკუთრების

უფლებას ან გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის თვითღირებულება ასახავს, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის უფლებით სარგებლობას, შესაბამის გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივზე ირიცხება ცვთა საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის დაწყების თარიღში.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ხაზის სახით არის წარმოდგენილი.

იმის განსაზღვრად, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი გაუფასურებულია თუ არა, ჯგუფი ბასს (IAS) 36-ს იყენებს და აღრიცხავს ნებისმიერ გამოვლენილ გაუფასურების ზარალს, „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი ფორმით.

პრაქტიკული მიდგომის სახით, ფასს 16 მოიჯარეს საშუალებას აძლევს ცალკე არ გამოჰყოს არა საიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად აღრიცხოს ნებისმიერი იჯარა და დაკავშირებული არა საიჯარო კომპონენტები, ინდივიდუალური გარიგების სახით. ჯგუფმა ისარგებლა ამ პრაქტიკული მიდგომით.

ჯგუფი არ არის წარმოდგენილი მეიჯარის სახით 31 დეკემბრით დასრულებული 2020 და 2019 წლების განმავლობაში.

### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არასახელშეკრულებო) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე მუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასაგებობის საფუძველზე, საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება შესაძლებელია მხარისგან არის მოსალოდნელი, დებიტორული დავალიანების აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და დებიტორული დავალიანების თანხის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა ამ ვალდებულებების დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

### უზრუნველყოფის საგანი

კლიენტის ვალდებულებასთან მიმართებაში ჯგუფი ისეთ უზრუნველყოფის საგანს იღებს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. უზრუნველყოფის საგანი, ჩვეულებრივ, იღებს კლიენტის აქტივებზე გირაოს ფორმას და ჯგუფს ანიჭებს ამგვარი აქტივების მოთხოვნის უფლებას კლიენტის არსებულ და მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

## 3. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფის ხელმძღვანელობის მოეთხოვება განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა საპროგნოზო ინფორმაციას, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

#### შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი დაშვებები მომავლის შესახებ, ასევე შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი კორექტირებები გამოიწვიოს.

ეს შეფასებები და საბაზისო მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

#### სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებული მიმდინარე მნიშვნელოვანი განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ განსჯის შედეგად გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება, გარდა იმ მოსაზრებების, რომელიც შეფასებებს ეყრდნობა (იხ. ქვემოთ) და რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

#### ფასს (IFRS) 9 – კოვიდ-19-თან დაკავშირებული ღონისძიებები

ჯგუფი განსაზღვრავს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიას გავლენა აქვს მსესხებლების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე. ჯგუფმა დროებით გადააკვალიფიცირა „საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა“ (SICR) ისეთ სესხებზე 20 დღეზე მეტი ვადაგადაცილების სტატუსის გამოყენებით, რომლებზეც გავრცელდა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საგადახდო შეღავათები, შესაბამისად მოხდა დეფოლტის ალბათობის კორექტირება, პანდემიის ეფექტის გათვალისწინებით.

ჯგუფი ასევე იყენებს კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებულ მიღებულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამის ხარჯის ან ძალისხმევის განევის გარეშე.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიანი თანხა ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში შეიცვალა, მთლიანობაში შეადგენს 121,732 ლარს. ამან



გამოიწვია მოდიფიცირების ზარალი 2.601 ათასი ლარის ოდენობით. მოდიფიცირებული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი კოვიდ-19-ს უკავშირდება, საიდანაც 77,980 ათასი ლარი მოხვდა 1-ელ ეტაპში, 22.388 ათასი ლარი – მე-2 ეტაპში, ხოლო 5,038 ათასი ლარი – მე-3 ეტაპში.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი**

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

❖ **მომავალზე ორიენტირებული სცენარების განსაზღვრა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და მხარდაჭერსაპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური დრავირების მომავალ მოძრაობასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ დრავირების ერთმანეთზე მოქმედების წესს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 26-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

❖ **საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა:** როგორც მე-3 შენიშვნაში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1-ლი ეტაპის აქტივებისთვის, ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ოდენობით – მე-2 და მე-3 დონის აქტივებისთვის. აქტივი მე-2 ეტაპზე გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ფასს (IFRS) 9 არ განსაზღვრავს რას ნიშნავს მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ გონივრულ და მხარდაჭერს საპროგნოზო ინფორმაციას.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 26-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

❖ **დეფოლტის ალბათობა (PD):** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან შემავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის

უდი დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებს და მომავალი ვითარებების მოლოდინებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 26-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის ალბათობაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

❖ **დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):** LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 26-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის დანაკარგების შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

❖ **დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 26-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის დანაკარგების შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.**

მეთოდოლოგია, რომელიც დეფოლტის ალბათობას ითვალისწინებს, შეიცვალა; ჯგუფის დეფოლტის ალბათობის ნაცვლად, ინდივიდუალური სესხებისთვის დაანგარიშდება ერთი წლის დეფოლტის ალბათობა და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა. მიგრაციის მატრიცის ნაცვლად ვიყენებ ბევრად უფრო ზუსტ და თანამედროვე მეთოდს: გამოიყენება კოქსის პროპორციული რისკის მოდელი.

შეფასების მეთოდი გაუქმდა, რადგან შეფასების არსებობის ერთადერთი მოტივი იყო სესხების დაჯგუფება კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით და შემდეგ დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება მიგრაციის მატრიცის გამოყენებით.

ეტაპის გაუმჯობესების წესები მითითებული და სრულად ავტომატიზებულია. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა დანერგა ხარვეზების გამოსწორების 6 და 12-თვიანი პერიოდი მე-2 და მე-3 ეტაპის სესხებისთვის, შესაბამისად. ამასთან, იმავე მსესხებლების პარალელური სესხები განცალკევებით შეფასდა. ზემოთ ხსენებული ეტაპების განსაზღვრის წესები 2019 წელთან მიმართებაში არ გამოიყენებოდა. ახალი მიდგომა სრულად შეესაბამება ბაზრის საუკეთესო პრაქტიკებს.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებთან მიმართებაში ანაზღაურების განაკვეთი დისკონტირდება მხოლოდ დეფოლტირებული სესხების ეფექტური განაკვეთით და არა ყველა სესხისთვის, როგორც ეს ადრე კეთდებოდა. ეს ცვლილება ძალიან ლოგიკურია, რადგან დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დაანგარიშებაში მხოლოდ დეფოლტებია გათვალისწინებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების პროცესი მაქსიმალურად ავტომატიზებული გახდა; საბოლოოდ, დეფოლტის ალბათობა, ეტაპების განსაზღვრა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშება სრულდება R-ში, რაც პროცესს მეტად უსაფრთხოს, ხოლო მონაცემებს – უფრო მარტივად გასაკონტროლებელს ხდის.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 26-ე შენიშვნა.

**გადავადებული საგადასახადო აქტივების ანაზღაურებადობა**

საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომელიც ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შევა კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის. ახალი კოდექსი მოქმედებს ჯგუფის მოგების გადასახადის აღიარების და შეფასების პრინციპებზე, ასევე ჯგუფის მოგების გადავადებულ საგადასახადო აქტივებზე/ვალდებულებებზე. ფინანსურ ინსტიტუტებს არ მოუწევთ მოგების გადასახადის გადახდა გადასახადით დაბეგვრამდე მოგებისთვის (2023 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული), სანამ მოგება არ გადაანაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

იქედან გამომდინარე, რომ ეს კანონი ფინანსური სექტორისთვის 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდება, მას უფრო სწრაფი გავლენა ექნება გადავადებული გადასახადის დაანგარიშებაზე. 2023 წლის 1 იანვრიდან ფინანსური ინსტიტუტები არ შეინარჩუნებენ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს ან ვალდებულებებს, იმ ფაქტის გამო, რომ საშემოსავლო გადასახადი დაირიცხება დივიდენდების გამოცხადებისას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება გამოყენებული კანონის ამოქმედების თარიღამდე ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მისი ეფექტი არაარსებითი იქნება. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 2,629 ათასი და 3,411 ათასი ლარი (შესაბამისად).

**ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანად შეფასება**

როგორც 24-ე შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი იყენებს საშემფასებლო ტექნიკებს, რომლებიც მოიცავს შემავალ ინფორმაციებს, რომლებიც, თავის მხრივ არ ეფუძნება ემპირიულ საბაზრო მონაცემებს, კონკრეტული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. 24-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, ასევე ამ დაშვებებისთვის მგრძობელობის დეტალური ანალიზი. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შერჩეული საშემფასებლო ტექნიკები და გამოყენებული დაშვებები შესაბამისია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის.

**ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ის შეფასებებში:**

2020 წლის მაისამდე, მხოლოდ ორი საიჯარო ხელშეკრულება შეფასდა გრძელვადიანად და მათი აღიარება მოხდა ფინანსური იჯარის ქვეშ ფასს (IFRS) 16-ის საფუძველზე. ფილიალებთან დაკავშირებული ყველა სხვა საიჯარო ხელშეკრულება მოკლევადიანად ჩაითვალა, რადგან ჯგუფი არ გეგმავდა მათ გამოყენებას ბანკის დაგეგმილი ნასყიდობის გარიგების შემდეგ. 2020 წლის აპრილის ბოლოსთვის, გლობალური პანდემიით გამოწვეული ყველა გაურკვევლობის გამო, წინასწარი გარიგება გაუქმდა, რომელმაც ხელმძღვანელობა აიძულა განეხორციელებინა ჯგუფის სტრატეგიის ცვლილება და იჯარის ვადებთან დაკავშირებული დაშვებების გადაფასება. ახალი სტრატეგიის ფარგლებში ჯგუფმა შეაფასა, რომ ის ფილიალებით კიდევ ერთი წლის განმავლობაში ისარგებლებდა და ფასს (IFRS) 16-ის მოთხოვნების შესაბამისად ისინი ფინანსურ იჯარად აღიარდა. შედეგად, ჯგუფმა აღიარა 48 დამატებითი ფინანსური საიჯარო ხელშეკრულება, რამაც გამოიწვია საიჯარო ვალდებულების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თავდაპირველი აღიარება 10.433 ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური ანგარიში 2020

# 4. ფასს (IFRS) სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე მოქმედებენ

მიმდინარე წელს, ჯგუფმა გამოიყენა ფასს სტანდარტების და საბჭოს მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების ქვემოთ მითითებული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია ყოველწლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მათ მიღებას რაიმე სახის არსებითი გავლენა არ ჰქონია განმარტებით შენიშვნებზე ან წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

### საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმა ფასს 9 და ფასს 7-ის ცვლილება

2019 წელს ბასსს-მა გამოსცა „საპროცენტო განაკვეთის საბაზისო რეფორმა“ (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის ცვლილება). ეს ცვლილებები ახდენენ კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების კორექტირებას, რათა ჰეჯირების აღრიცხვამ განაგრძოს შესაბამისი ჰეჯირება გაურკვევლობის პერიოდში, სანამ ჰეჯირებული ერთეულები ან შესაბამისი ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლებზეც მოქმედებს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის საბაზისო მონაცემები არ შეიცვლება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმის შედეგად.

ცვლილებები არ შეესაბამება ჯგუფს, რადგან ის არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მისი საბაზისო საპროცენტო განაკვეთის დავალიანებებისთვის. შესაბამისად ამ ცვლილებების გამოყენება გავლენას არ იქონიებს ჯგუფის აღრიცხვაზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ცვლილებებით ასევე იწვევება ფინანსური ანგარიშგების გამოცემასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები ფასს 7-ის საფუძველზე, ჰეჯირების ურთიერთობებისთვის, რომლებიც წარმოადგენს ფასს 9-ის ცვლილებით შემოღებული გამოწვევების საგანს.

### კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები ფასს 16-ის ცვლილება

2020 წლის მაისში, ბასსს-მა გამოსცა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ფასს 16-ის ცვლილება), რომელიც პრაქტიკულ შეღავათებს აძლევს მოიჯარეებს საიჯარო შეღავათების მიმართულებით, რომლებიც წარმოიშვება უშუალოდ კოვიდ-19-ის გავლენით, ფასს 16-ის პრაქტიკული მიდგომის დანერგვის გზით. პრაქტიკული მიდგომა მოიჯარეს საშუალებას აძლევს თავად შეაფასოს კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები იჯარის მოდიფიცირებაა თუ არა. მოიჯარე, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს, უნდა აღრიცხოს ნებისმიერი ცვლილება საიჯარო გადასახდელის სახით, ფასს 16-ის საფუძველზე კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათების ფარგლებში, ისე, თითქოს ცვლილება არ იყოს საიჯარო მოდიფიცირება. ჯგუფს არ გამოუყენებია კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათის მეთოდი, ჩაატარა შეცვლილი საიჯარო ხელშეკრულებების შეფასება და დაასკვნა, რომ ისინი მოდიფიცირებებს წარმოადგენენ.

### ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაციის ცვლილება

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად მიიღო ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაციის ცვლილებები. ეს ცვლილებები მოიცავს შემდგომ ცვლილებებს შესაბამის სტანდარტებში, ისე, რომ ისინი ახალ ჩარჩოს ქმნიან. თუმცა ყველა ცვლილება არ აახლებს საფუძველთან დაკავშირებულ საცნობარო ინფორმაციას და განმარტებებს ამ ტერმინებთან დაკავშირებით, ისე, რომ ისინი ნიშნავდეს შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველს. რამდენიმე განმარტება განახლდება მხოლოდ იმის საჩვენებლად, საფუძვლის რომელი ვერსიაზე მიუთითებენ ისინი (ბასსს-ს საფუძველი მიღებული ბასსს-ს მიერ 2001 წელს, ბასსს-ს 2010 წლის საფუძველი ან 2018 წელს ახალი შეცვლილი საფუძველი) ან იმის განსაზღვრად, რომ სტანდარტში მოცემული განმარტებები არ განახლებულა შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველში შემუშავებული ახალი განმარტებით.

შეცვლილი სტანდარტებია ფასს 2, ფასს 3, ფასს 5, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასს 12, ფასს 19, ფასს 20, ფასს 22 და იმ 32.

### ფასს 3-ის ცვლილება „საწარმოს განმარტება“

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ფასს 3-ის ცვლილება. ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ რადგან საწარმოებს აქვთ ნაწარმი, ეს უკანასკნელი არ მოითხოვება საქმიანობების და აქტივების ინტეგრირებული ნაკრებისთვის, საწარმოდ კვალიფიცირებისთვის. საწარმოსთან დაკავშირებით საქმიანობების და აქტივების შექმნილი ნაკრები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემავალ და შემდგომ პროცესს, რომელიც ერთობლიობაში მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ნაწარმის შექმნის უნარს.

ცვლილებით უქმდება შეფასება იმის შესახებ, ბაზრის მონაწილეებს შესწევთ თუ არა უნარი ჩაანაცვლონ ნებისმიერი არარსებული ნაწარმი ან პროცესი და განაგრძონ პროდუქციის წარმოება. ცვლილებებით ასევე განისაზღვრება დამატებითი სახელმძღვანელო მითითებებიც, რომლებიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში არსებითი პროცესის შექმნა მოხდა თუ არა.

ცვლილებები ადგენენ შერჩევითი კონცენტრაციის ტესტს, რაც გამარტივებული შეფასების საშუალებას იძლევა იმის განსაზღვრად, შექმნილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები წარმოადგენს თუ არა ბიზნესს. შერჩევითი კონცენტრაციის ტესტის ფარგლებში, საქმიანობების და აქტივების შექმნილი ნაკრები არ არის საწარმო, თუ შექმნილი არსებითად ყველა მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირდება ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად საწარმოთა ყველა გაერთიანებებისთვის და აქტივების შექმნისთვის, რომლისთვისაც ნასყიდობის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი ან ამ თარიღის შემდგომ.

### ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „ტერმინის „არსებითი“ განმარტება“

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება. ცვლილება ამარტივებს ბასს (IAS) 1-ში ტერმინის „არსებითი“ მნიშვნელობას და მისი მიზანი არ არის ფასს სტანდარტებში არსებითობის საბაზისო კონცეფციის ცვლილება. „ბუნდოვანი“ არსებითი ინფორმაციის კონცეფცია არაარსებითი ინფორმაციით შევიდა ახალი განმარტების ნაწილში.

მომხმარებლებზე მოქმედი არსებითობის ზღვარი შეიცვალა ტერმინიდან „შესაძლოა იმოქმედოს“ ტერმინით „კონკრეტულ ფარგლებში მოსალოდნელია იმოქმედოს“.

ტერმინის „არსებითი“ განმარტება ბასს (IAS) 8-ში ჩანაცვლდა ბასს (IAS) 1-ში მოცემული „არსებითი“ განმარტების საცნობარო ინფორმაციით. ამასთან, ბასსს-მ ასევე შეცვალა სხვა სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები, რომლებიც მოიცავს ტერმინის „არსებითის“ განმარტებას ან მიმართებას ამ ტერმინზე თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

ფინანსური ანგარიშგება

**ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა**

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგამოცემის გამოსაცემად უფლებამოსილების თარიღში ჯგუფს არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შეცვლილი ფასს (IFRS) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში:

ფასს (IFRS) 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები
ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში	აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში	ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება
ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში	კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია
ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში	ძირითადი საშუალებები – შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე
ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში	დამამძიმებელი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯი
ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებების 2018-2020 წლების ციკლი	ფასს (IFRS) 1-ის ცვლილება ფინანსური ანგარიშგამოცემის საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“

ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ ზემოთ მითითებული სტანდარტების მიღებას არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგამოცემებზე მომავალ პერიოდებში.

**5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი**

	2020	2019
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი:</b>		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	76,796	71,513
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,024	321
ინვესტიცია იჯარებში	263	-
სხვა შემოსავალი	723	121
	<b>78,806</b>	<b>71,955</b>
<b>სხვა საპროცენტო შემოსავალი:</b>		
შემოსავალი ჯარიმებიდან	2,142	2,042
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებიდან</b>	<b>80,948</b>	<b>73,997</b>

	2020	2019
<b>საპროცენტო ხარჯები</b>		
ნასესხები სახსრები	(26,990)	(19,885)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(1,555)	(2,437)
საიჯარო ვალდებულება	(691)	(312)
	<b>(29,236)</b>	<b>(22,634)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>51,712</b>	<b>51,363</b>

**6. წმინდა საკომისიო შემოსავალი / (ხარჯი)**

	2020	2019
შემოსავალი სხვა გასამრჯელოდან და საკომისიოდან	517	438
უცხოური ვალუტის კონვეტირებით მიღებული (ხარჯი)/შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან	(1,686)	881
სხვა გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	(521)	(431)
	<b>(1,690)</b>	<b>888</b>

**7. თანამშრომლებზე გაცემული ხარჯი**

თანამშრომლებზე გაცემული ხარჯი 2020 და 2019 წლებისთვის იყო ასეთი:

	2020	2019
ხელფასები და სხვა სარგებელი	22,567	21,808
	<b>22,567</b>	<b>21,808</b>

**ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა, წილობრივი გადახდები**

2014 წლის 12 დეკემბერს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიზანია მოტივაციის გაზრდა და ჯგუფის ხელმძღვანელობის აღმასრულებელი გუნდის წახალისება კაპიტალის ზრდის სტრატეგიის განსახორციელებლად, ჯგუფის ინტერესების შემუშავება და დაცვა, აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფის გათვალისწინებით.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა არც შედგენილა და არც აღიარებულა ან განაწილებულა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

## 8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
კომუნალური მომსახურებები და კაპიტალიზაციის მომსახურებები	1,362	1,619
მოკლევადიანი იჯარებთან და დაბალფასიანი ერთეულებთან დაკავშირებული დანახარჯები	1,243	3,309
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერა და მომსახურება	1,154	633
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	987	1,061
საბანკო ხარჯები	592	969
საწევრო შენატანები	567	922
სახარჯო მასალები და საოფისე აღჭურვილობა	516	574
დაზღვევა	483	325
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	354	143
მარკეტინგი და რეკლამა	353	486
საწვავი	214	416
დაცვა-უსაფრთხოება	193	203
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	124	223
სამიწვინებო ხარჯები	100	369
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	41	145
საქველმოქმედო საქმიანობა	19	55
საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების კვლევა	-	124
სხვა	879	452
	<b>9,181</b>	<b>12,028</b>

## 9. გადასახადები

	2020	2019
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	-	1,877
	<b>-</b>	<b>1,877</b>
მოძრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში დროებითი სხვაობების წარმოქმნისა ან/და შემობრუნების გამო	783	(911)
<b>სულ მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>783</b>	<b>966</b>

მოქმედი საგადასახადო განაკვეთი მიმდინარე და გადავადებული გადასახადისთვის 15%-ს შეადგენს 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის.

### ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2020	2019
(ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგრამდე	<b>(69)</b>	<b>642</b>
მოგების გადასახადი კანონმდებლობით	(10)	96
გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით		
აუღიარებული გადავადებული გადასახადი	654	864
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	139	6
<b>სულ მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი</b>	<b>783</b>	<b>966</b>

### გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებები და საგა-

დასახადო მიზნებისათვის გამოყენებული თანხები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2023 წლის 1 იანვრიდან, მოგების გადასახადით დაბეგრის ახალი მოდელის დანერგვის გამო, ფინანსური ინსტიტუტები არ შეინარჩუნებენ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს ან ვალდებულებებს, იმ ფაქტის გამო, რომ საშემოსავლო გადასახადი დაირიცხება დივიდენდების გამოცხადებისას. ჯგუფის ხელმძღვანელობის თანახმად, მოგების გადასახადით დაბეგრის ახალ მოდელზე გადასვლის მომენტში გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაწილი გამოყენებული არ იქნება. შესაბამისად, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული გადასახადი თანხა 654 ათასი ლარით და 864 ათასი ლარით შემცირდა. გამოყენებული თანხები სრულად უკავშირდება მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დროებითი განსხვავებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	1 იანვარი, 2020	მოგებაში ან ზარალში აღიარებული	31 დეკემბერი, 2020
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	3,019	(939)	2,080
ძირითადი საშუალებები	(35)	43	8
არამატერიალური აქტივები	(57)	74	17
სხვა აქტივები	(20)	38	18
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	(13)	(135)	(148)
სესხები	334	13	347
საიჯარო ვალდებულება	51	131	182
სხვა ვალდებულებები	132	(8)	124
	<b>3,411</b>	<b>(783)</b>	<b>2,628</b>

	1 იანვარი, 2019	მოგებაში ან ზარალში აღიარებული	31 დეკემბერი, 2019
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,206	813	3,019
ძირითადი საშუალებები	(37)	2	(35)
არამატერიალური აქტივები	18	(75)	(57)
სხვა აქტივები	(85)	65	(20)
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	146	(159)	(13)
სესხები	389	(55)	334
საიჯარო ვალდებულება	-	51	51
სხვა ვალდებულებები	(137)	269	132
	<b>2,500</b>	<b>911</b>	<b>3,411</b>

## 10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	12,840	11,785
ნაშთები ბანკში	5,044	8,321
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>17,884</b>	<b>20,106</b>

ჯგუფის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ჯგუფის ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში და ისინი გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობებისთვის.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

## 11. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
<b>მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b>		
<b>წარმოებული ფინანსური აქტივები</b>		
უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები	-	-
ვალუტის სვოპ ხელშეკრულებები	2,509	-
<b>მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b>	<b>2,509</b>	<b>-</b>

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
<b>მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები</b>		
<b>წარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>		
უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები	-	(2,315)
ვალუტის სვოპ ხელშეკრულებები	-	(1,977)
<b>მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>(4,292)</b>

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოიცავს უცხოური ვალუტის ხელშეკრულებებს.

### სავალუტო სვოპები

ჯგუფი ბანკებისგან იმავე ბანკში უცხოურ ვალუტაში შესრულებული ანაბრებით უზრუნველყოფილი საკომპენსაციო სესხების არანაარმოებულ გარიგებებს წარმოებულ ინსტრუმენტებში აერთიანებს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარიგებები (ანაბრის განთავსება და სესხის აღება) არსებითად წარმოებულ ინსტრუმენტს წარმოქმნის. დასკვნა შემდეგ ინდიკატორებს ეფუძნება:

- ❖ ისინი ფორმდება ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით;
- ❖ მათ ერთი და იგივე კონტრაქტული ჰყავთ;
- ❖ ისინი ერთსადაიმავ რისკთან არიან დაკავშირებული;
- ❖ არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურისა და ხარისხისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- ❖ არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

### უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები

ფორვარდი არის სახელშეკრულებო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები კონკრეტული ოდენობით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში ჯგუფი იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში. სავალუტო ფორვარდები ერთიანად იფარება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ სახელშეკრულებო თანხებს, რომლებიც დაუფარავია 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის დარჩენილი პერიოდებით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალში და ფინანსურ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, ვითარებიდან გამომდინარე.

	პირობითი თანხა	
	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
<b>აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	157,113	12,159
3-დან 12 თვემდე	-	101,517
	<b>157,113</b>	<b>113,676</b>
<b>შვეიცარიული ფრანკის გაყიდვა ლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	1,855	-
	<b>1,855</b>	<b>-</b>
<b>შვეიცარიული ფრანკის გაყიდვა დოლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	4,011	-
	<b>4,011</b>	<b>-</b>
<b>ევროს გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა Sell EUR buy USD</b>		
3 თვეზე ნაკლები	12,070	-
	<b>12,070</b>	<b>-</b>

## 12. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ძირითადი თანხა	317,477	302,007
დარიცხული პროცენტი	11,849	8,477
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(13,446)	(13,273)
<b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>315,880</b>	<b>297,211</b>

### ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით:

მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	67,400	73,766
საბინაო სესხები	53,156	48,462
სასოფლო-სამეურნეო სესხები	55,103	58,960
მიკრო ბიზნეს სესხები	50,221	51,595
განვადებები	42,740	32,279
სალომბარდო სესხები	29,939	21,182
სამომხმარებლო სესხები	30,767	24,240
<b>სულ საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>329,326</b>	<b>310,484</b>

### მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები

გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(13,446)	(13,273)
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა</b>	<b>315,880</b>	<b>297,211</b>

მომხმარებლებზე გაცემული ყველა სესხი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. მომხმარებლებზე გაცემული სესხები ჯამდება ერთგვაროვანი პროდუქტის ჯგუფების მიხედვით, როდესაც თითოეულ ჯგუფში სესხები მსგავსი მახასიათებლებით ხასიათდება, მათი მაჩვენებლების, დაკავშირებული რისკების და საბაზისო ბიზნეს პროცესების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
<b>საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:</b>			
მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	67,400	(3,143)	64,257
საბინაო სესხები	53,156	(1,366)	51,790
სასოფლო-სამეურნეო სესხები	55,103	(3,761)	51,342
მიკრო ბიზნეს სესხები	50,221	(2,611)	47,610
განვადებები	42,740	(1,359)	41,381
სალომბარდო სესხები	29,939	(20)	29,919
სამომხმარებლო სესხები	30,767	(1,186)	29,581
<b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>329,326</b>	<b>(13,446)</b>	<b>315,880</b>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
<b>საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:</b>			
მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	73,766	(3,867)	69,899
საბინაო სესხები	48,462	(1,269)	47,193
სასოფლო-სამეურნეო სესხები	58,960	(4,127)	54,833
მიკრო ბიზნეს სესხები	51,595	(2,445)	49,150
განვადებები	32,279	(659)	31,620
სალომბარდო სესხები	21,182	(27)	21,155
სამომხმარებლო სესხები	24,240	(879)	23,361
<b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>310,484</b>	<b>(13,273)</b>	<b>297,211</b>

მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2020			სულ
	1-ლი ეტაპი 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	მე-3 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	
ნაშთი წლის დასაწყისში	2,975	3,942	6,356	13,273
ახალი სესხები	5,209	-	-	5,209
გადატანები 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	1,427	(1,427)	-	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – არა გაუფასურებული	(6,166)	6,326	(160)	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – გაუფასურებული	-	(4,688)	4,688	-
დაფარული სესხები	(1,457)	(1,215)	(348)	(3,020)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	(4)	-	(6,872)	(6,876)
წინა ჩამოწერების აღდგენა	7	3	1,486	1,496
ცვლილებები საკრედიტო რისკში ცვლილების გამო	1,633	344	993	2,970
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	352	352
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა	12	10	20	42
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>3,636</b>	<b>3,295</b>	<b>6,515</b>	<b>13,446</b>

შესაბამისი მოძრაობა მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2020			
	1-ლი ეტაპი 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	მე-3 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	214,927	84,948	10,609	310,484
ახალი სესხები	221,302	-	-	221,302
გადატანები 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	20,051	(20,051)	-	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – არა გაუფასურებული	(58,316)	58,884	(568)	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – გაუფასურებული	-	(6,267)	6,267	-
დაფარული სესხები	(141,838)	(55,539)	(115)	(197,492)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	(4)	-	(6,872)	(6,876)
წინა ჩამოწერების აღდგენა	7	3	1,486	1,496
საკურსო ზარალი	331	71	10	412
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>256,460</b>	<b>62,049</b>	<b>10,817</b>	<b>329,326</b>

მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2019			
	1-ლი ეტაპი 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	მე-3 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	3,224	3,991	3,341	10,556
ახალი სესხები	4,780	-	-	4,780
გადატანები 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	105	(105)	-	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – არა გაუფასურებული	(6,386)	6,398	(12)	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – გაუფასურებული	-	(6,287)	6,287	-
დაფარული სესხები	(1,648)	(933)	(200)	(2,781)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	(10)	(4)	(7,368)	(7,382)
წინა ჩამოწერების აღდგენა	8	5	1,180	1,193
ცვლილებები საკრედიტო რისკში	2,895	867	2,919	6,681
ცვლილების გამო	-	-	196	196
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	196	196
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა	7	10	13	30
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>2,975</b>	<b>3,942</b>	<b>6,356</b>	<b>13,273</b>

შესაბამისი მოძრაობა მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2019			
	1-ლი ეტაპი 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-2 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	მე-3 ეტაპი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	210,741	58,959	5,464	275,164
ახალი სესხები	234,083	-	-	234,083
გადატანები 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	8,077	(8,077)	-	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – არა გაუფასურებული	(82,017)	82,089	(72)	-
გადატანები არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში – გაუფასურებული	-	(8,379)	8,379	-
დაფარული სესხები	(156,359)	(39,805)	3,007	(193,157)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	(10)	(4)	(7,368)	(7,382)
წინა ჩამოწერების აღდგენა	8	5	1,180	1,193
საკურსო ზარალი	404	160	19	583
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>214,927</b>	<b>84,948</b>	<b>10,609</b>	<b>310,484</b>

### 13. წმინდა ინვესტიცია იჯარაში

წმინდა ინვესტიციები იჯარაში წარმოადგენს არა ვადაგადაცილებულ ფინანსურ აქტივებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ისინი 1-ელ ეტაპს მიეკუთვნება. 2020 წლის განმავლობაში აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი 20 ათას ლარს უტოლდება.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია საინვესტიციო სექტორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ინვესტიცია იჯარაში:	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
მომსახურება	612	(5)	607
მშენებლობა	363	(2)	361
სილამაზე და ჯანდაცვა	280	(2)	278
ვაჭრობა	252	(3)	249
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	243	(3)	240
წარმოება	239	(3)	236
სასოფლო მეურნეობა	104	(1)	103
სამომხმარებლო	90	-	90
უძრავი ქონების განვითარება	71	(1)	70
სასტუმრო, სარესტორნო და კვების ინდუსტრია	12	-	12
<b>სულ ინვესტიცია იჯარაში</b>	<b>2,266</b>	<b>(20)</b>	<b>2,246</b>

ფინანსური ანგარიში



## 14. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი	IT აღჭურვილობა	საიჯარო გაუმ- ჯობესებები	სხვა	სულ
<b>თვითღირებულება</b>							
2020 წლის 1 იანვარს	105	1,184	1,229	3,399	6,087	4,071	16,075
შესყიდვები	-	-	69	967	301	410	1,747
გასვლები	-	-	(6)	(2)	(89)	(100)	(197)
გადატანები	-	-	14	147	-	(161)	-
<b>2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>105</b>	<b>1,184</b>	<b>1,306</b>	<b>4,511</b>	<b>6,299</b>	<b>4,220</b>	<b>17,625</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
2020 წლის 1 იანვარს	(41)	(607)	(802)	(1,911)	(4,346)	(2,766)	(10,473)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3)	(174)	(187)	(482)	(566)	(444)	(1,856)
გასხვისებისას ელიმინირებული	-	-	6	-	40	7	53
<b>2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(44)</b>	<b>(781)</b>	<b>(983)</b>	<b>(2,393)</b>	<b>(4,872)</b>	<b>(3,203)</b>	<b>(12,276)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
<b>2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>61</b>	<b>403</b>	<b>323</b>	<b>2,118</b>	<b>1,427</b>	<b>1,017</b>	<b>5,349</b>
<b>თვითღირებულება</b>							
2019 წლის 1 იანვარს	105	1,184	1,024	2,938	5,194	4,901	15,346
შესყიდვები	-	-	172	267	598	337	1,374
გასვლები	-	-	(9)	(13)	(442)	(181)	(645)
გადატანები	-	-	42	207	737	(986)	-
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>105</b>	<b>1,184</b>	<b>1,229</b>	<b>3,399</b>	<b>6,087</b>	<b>4,071</b>	<b>16,075</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
2019 წლის 1 იანვარს	(38)	(376)	(628)	(1,470)	(2,855)	(2,280)	(7,647)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3)	(231)	(181)	(454)	(1,835)	(563)	(3,267)
გასხვისებისას ელიმინირებული	-	-	7	13	344	77	441
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(41)</b>	<b>(607)</b>	<b>(802)</b>	<b>(1,911)</b>	<b>(4,346)</b>	<b>(2,766)</b>	<b>(10,473)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>64</b>	<b>577</b>	<b>427</b>	<b>1,488</b>	<b>1,741</b>	<b>1,305</b>	<b>5,602</b>

დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ამორტიზებულმა ერთეულებმა შესაბამისად შეადგინა 6,188 ათასი და 2,793 ათასი ლარი. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში ძირითადი საშუალებების ნასყიდობასა თუ მშენებლობასთან დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების კაპიტალიზაცია არ მომხდარა.

## 15. გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

	შენობა-ნაგებობები და ოფისები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<b>თვითღირებულება</b>			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	3,516	1,023	4,539
შესყიდვები	10,433	120	10,553
გაუქმებები	-	(96)	(96)
იჯარების მოდიფიცირება	(136)	-	(136)
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>13,813</b>	<b>1,047</b>	<b>14,860</b>
<b>ცვეთა</b>			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(659)	(303)	(962)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2,234)	(355)	(2,589)
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(2,893)</b>	<b>(658)</b>	<b>(3,551)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>10,920</b>	<b>389</b>	<b>11,309</b>
<b>თვითღირებულება</b>			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	3,516	778	4,294
იჯარების მოდიფიცირება	-	245	245
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>3,516</b>	<b>1,023</b>	<b>4,539</b>
<b>ცვეთა</b>			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(659)	(303)	(962)
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(659)</b>	<b>(303)</b>	<b>(962)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>			
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>2,857</b>	<b>720</b>	<b>3,577</b>

მოძრაობა საიჯარო ვალდებულებებში 2020 და 2019 წლებში იყო შემდეგი:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	3,914	4,294
შესყიდვები	10,553	245
გაუქმებები	(101)	-
ცვლილებები	(136)	-
საპროცენტო ხარჯი	691	312
საკურსო სხვაობით მიღებული (შემოსულობა) / ზარალი	577	246
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,976)	(1,183)
<b>სულ</b>	<b>12,522</b>	<b>3,914</b>

როგორც მე-3 შენიშვნაში აღვნიშნეთ, ჯგუფმა განმეორებით შეაფასა იჯარის ვადები მისი 48 ფილიალისთვის და ნაშთი აღიარა ფასს (IFRS) 16-ის შესაბამისად.

საშუალო შეწონილი იჯარის ვადა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,8 და 4,3 წელია (შესაბამისად), ხოლო მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ვალდებულებებზე, შესაბამისად არის 7,3% და 6,7%.

**საიჯარო ვალდებულება**

**ვადიანობის ანალიზი**

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
	ფინანსური იჯარის ფარგ- ლებში დასაფარი თანხები	ფინანსური იჯარის ფარგ- ლებში დასაფარი თანხები
1-ლი წელი	4,391	1,260
მე-2 წელი	4,068	1,265
მე-3 წელი	3,100	840
მე-4 წელი	1,506	636
მე-5 წელი	535	432
მეტი	662	72
გამოკლებული: გამოუმუშავებელი პროცენტი	(1,740)	(591)
<b>სულ საიჯარო ვალდებულება</b>	<b>12,522</b>	<b>3,914</b>

**მოგებაში და ზარალში აღიარებული თანხები**

	2020	2019
ცვეთის ხარჯი	(2,589)	(962)
საპროცენტო ხარჯი	(691)	(312)
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(577)	(246)
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალფასიან ერთეულებთან დაკავშირებული დანახარჯები	(1,243)	(3,309)
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	5	-
<b>სულ</b>	<b>(5,095)</b>	<b>(4,829)</b>

## 16. არამატერიალური აქტივები

**არამატერიალური აქტივები**

	2020	2019
<b>თვითღირებულება</b>		
2019 წლის 1 იანვარს	<b>2,967</b>	
შესყიდვები	1,434	
2019 წლის 31 დეკემბრის	<b>4,401</b>	
შესყიდვები	544	
2020 წლის 31 დეკემბრის	<b>4,945</b>	
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>		
2019 წლის 1 იანვარს	<b>(1,415)</b>	
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(422)	
2019 წლის 31 დეკემბრის	<b>(1,837)</b>	
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(497)	
2020 წლის 31 დეკემბრის	<b>(2,334)</b>	
<b>საბალანსო ღირებულებები</b>		
2019 წლის 31 დეკემბრის	<b>2,564</b>	
2020 წლის 31 დეკემბრის	<b>2,611</b>	

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს, მათ შორის დაუმთავრებელ წარმოებას, ორგანიზაციაში შემუშავებულ პროგრამულ უზრუნველყოფას 260 ათასი ლარის ოდენობით.

## 17. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სხვა დებიტორული დავალიანებები	2,663	2,297
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(121)	-
<b>სულ სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>2,542</b>	<b>2,297</b>
ავანსები	962	937
დასაკუთრებული აქტივები	924	683
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	235	108
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	50	130
<b>სულ სხვა არაფინანსური აქტივები</b>	<b>2,171</b>	<b>1,858</b>
<b>სხვა აქტივები, სულ</b>	<b>4,713</b>	<b>4,155</b>

სხვა დებიტორული დავალიანებების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი აღიარებულია 2019 ს 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს ფულადი გზავნილების დებიტორულ დავალიანებებს „Paybox“-ის აპარატის ოპერატორების მიმართ, რომლებიც მალევე იფარება ანგარიშგების თარიღის შემდეგ.

## 18. ნასესხები სახსრები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ამორტიზებული ღირებულებით წარმოდგენილი პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთზე დაქვემდებარების, უცხოური ვალუტის და ლიკვიდურობის რისკების შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	273,397	248,235
სუბორდინირებული ვალი	6,571	5,748
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>279,968</b>	<b>253,983</b>

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ძირითადი თანხა	275,893	250,604
დარიცხული პროცენტი	4,075	3,379
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>279,968</b>	<b>253,983</b>

ჯგუფის სესხად აღებული თანხების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
ნასესხები სახსრები	-	-
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>279,968</b>	<b>253,983</b>
ნასესხები სახსრები	279,968	253,983
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>279,968</b>	<b>253,983</b>

### სუბორდინირებული ვალი

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული ვალი არის სესხი უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციისგან „Bank Im Bistum Essen EG“ არის მიღებული, ვადა 2025 წელს გასდის და შეადგენს 6,571 ათას და 5,748 ათას ლარს, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9%.

გაკორტრების შემთხვევაში სუბორდინირებული ნასესხები სახსრების დაფარვა განხორციელდება ჯგუფის ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

## ვადები და ვალის დაფარვა

დაუფარავი ნასესხები თანხების პირობებია შემდეგი:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადის ამონურვის წელი	31 დეკემბერი, 2020 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2019 საბალანსო ღირებულება
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	აშშ დოლარი	2.75% – 7.25%	2020 – 2024	152,450	112,687
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	11.00% – 13.77%	2020 – 2024	120,947	135,548
სუბორდინირებული ვალი უზრუნველყოფის გარეშე	აშშ დოლარი	9.00%	2025	6,571	5,748
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>				<b>279,968</b>	<b>253,983</b>

### ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების შეჯამება

	1 იანვარი, 2020	სესხების მიღება 2020 წლის განმავლობაში	სესხების დაფარვა 2020 წლის განმავლობაში	2020 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2020 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო ზარალი 2020 წლის განმავლობაში	31 დეკემბერი, 2020
ნასესხები სახსრები	253,983	122,701	(120,648)	26,990	(26,294)	23,236	<b>279,968</b>

	1 იანვარი, 2019	სესხების მიღება 2019 წლის განმავლობაში	სესხების დაფარვა 2019 წლის განმავლობაში	2019 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2019 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო ზარალი 2019 წლის განმავლობაში	31 დეკემბერი, 2019
ნასესხები სახსრები	230,917	95,883	(81,106)	19,885	(19,594)	7,998	<b>253,983</b>

### აუთვისებული საკრედიტო ხაზები

2019 წლის დეკემბერში ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“ 15,000 ათასი ლარის ოდენობით ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზით, რომელსაც ვადა 2021 წელს გასდის.

2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან“ 10,000 ათასი ლარის ოდენობით ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზით, რომელსაც ვადა 2021 წელს გასდის.

2020 წლის დეკემბერში ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“ 5,000 ათასი ლარის ოდენობით ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზით, რომელსაც ვადა 2021 წელს გასდის.

**კოვენანტის მოთხოვნები**

ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ ჩამოთვლილი სესხებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

ჯგუფის მთლიანი ფინანსური შედეგების გამო, 2030 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ჯგუფი არღვევს შემოსავლიანობის კოეფიციენტებს მისი საკრედიტო ხელშეკრულებების უმეტესობის ფარგლებში, ადგილობრივი ბანკებისგან, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან, განვითარების ფინანსური დაწესებულებებისგან და მიკროსაფინანსო საინვესტიციო სტრუქტურებისგან მიღებული თანხებისთვის. ბასს (IAS) 1-ზე

(„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“) დაყრდნობით, ხელმძღვანელობამ ნახესხებ სახსრებს მიანიჭა მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია, რომელიც თავის მხრივ იწვევდა ლიკვიდურობის კოეფიციენტების დარღვევას რამდენიმე კრედიტორთან. ჯგუფის მთლიანი ფინანსური შედეგების გამო, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ჯგუფი არღვევს შემოსავლიანობის კოეფიციენტებს პარტნიორების უმრავლესობის მიმართ: ადგილობრივი ბანკები, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები, განვითარების ფინანსური დაწესებულებები და მიკროსაფინანსო საინვესტიციო სტრუქტურები. მიმდინარე კლასიფიცირებული და 1 თვემდე დაფარვის კატეგორიაში წარდგენილი ნახესხები სახსრების მთლიანი ღირებულება ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 273,240 ათას ლარს შეადგენდა.

**19. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები**

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთზე დაქვემდებარების, უცხოური ვალუტის და ლიკვიდურობის რისკების შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ძირითადი თანხა	12,407	12,407
დარიცხული პროცენტი	318	260
<b>სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>12,725</b>	<b>12,667</b>

ჯგუფის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	-	12,407
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>	12,725	260
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		
<b>სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>12,725</b>	<b>12,667</b>

**კორპორატიული ობლიგაციები**

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს კორპორატიული ობლიგაციას. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა ჯგუფის მიერ 2019 წლის მარტის თვეში გამოშვებულ კორპორატიულ ობლიგაციას, ნომინალური ღირებულებით 12,5 მილიონი ლარი, რომლის დაფარვის ვადა 2021 წლის თებერვალია. ობლიგაციების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი 4%-ია, საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების წლიური განაკვეთით, პირობით თანხაზე.

**ვადები და ვალის დაფარვა**

ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 4%+ სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი	ვადის ამოწურვის წელი	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
			საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	ლარი	2021	12,725	12,667
<b>სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები</b>			<b>12,725</b>	<b>12,667</b>

**ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებების შეჯერება:**

	1 იანვარი, 2020	სავალო ფასიანი ქაღალდების მიღება 2020 წლის განმავლობაში	სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა 2020 წლის განმავლობაში	2020 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2020 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	2020 წლის განმავლობაში მიღებული შემოსულობა	31 დეკემბერი, 2020
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	12,667	-	-	1,555	(1,497)	-	<b>12,725</b>
	1 იანვარი, 2019	სავალო ფასიანი ქაღალდების მიღება 2019 წლის განმავლობაში	სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა 2019 წლის განმავლობაში	2019 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2019 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	2019 წლის განმავლობაში მიღებული შემოსულობა	31 დეკემბერი, 2019
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	9,945	12,500	(9,964)	2,437	(2,251)	-	<b>12,667</b>

## 20. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სხვა კრედიტორული დავალიანება	1,062	781
თანამშრომლების ანაზღაურების დანარჩენები	778	822
<b>სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,840</b>	<b>1,603</b>
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	9	7
<b>სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები</b>	<b>9</b>	<b>7</b>
<b>სხვა ვალდებულებები, სულ</b>	<b>1,849</b>	<b>1,610</b>

თანამშრომლის კომპენსაციის დარიცხვა მოიცავს თანამშრომლებისთვის გადასახდელ თანხას ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმასთან მიმართებაში, რომელიც ნაღდი ფორმით დაიფარა, აღიარებულია ხარჯით ვალდებულებების შესაბამისი ზრდით, იმ პერი-

ოდის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც თანამშრომლები მიიღებენ გადახდაზე უპირობო უფლებას.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

## 21. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

### სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

პარტნიორი	აქციების რაოდენობა	სტანდარტული/ არა გამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლებები	კაპიტალი ლარი
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,186,157	სტანდარტული	38.75%	38.75%	1,185
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	სტანდარტული	12.37%	12.37%	379
ფონდი კრისტალი	32,682	სტანდარტული	1.07%	1.07%	33
ინდივიდუალური აქციონერები	1,463,624	სტანდარტული	47.81%	47.81%	1,464
	<b>3,061,182</b>		<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>3,061</b>
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	304,613	პრივილეგირებული	53.12%	0.00%	305
AGRIF COÖPERATIEF U.A.	268,781	პრივილეგირებული	46.88%	0.00%	269
	<b>573,394</b>		<b>100.00%</b>	<b>0.00%</b>	<b>574</b>

სააქციო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

პარტნიორი	აქციების რაოდენობა	სტანდარტული/ არა გამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლებები	კაპიტალი ლარი
ფონდი კრისტალი	1,424,515	სტანდარტული	46.53%	46.53%	1,424
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	სტანდარტული	37.12%	37.12%	1,136
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	სტანდარტული	12.37%	12.37%	379
ინდივიდუალური აქციონერები	121,791	სტანდარტული	3.98%	3.98%	122
	<b>3,061,182</b>		<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>3,061</b>
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	304,613	პრივილეგირებული	53.12%	0.00%	305
AGRIF COÖPERATIEF U.A.	268,781	პრივილეგირებული	46.88%	0.00%	269
	<b>573,394</b>		<b>100.00%</b>	<b>0.00%</b>	<b>574</b>

ყველა ჩვეულებრივ აქციას აქვს ნომინალური ღირებულება 1 ლარი და ისინი სრულად არის დაფარული.

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბრად ნაწილდება ჯგუფის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

### საემისიო შემოსავალი

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს თანხას, რაც მიღებული იქნება აქციის სარეგისტრაციო ღირებულების გარდა. ამის შემდეგ შესაძლოა გენერირება მოხდეს იმავე წყაროებით, როგორც სააქციო კაპიტალი: 1) აქციების ფაქტიური გამოშვება და 2) MIP-ის ფარგლებში.

საემისიო შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების მდგომარეობით შეადგენდა 22,110 ათას ლარს. შესყიდვა 2019 წელს ამავე წლის მარტის თვეში პრივილეგირებული აქციის გამოშვების შედეგია.

### დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები და უფლებამოსილი არიან, ყოველწლიურად ჯგუფის აქციონერთა კრებაზე მიიღონ ერთ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება.

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება უქმდება და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

აქციონერების გადანაწილების საფუძველზე 999 ათასი ლარის და 767 ათასი ლარის დივიდენდები გამოცხადდა 2020 და 2019 წლებში, შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ჯგუფის ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილი ფორმით.

## 22. პირობითი ვალდებულებები

### სასამართლო დავები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძვრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

### საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს კანონმდებლობა კომერციული საქმიანობის შესახებ, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, არაერთი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, არსებობს იმის რისკიც, რომ საგადასახადო ორგანოებმა თვითნებურად შეაფასონ ბიზნეს ოპერაციები. თუ საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ ხელმძღვანელობის რომელიმე განსჯას ბანკის ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებით, ბანკს შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

საქართველოს კანონმდებლობა სატრანსფერო ფას-წარმოქმნის შესახებ 2014 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა და დაინერგა დამატებითი ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს, დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეულ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა რიცხვიც შედის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, თუკი ისინი გადაწყვეტენ, რომ ოპერაცია არ არის შეფასებული გაშლილი ხელის პრინციპის მიხედვით. საგადასახადო ორგანოების მიერ ჯგუფის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრაქტიკაში ეჭვის შეტანის შედეგის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა შეუძლებელია.

ასეთი გაურკვევლობა შეიძლება უკავშირდებოდეს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებას, გაუფასურების ზარალის ანარიცხების შეფასებას და გარიგებების საბაზრო ფასების განსაზღვრას. გარდა ამისა, ეს გაურკვევლობა შეიძლება ასევე შეეხოს მომხმარებლებზე გაცემული სესხების და დებიტორული დავალიანების გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნისა და შებრუნების დროებითი სხვაობების შეფასებას, და ჩაითვალოს დასაბეგრი მოგების შემცირებად. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და, შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამისათვის შესაბამისი რეზერვი არ არის გამოყოფილი.

### საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სო-

ციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე, განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით, განსხვავებული ინტერპრეტაციებით. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს, მთავრობის მიერ, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაკვალა, თუმცა გაცილებით მეტია მოსალოდნელი საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

**კოვიდ-19** ამის შემდეგ, 2020 წლის დასაწყისიდან ახალი კორონავირუსის დაავადებამ (კოვიდ-19) დაიწყო სწრაფი გავრცელება მთელს მსოფლიოში, რამაც გამოიწვია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის სტატუსის გამოცხადება 2020 წლის მარტის თვეში. მრავალმა ქვეყანამ გაატარა პრევენციული ღონისძიება კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუშალა ბევრ კომპანიას ფუნქციონირებაში და ამას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. რადგან სიტუაცია სწრაფად ვითარდება, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მრავალი კომპანიის ბიზნესზე სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, შეუზღუდავად, ისეთი გავლენა, როგორც არის ბიზნეს ოპერაციების ნგრევა წარმოების შეფერხების ან ობიექტების დახურვის, მიწოდების ქსელის რღვევის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნის და ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. შედეგად, ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს კოვიდ-19 დიდი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი ნეგატიური გავლენის გამო.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ეკონომიკური ვითარების მიმდინარე ცვლილებებს და ატარებს ღონისძიებებს, რომლებსაც ის საჭიროდ მიიჩნევს უახლოეს მომავალში ჯგუფის სტაბილურობის და განვითარების დონის შესანარჩუნებლად. თუმცა, კოვიდ-19-ის გავლენის მნიშვნელობა ჯგუფის ბიზნესზე დიდად არის დამოკიდებული პანდემიის ეფექტების ხანგრძლივობასა და გავრცელებაზე მსოფლიოსა და სომხეთის ეკონომიკაზე. ჯგუფის ოპერაციების მომავალ შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ეკონომიკური გარემოს ცვლილების გავლენა რთული განსასაზღვრია.

## 23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

### კონტროლი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერები არიან „AGRIF COÖPERATIEF U.A.“ და „DWM Funds S.C.A-SICAV SIF“ 38,75% და 12,37%-იანი წილით (შესაბამისად) (იხილეთ 1-ლი შენიშვნა).

### ტრანზაქციები სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოების წევრებთან

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პერსონალის გასამრჯელოში გაწეული სრული ანაზღაურება და ხელმძღვანელობის საკონსულტაციო გადასახადი შემდეგია:

	2020	2019
ხელფასები და პრემიები	1,128	1,106
საკონსულტაციო ხარჯები	516	472
	<b>1,644</b>	<b>1,578</b>

### სხვა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

	გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი 2020	გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი 2019	სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
<b>სხვა</b>				
სს „მობაილ ფაინენს სერვის – ჯორჯია“*	521	431	426	309
	<b>521</b>	<b>431</b>	<b>426</b>	<b>309</b>

ეს ხარჯები ხასიათით 2 სახის არის:

1. ფულის განაღების საკომისიო, რომელიც არსებითად მომხმარებლების ხარჯს წარმოადგენს, მაგრამ ჯგუფი ფარავს მას პროცესის გამარტივების და კონკრეტული ტექნიკური სირთულეების თავიდან არიდების მიზნით – 371 ათასი ლარი (2019 წ.: 277 ათასი ლარი)
2. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების და მომსახურების ინტეგრაციის საკომისიო – 150 ათასი ლარი (2019 წ.: 154 ათასი ლარი)

\* სს „მობაილ ფაინენს სერვის – ჯორჯიას“ ფლობს ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრი.

## 24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს სამართლიან ღირებულებას განმარტავს, როგორც თანხას, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის.

ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა, სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველოს კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რელიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს. ხელმძღვანელობა ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

### სამართლიანი ღირებულების იერარქია

ჯგუფი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკოტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- 2-ლი დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- 3-ლი დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არა-

საბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

### ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებსაც მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (3 თვეზე ნაკლები), ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უახლოვდება. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრებს და მიმდინარე ანგარიშებს, დაფარვის ვადის გარეშე.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

**სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები** – სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

**მომხმარებლებზე გაცემული სესხები** – ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი მისაღები საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

**ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები** – სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელის შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმ-

ძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით სესხების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

**საიჯარო ვალდებულება** – საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით შემცირებულ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტების ვალუტასა და ვადიანობაზე. საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება მის თვითღირებულებას უახლოვდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო და სამართლიანი ღირებულება, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი, 2020		31 დეკემბერი, 2019	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	დონე 1	17,884	17,884	20,106	20,106
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	დონე 3	315,880	320,963	297,211	305,088
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	დონე 3	2,246	2,246	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	დონე 3	2,542	2,542	2,297	2,297
ნასესხები სახსრები	დონე 3	279,968	279,206	253,983	252,453
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	დონე 3	12,725	12,725	12,667	12,667
საიჯარო ვალდებულება	დონე 3	12,522	12,522	3,914	3,914
სხვა ფინანსური ვალდებულებები	დონე 3	1,840	1,840	1,603	1,603

### ჯგუფის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ (კონკრეტულად, შეფასების მეთოდ(ებ)ი და გამოყენებული შემავალი ინფორმაცია).

სამართლიანი ღირებულება						
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	სამართლიანი ღირებულების იერარქია	შეფასების მეთოდ(ებ)ი და მნიშვნელოვანი შემავალი ინფორმაცია	მნიშვნელოვანი არაემპირიული შემავალი ინფორმაცია	არაემპირიული შემავალი ინფორმაციის და სამართლიანი ღირებულების დამოკიდებულება
მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	2,509	-	Level 2	სამომავლო ფულადი ნაკადები შეფასებულია ფორვარდულ გადაცვლით კურსზე (ხელშესახები ფორვარდული გადაცვლის კურსებიდან რეპორტირების პერიოდის ბოლოსთვის) და ფორვარდულ სახელშეკრულებო განაკვეთებზე დაყრდნობით	მითითებული არ არის	მითითებული არ არის
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	-	4,292	Level 2	სამომავლო ფულადი ნაკადები შეფასებულია ფორვარდულ გადაცვლით კურსზე (ხელშესახები ფორვარდული გადაცვლის კურსებიდან რეპორტირების პერიოდის ბოლოსთვის) და ფორვარდულ სახელშეკრულებო განაკვეთებზე დაყრდნობით	მითითებული არ არის	მითითებული არ არის

ჯგუფი იყენებს ფართოდ აღიარებულ შეფასების მოდელს იმისათვის, რომ განსაზღვროს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლის კონტრაქტები და სავალუტო სვოპები, რომლისთვისაც გამოიყენება მხოლოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები და საჭიროებს ნაკლებ შეფასებებს და გადაწყვეტილებებს ხელმძღვანელობის მხრიდან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 25. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის მიზნებია:

- უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისეთი ფორმით, რომ მან გააგრძელოს აქციონერებისთვის უკუგების შექმნა; და
- აქციონერებისთვის ადეკვატური ამონაგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. ჯგუფი თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში კორექტივები შეაქვს ეკონომიკური პირობების ცვლილების და საბაზისო აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს. გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფი შეესაბამება მინიმალური საზედამოებელი კაპიტალის მოთხოვნებს – კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები (2018 წ.: 500 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან ჯგუფს ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდურობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაკავშირებული მხარის ზემოქმედება და დაგირავებული აქტივების კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია იქონიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

- 2018 წლის 1 სექტემბერი – 2018 წლის 31 დეკემბერი: სულ მცირე 16%
- 2019 წლის 1 იანვარი – 2019 წლის 30 ივნისი: 16-18%
- 2019 წლის 1 ივლისის შემდეგ – სულ მცირე 18%

ფინანსურ სექტორზე კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, სებმა გამოსცა CAR მოთხოვნები ცალკეული შემთხვევების საფუძველზე. ჯგუფი შეესაბამებოდა მოთხოვნებს მთელი პერიოდის განმავლობაში, ასევე ანგარიშების თარიღის მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020	2019
სააქციო კაპიტალი	3,635	3,635
დამატებითი შენატანები კაპიტალში	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება	32,266	34,117
ავტორიზებული სუბორდინირებული ვალი	6,571	5,748
<b>საზედამოებელი კაპიტალი შემცირებამდე</b>	<b>64,582</b>	<b>65,610</b>
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(2,611)	(2,564)
<b>საზედამოებელი კაპიტალი</b>	<b>61,971</b>	<b>63,046</b>
	<b>2020</b>	<b>2019</b>
სულ აქტივები შემცირებამდე	366,074	337,095
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(2,611)	(2,564)
<b>სულ აქტივები შემცირების შემდეგ</b>	<b>363,463</b>	<b>334,531</b>
	<b>December 31, 2020</b>	<b>December 31, 2019</b>
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	17.05%	18.85%

ჯგუფი ასევე აკონტროლებს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს ვალის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, რომელიც დაანგარიშდება კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად. იხილეთ მე-18 შენიშვნა კოვენანტებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

## 26. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვა არსებითი მნიშვნელობის არის ბიზნესისთვის და ასევე არსებით ელემენტს წარმოადგენს ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფის ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრა, გაანალიზება და მართვა, სათანადო საკრედიტო ლიმიტების და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რომ ასახავდეს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარ ცვლილებებს და ახალ საუკეთესო პრაქტიკას.

სამეთვალყურეო საბჭოს მის კომიტეტებთან ერთად აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა რისკის მართვის სტრუქტურის მიმოხილვაზე, მნიშვნელოვანი რისკების მართვის მიმოხილვაზე და მისი რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე, ასევე მნიშვნელოვანი მსხვილი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს რისკების მართვის კომიტეტი და ფინანსური დეპარტამენტი პასუხს აგებენ რისკის შემსუბუქების ღონისძიებების გაკონტროლებაზე და განხორციელებაზე, ასევე იმის დამტკიცებაზე, რომ ჯგუფი ფუნქციონირებს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკის მართვის განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. ის პირდაპირ აღმასრულებელი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულია.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკი ერთად და ცალ-ცალკე, ასევე, ტრანსაქციის დონეები, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტის და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის სისტემის მიერ. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ჯგუფი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადაგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. კონკრეტული ყურადღება ექცევა რისკ-ფაქტორების სრული დიაპაზონის იდენტიფიცირებას და არსებული რისკის

შემსუბუქების პროცედურების უზრუნველყოფის დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკის ანალიზისგან განსხვავებით, რისკების მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს რეგულარული შეხვედრების ჩატარებით საოპერაციო ერთეულებთან, რათა მიღებულ იქნას ექსპერტის დასკვნები მათი მართვის სფეროში.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის რომელიმე მხარე ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჯგუფს აქვს შემუშავებული კრედიტის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ჰყავს საკრედიტო კომიტეტი და სხვა ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სესხის განაცხადის ანალიზზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს ფორმით) გადაიხედება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მიმდინარე მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სესხზე განაცხადების დაფინანსების ან უარყოფის შესახებ. კომიტეტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა საკრედიტო პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სისწორე არის იმ საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ავსებს საკრედიტო განაცხადს მას შემდეგ, რაც განხორციელდება განმცხადებლის ბიზნესის შემოწმება და საკრედიტო რისკების შეფასება, საკრედიტო ქულების მოდელის და განაცხადების მო-



ნაცემების შემოწმების პროცედურების შემოწმების გზით. საბოლოოდ საკრედიტო კომიტეტის წევრები აფასებენ განცხადებას დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტუნარიანობა და ა.შ.).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება განმცხადებლის ბიზნესის მონიტორინგის გზით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას, დროულად მოახდინოს ფინანსური ზარალის დადგომის საფრთხის იდენტიფიკაცია. მონიტორინგს აწარმოებენ საკრედიტო ოფიცრები, რომლებიც ახორციელებენ შედეგების ხელმძღვანელობისთვის მიწოდებას. სესხების რეგულარულ მონიტორინგს ასევე ახორციელებს მონიტორინგის დეპარტამენტი. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისთვის უნდა განხორციელდეს რისკების მონიტორინგი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის ყოველთვიურად მიწოდების გზით. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკების მართვას და მათ დროულ შემცირებას.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდაცობების მიღებით.

გარდა მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზისა, საკრედიტო პორტფელი ფასდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ, საკრედიტო კონცენტრაციისა და ბაზრის რისკების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს კრედიტორები ან დაკავშირებული კრედიტორების ჯგუფები, რომელთა მიმართაც საკრედიტო რისკი აქარბებდეს მაქსიმალური საკრედიტო რისკის მოცულობის 10%-ს.

**2020 და 2019 წლებში მოქმედი პორტფელის სეგმენტაცია**

პორტფელის სეგმენტებად დაყოფის მიზნისათვის, პორტფელის ჯგუფების რისკების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, პორტფელი იყოფა ჯგუფად პროდუქტის ტიპების მიხედვით: მიკრო ბიზნესი, მცირე და საშუალო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი, სამომხმარებლო, განვადება და სალომბარდო სესხები. ვინტაჟ-ანალიზი და დეფოლტის განაკვეთის ანალიზი ტარდება იდენტიფიცირებული სეგმენტების ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით. დეფოლტის ალბათობა დაანგარიშდება განცალკევებით, ზემოთ ხსენებული თითოეული ჯგუფისთვის.

კლიენტის დაქვემდებარება დამატებით იყოფა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ სესხებად, რადგან ეს ორი სხვადასხვა მახასიათებლებით ხასიათდება და განსხვავებული რისკის მატარებლები არიან.

**მნიშვნელოვანი ზრდა 2020 და 2019 წლების საკრედიტო რისკში**

როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყის ეტაპზე დაფიქსირებული დეფოლტის რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისობაშია და ხელმისაწვდომია დამატებითი მნიშვნელოვანი ხარჯების ან ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე – თვისებრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, ასევე საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის სიცოცხლის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- ანგარიშგების თარიღში დარჩენილი ვადის დეფოლტის ალბათობა; დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების თავდაპირველი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.

- ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული.

ჯგუფი ახორციელებს იმ კრიტერიუმის ეფექტურობის მონიტორინგს, რომელიც გამოიყენება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიკაციისთვის რეგულარული შემოწმების გზით იმის დასადასტურებლად, რომ:

- კრიტერიუმი არის სწორად შემუშავებული მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენისთვის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მიმართულებით, სანამ დაფიქსირდება დეფოლტი;
- კრიტერიუმი არ განიხილავს იმ მომენტს, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12-თვიან და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობებს შორის.

**2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საკრედიტო რისკის კატეგორიები**

ჯგუფი ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მიიჩნევა საპროგნოზოდ, დეფოლტის რისკისთვის და იყენებს გამოცდილ საკრედიტო მსჯელობას. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის დეფოლტის რისკის ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობისა და მსესხებლის ტიპიდან გამომდინარე.

ყველა დონე ნაწილდება საკრედიტო რისკის კატეგორიაზე თავდაპირველი აღიარებისას, მსესხებლის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. რისკების დონეები მიმდინარე მონიტორინგის საგანს წარმოადგენს, რამაც შესაძლოა გამოწვიოს დონის გადასვლა სხვადასხვა საკრედიტო რისკის კატეგორიაზე.

სესხის გაცემისთანავე, ხდება საკრედიტო ქულის მინიჭება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც მოგვიანებით კლასებში აისახება.

გასაცემი სესხის კატეგორიები:

- A > 88 ქულა
- B 82-88 ქულა
- C <= 81 ქულა
- C1 მითითებული არ არის (აგრო-ბარათები და სეზონური სესხები, რომლებზეც არ ვრცელდება კრიტერიუმები)

კატეგორია დავალიანების შემთხვევაში:

- C3 1-30 დღიანი ვადაგადაცილება
- D 31-60 დღიანი ვადაგადაცილება
- D1 61-90 დღიანი ვადაგადაცილება
- D2 91-120 დღიანი ვადაგადაცილება
- D3 121-180 დღიანი ვადაგადაცილება
- E > 180 დღიანი ვადაგადაცილება

რესტრუქტურირებული სესხების კატეგორიები:

- R1 მიმდინარე რესტრუქტურირაცია და რესტრუქტურირაცია 1-90 დღიანი ვადაგადაცილებით
- R2 რესტრუქტურირაცია >90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით

სალომბარდო პორტფელის კატეგორიები:

- P მთელი სალომბარდის პორტფელი მოცემულია აღნიშნულ კატეგორიაში

**დეფოლტის კატეგორიები:**

D2, D3, E, R2 – ჯგუფი იყენებს სხვადასხვა დარეზერვების დონეს, ქვემოთ მოცემული წესის შესაბამისად:

სესხები, რომლებიც მანამდე D2, D3 კატეგორიაში იყო და მოხდა მათი რესტრუქტურირაცია, R2 კატეგორიაში გადადის.

**დაკვირვების ქვეშ არსებული სესხები:**

ეს ჯგუფი წარმოდგენილია სესხებით, რომლებსაც მიენიჭათ D და D1 კატეგორია ბოლო დავალიანების გამო, მაგრამ აღარ აქვს ვადაგადაცილება, R1 და სესხები, რომლებიც რისკების მართვის დეპარტამენტმა გადაიყვანა C2 კატეგორიაში, ქვემოთ მოცემული სპეციფიკური წესების გათვალისწინებით (ქულები აქ არ გამოიყენება).

**კატეგორიის ცვლილება**

დაშვებულია A, B, C, C1 კატეგორიებს შორის მიგრაცია. ცვლილება დამოკიდებულია რეიტინგის მოდიფიკაციაზე, რომელიც დაანგარიშდება ყველაზე ახლო ფინანსური ანალიზის შედეგად.

C3 კატეგორიის ნებისმიერი სესხი, რომელიც აღარ არის ვადაგადაცილებული, A, B, C და C1 კატეგორიებში გადადის.

თუ სესხები, რომლებიც იყო D და D1 კატეგორიაში, აღარ არის ვადაგადაცილებაში, ისინი C2 კატეგორიაში გადადის. ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდება სესხის დაბრუნება შესაბამის კატეგორიაში (ვადაგადაცილების კატეგორიის მიხედვით).

იმ შემთხვევაში, თუ არსებული 2 სესხი ვადაგადაცილებულია 1 დღით მაინც ბოლო 6 თვის განმავლობაში, სესხი დაბრუნდება გაცემის მომენტში მინიჭებულ კატეგორიაში.

იმ შემთხვევაში, თუ R1 კატეგორიის სესხის გადახდა ხდება დროულად, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში და თუ ყოველწლიური შენატანის მინიმუმ 50% გადახდილია, ჩატარდება დამატებითი ფინანსური ანალიზი. რისკების მართვის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე და კლიენტის სურვილისამებრ, რეფინანსირება შესაძლოა განხორციელდეს ახალი სესხის გაცემის გზით. ასეთი სახის სესხი მიეკუთვნება C2 კატეგორიას მისი დაფარვისთანავე.

D2, D3, E და R2 სესხები მუდმივად რჩება მოცემულ კლასში.

პარალელური სესხების შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი გონივრული განმარტებები:

- თუ კლიენტს აქვს ერთი ვადაგადაცილებული სესხი, მომხმარებლის ყველა სესხი აღნიშნულ კატეგორიაში იქნება, არსებული სესხებისგან ყველაზე დიდი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მაჩვენებლით.

ფინანსური ანგარიში 2020

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს ერთი რესტრუქტურირებული სესხი, მისი ყველა დანარჩენი სესხი გადადის რესტრუქტურირებული სესხების კატეგორიაში, რესტრუქტურირება ვადაგადაცილებამდე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, თუ მომხმარებელს 1 რესტრუქტურირებული სესხი და 1 ვადაგადაცილება აქვს, ორივე მათგანი შევა რესტრუქტურირების კატეგორიაში.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს პარალელური სესხები, და მათგან არც ერთი არ არის ვადაგადაცილებული, რესტრუქტურირებული ან არ არის შესული C1, C2 კატეგორიაში, ყველა მათგანს მიენიჭება კატეგორია, რომელიც მას მიენიჭა ბოლო სესხის გაცემის დროს. მაგალითად, თუ მომხმარებელს ქონდა ერთი სესხი A კატეგორიაში, რომელიც მან მიიღო 2018 წელს და შემდეგი სესხი აიღო 2019 წელს, რომელსაც მიენიჭა B კატეგორია, ორივე სესხი გაერთიანდება B კატეგორიაში, რადგან ეს არის ბოლოს გაცემული სესხის კატეგორია. ნებადართულია ორივე სესხი – მომატებული და დაბალი.

## 27. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა მიიღო შემდეგი დაფინანსება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- 2021 წლის თებერვალში მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის დადგომისას, ჯგუფმა დაფარა თავისი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.
- 2021 წლის თებერვალში ჯგუფმა სს „თიბისი ბანკთან“ გააფორმა 2 10,000 ათასი ლარის სასესხო ხელშეკრულება;
- 2021 წლის მარტის თვეში ჯგუფმა სს „ბაზა ბანკი საქართველოსთან“ გააფორმა 3,000 ათასი ლარის სასესხო ხელშეკრულება და 5,000 ათასი ლარის ხელშეკრულება სს „ბაზის ბანკთან“;
- 2021 წლის აპრილის თვეში ჯგუფმა 2 სასესხო ხელშეკრულება გააფორმა „responsAbility“-სთან მთლიან თანხაზე 5,000 ათასი აშშ დოლარი და ასევე სასესხო ხელშეკრულება სს „ლიბერთი ბანკთან“ 5,000 ათას ლარზე.
- 2021 წლის მაისში ჯგუფმა „Symbiotics“-თან გააფორმა 5,000 ათასი აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულება;
- 2021 წლის ივნისში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება „responsAbility“-სთან 2,000 ათას აშშ დოლარზე, 3,000 ათასი აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულება - „BlueOrchard“-თან, 8,000 ათასი ლარის სესხის ხელშეკრულება სს „ბაზის ბანკთან“ და 2 საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“ შესაბამისად 20,000 ათას ლარსა და 19,900 ათას ლარზე.

2021 წლის აპრილში ჯგუფის საორგანიზაციოს სტრუქტურაში კონკრეტული ცვლილებები განხორციელდა ჯგუფის სტრატეგიებისა და საქმიანობებზე უკეთესი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. შედეგად:

- გიორგი მეგენიშვილი შეუერთდა დირექტორთა საბჭოს რისკების უფროსი ოფიცრის (CRO) სახით. ეს დირექტორატი ახალია და მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან პოზიციას, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს აქამდე უფროსი აღმასრულებელი ოფიცრისა და უფროსი ბიზნეს ოფიცრის მიმართულებებში ასრულებდნენ;
- რამდენიმე დეპარტამენტი გადანაცვლდა სხვადასხვა უფროსი ოფიცრების გუნდებს შორის;
- მანუჩარ ჩიტაიშვილი ახლა ადამიანების უფროსი ოფიცრია (CPO).

# დონორთები



# დანართი 1

## გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა 2020 წლის მდგომარეობით

გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი

<b>საბჭოს ლიდერობა და კომპანიის მიზანი</b>	<b>4.6</b>	<b>შემადგენლობა, უფლებამონაცვლეობა და შეფასება</b>	<b>3.66</b>
ა: ეფექტიანი საბჭო	სრულად	კ: დანიშვნა და უფლებამონაცვლეობა	ნაწილობრივ
ბ: კომპანიის მიზანი და კულტურა	სრულად	ლ: უნარ-ჩვევების ერთობლიობა, განმეორებითი არჩევნები	ნაწილობრივ
გ: რესურსები და კონტროლი	სრულად	მ: წლიური შეფასება	სრულად
დ: დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა	ნაწილობრივ	<b>აუდიტი, რისკი და შიდა კონტროლი</b>	<b>5.0</b>
ე: სამუშაო რესურსების პოლიტიკა	სრულად	ნ: აუდიტის ეფექტიანობა	სრულად
<b>განყოფილების პასუხისმგებლობა</b>	<b>3.25</b>	ო: რისკების გამოვლენა	სრულად
ვ: თავმჯდომარის ფუნქცია	ნაწილობრივ	პ: შიდა კონტროლი და რისკის მართვა	სრულად
ზ: დამოუკიდებელი წევრები	Not compliant	<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>5.0</b>
თ: საბჭოს ეფექტიანობა	სრულად	ჟ: ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურება	სრულად
ი: საბჭოს საკმარისი რესურსები	სრულად	რ: გამჭვირვალე პროცედურა	სრულად
		ს: დამოუკიდებელი გადაწყვეტილება	სრულად
		<b>საერთო ქულა</b>	<b>4.30</b>

შენიშვნა: სრული შესაბამისობა ფასდება 5 ქულით, ნაწილობრივი - 3 ქულით, შეუსაბამობა - 0 ქულით.

## დანართი 1 – გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა 2020 წლის მდგომარეობით

კომენტარები გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ

**დ:** არ ხდება დასაქმებულებთან ეფექტიანი თანამშრომლობა, მაგალითად, სამუშაო რესურსის საკონსულტაციო კოლეგიის ფორმით, შესაბამისად, კომპანია ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს. თუმცა, კრისტალმა გააძლიერა ადამიანური რესურსების ომბუდსმენის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა საჩივრების მიუკერძოებლად გადაწყვეტას. ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტმა 2020 წელს მოისმინა ადამიანური რესურსების ომბუდსმენის ანგარიში, რაც მომავალში რეგულარულად მოხდება.

**მ:** მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე აღმასრულებელი დირექტორისაგან დამოუკიდებელია, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, იგი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამოუკიდებლად, რადგან მნიშვნელოვანი აქციონერია და 9 წელზე მეტია საბჭოში მოღვაწეობს; სხვა კრიტერიუმების მიხედვით (მათ შორის, კომპანიის საერთო ხელმძღვანელობის ეფექტიანობასთან, ღიაობისა და დებატების ხელშეწყობის, ასევე თავმჯდომარის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით), კომპანია შეესაბამება სტანდარტებს, შესაბამისად, ნაწილობრივ აკმაყოფილებს F-მოთხოვნას.

**ზ:** კოდექსის განმარტების შესაბამისად, სულ მცირე, საბჭოს ნახევარი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო ხუთიდან მხოლოდ ერთი (გარდა თავმჯდომარისა) შეიძლება იყოს სრულიად დამოუკიდებელი; შიდა აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე ლილიტ გარაიანი დამოუკიდებელი წევრია; სხვა წევრები კი არიან ძირითადი ინვესტორები და აქციონერები, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე 9 წელზე მეტია არის MFSG-ის წარმომადგენელი და როგორც დირექტორსა და აქციონერს, 3 წელია აქვს არსებითი საქმიანი ურთიერთობა კომპანიასთან.

**თ:** მიუხედავად საბჭოს წევრების დანიშვნის მკაცრი პროცედურისა, არ არსებობს სამართალმემკვიდრეობის ხელშეწყობის გეგმები. კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ.

**ლ:** ხელახალი არჩევნები ყოველწლიურად არ ტარდება; თავმჯდომარე დანიშნულია 9 წელზე ხანგრძლივი ვადით, თუმცა 2018 წელს მან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ახალი როლი იტვირთა; კრისტალი არ იყენებს გარე კონსულტაციებს საბჭოს წევრების დასანიშნად; კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ.

კოდექსის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.frc.org.uk/directors/corporate-governance-and-stewardship/uk-corporate-governance-code>

## დანართი 2

### USAID YES-GEORGIA რიზხვებში

- მხარი დაუჭირა 4,000-ზე მეტ ახალგაზრდა მენარმეს, რომელთა დაახლოებით 60% ქალია;
- უზრუნველყო დაახლოებით 1,400 ახალგაზრდის პროფესიული მომზადება;
- მოახდინა სს კრისტალის 230, 500 აშშ დოლარის მობილიზება ახალგაზრდების საკუთრებაში არსებული მიკროსაწარმოებისა და დამწყები საწარმოების მხარდასაჭერად;
- დაეხმარა 400-ზე მეტ ახალგაზრდას ბიზნესწინადადების მომზადებასა და დასაფინანსებლად წარდგენაში;
- აამოქმედა ახალგაზრდული მიკროსაწარმოების მექანიზმი, რომელმაც უკვე დააფინანსა ახალგაზრდების საკუთრებაში არსებული 69 საცდელი საწარმო;
- სკოლებში განახორციელა სპეციალური პროგრამა მენარმეების ხელშეწყობის მიზნით, რომლითაც ისარგებლა დაახლოებით 800-მდე სკოლის მოსწავლემ, უმეტესად გოგონებმა; მხარი დაუჭირა სამუშაო ადგილზე სწავლებისა და სტაჟირების პროგრამებს 90-ზე მეტ სხვადასხვა კომპანიასა და ორგანიზაციაში;
- შედეგად, 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო მუდმივი სამუშაო ადგილის მოპოვებაში.

ერთობლიობაში, 2016 წლიდან USAID-ის პროგრამის YES-Georgia-ს ფარგლებში განხორციელდა 4,000-ზე მეტი ახალგაზრდა მენარმისა და პროფესიონალის მხარდაჭერა, რომელთა უმრავლესობა ქალია.

2015-2020 წლებში პროგრამა ხორციელდებოდა PH International Georgia-სა და “ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს” მხარდაჭერით, USAID Georgia-ს ფინანსური დახმარებით. პროგრამის მიზანი იყო 16-იდან 28 წლამდე ქართველი ახალგაზრდების თვითდასაქმებისა და ანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა, ახალგაზრდული საწარმოების შექმნის, შესაბამისი უნარების ინოვაციური მიწოდებისა და ახალი დისკურსის შექმნის მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

2019 წელს პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი ქალბატონ მიმართებით, რომლის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებდა თეთრი სახლის ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის (W-GDP) ინიციატივა. გარდა ამისა, პროგრამის „ახალგაზრდებისა და ქალბატონების მენარმეების მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID YES-Georgia) მიზანია მენარმეებისა და შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერით ხელი შეუწყოს მენარმე ქალთა რაოდენობის გაზრდას, კერძოდ, მათი ფინანსებთან ინოვაციური წვდომის, ცოდნისა და გამოცდილების გაზრდის გზით. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში პროგრამა USAID YES-Georgia მხარს დაუჭერს მენარმე ახალგაზრდებსა და ქალბატონებს USAID-ისა და W-GDP-ის 840,000 აშშ დოლარის ინვესტიციის მეშვეობით.

ქალთა მენარმეების განვითარების ამ ახალ მიზანთან ერთად, პროგრამას დაემატა კიდევ ორი კომპონენტი: BuzzGeorgia და „ბიზნესსერვისები მენარმე ქალბატონებისთვის“. Buzz Georgia არის საერთაშორისო Buzz Women-ის ფრანჩაიზის მიმღები. იგი ყურადღებას ამახვილებს სოფლად მცხოვრებ ქალთა შესაძლებლობის განვითარებაზე ლიდერობის, მენარმეებისა და ფინანსური საკითხების სწავლების მეშვეობით. თითქმის 500-მა ქალმა უკვე მიიღო მონაწილეობა Buzz Georgia-ს მიერ ჩატარებულ სწავლებაში.

ამასთან, პროგრამა დაეხმარება ქალბატონებისთვის ისეთი კომერციული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას, რომლებიც მათ ბიზნესს შემოსავლის მომტან წარმატებულ საწარმოდ გადააქცევს.

2024 წლისათვის USAID-ის პროგრამის YES-Georgia-ს ფარგლებში 2,500-ზე მეტ ქალს ჩაუტარდება სწავლება ბიზნესის მართვის საკითხებში, ასევე მათთვის სამართლებრივ და ბუღალტრულ სერვისებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მენტორობასთან, კონტაქტების შექმნის შესაძლებლობის შექმნასთან ერთად. საბოლოო ჯამში, პროგრამა ხელს შეუწყობს მენარმეთა ბიზნესების გაფართოებას და საკუთარ წვლილს შეიტანს, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით.

## დანართი 3

### 2020 წლის სოციალური გავლენის კვლევა



უპრეცედენტო წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც პანდემიამ კიდევ უფრო გააღრმავა შემოსავლის, სიმდიდრისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით უკვე არსებული უთანასწორობები სქესის, ეთნიკური და სოციო-ეკონომიკური ნიშნით, „კრისტალი“ ამაყობს, რომ გააორმაგა მიკრო და მცირე მენარმეებისა და მცირემიწიანი ფერმერების მხარდაჭერა საქართველოში. „კრისტალი“ განაგრძობს მომხმარებლებისთვის პასუხისმგებლობის მქონე, ინოვაციური და მწვანე ფინანსური გადაწყვეტების შეთავაზებას ხელმისაწვდომი და ინკლუზიური ფინანსური სერვისების მიწოდების რანგში. ამავე დროს, კომპანიას აქვს ცოდნა და გამოცდილება, რათა უზრუნველყოს კლიენტთა ეკონომიკური წარმატება და დაეხმაროს მათ ბიზნესპოტენციალის რეალიზების, ფინანსური სტაბილურობის მიღწევისა და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების საკითხებში.

ამ მიზნის მისაღწევად და იმის უკეთ გასარკვევად, თუ როგორ აისახება „კრისტალის“ საქმიანობა კომპანიის მომხმარებელთა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, მმართველი გუნდის, საბჭოსა და ინვესტორების მიერ ცნობილ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომ-

ლობით დაიგეგმა გავლენის კვლევისა და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია მაღალი სტანდარტები დააწესოს კლიენტების, საზოგადოების, თანამშრომლებისა და აქციონერებისათვის და ხელი შეუწყოს გავლენის კვლევისა და მართვის გამჭვირვალე და მკაცრ განხორციელებას. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიში ფასეული აღმოჩნდება, რათა ყველა ჩვენმა პარტნიორმა გაიაზროს არა მხოლოდ პანდემიის გავლენა საქართველოს საზოგადოებაზე, არამედ ის ღონისძიებებიც, რომლებიც გაატარა „კრისტალმა“ აღნიშნული გავლენის შესამცირებლად, სტაბილურობის შესაქმნელად და ჩვენი კლიენტების მდგრადობის მხარდასაჭერად.

გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი იმედს გამოთქვამს, რომ გაცნობით ანგარიშს და გააგრძელებთ „კრისტალთან“ თანამშრომლობას.

ალექსანდრე მუხომეძე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტის თავმჯდომარე



**ქვეთავი 1: მეთოდოლოგიური მიდგომა**

მიზანი: „კრისტალის“ საკრედიტო პროდუქტების გავლენის შესწავლა კომპანიის მომხმარებელთა ბიზნესებსა და შინამეურნეობებზე.

2017 წლის შემდეგ, ყოველ წელს ან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ „კრისტალი“ ატარებს კლიენტთა სიღრმისეულ კვლევას. სოციალური გავლენის კვლევის ძირითადი მიზანია სოციალური გავლენის შეფასება და კომპანიის წინსვლის განსაზღვრა სოციალური მისიისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულების თვალსაზრისით.

მიმდინარე წლის განმავლობაში კვლევისათვის შერჩეული ნიმუში მოიცავდა როგორც ბიზნესსეხებს, ასევე არაკომერციულ სესხებს.

**მეთოდოლოგია:** მომხმარებელთა შესახებ არსებული და ახალი მონაცემების ერთობლიობა

განხორციელდა ქვემოთ მოცემული მონაცემების ერთიანი ანალიზი:

- ◀ ხელმძღვანელობის საინფორმაციო სისტემაში (MIS) არსებული მონაცემები (138000 მიმდინარე სესხი 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით)
- ◀ რაოდენობრივი კვლევა (401 + 16 მცირე და საშუალო საწარმო, სტრუქტურირებული სატელეფონო გამოკითხვა; 2021 წლის თებერვალ-მარტი)
- ◀ თვისობრივი კვლევა (MS Teams-ით ჩატარებული 45 სიღრმისეული ინტერვიუ; 2021 წლის თებერვალ-აპრილი)

**დეტალური ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ**

სოციალური გავლენის უახლესი კვლევა (SIM) CERISE-თან თანამშრომლობით, Incofin agRIF-ის მხარდაჭერით და ტექნიკური დახმარებით განხორციელდა. გავლენაზე ორიენტირებული ინვესტორებისა და ისეთი კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, როგორცაა CERISE, „კრისტალი“ უფრო და უფრო უკეთეს შედეგებს აღწევს სოციალური გავლენის კვლევის საკითხში, გავლენის შესაფასებლად მკაცრი, მონაცემებზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით.

2020 წლის სოციალური გავლენის კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა შემუშავებულ იქნა ფრანგული ორგანიზაცია CERISE-ის მიერ, რომლის კოორდინირებას, სხვა შესაბამის განყოფილებებთან თანამშრომლობით, „კრისტალის“ გარემოს დაცვისა და სოციალური განყოფილება ახორციელებდა. ამასთან, წინა წლებში განხორციელებული სოციალური გავლენის კვლევების ფარ-

გლებში, სათანადოდ შემოწმდა 2020 წელს გამოყენებული ცვლილებების თეორია და კონცეპტუალური საფუძვლები.

**ინფორმაციის შერეული წყაროები**

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შერეული კვლევის დიზაინი - ხელმძღვანელობის საინფორმაციო სისტემაში არსებული თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების ერთობლივი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარა მონაცემების მოპოვებასა და „კრისტალის“ კლიენტთა სოციალურ გავლენაში კომპანიის მიერ შეტანილი წვლილის შეფასებაში. ბიზნესის სეგმენტი მოიცავდა მცირე და საშუალო საწარმოების, მიკრობიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო სესხების კლიენტებს; არაკომერციულ სეგმენტი მოიცავდა სამომხმარებლო, უძრავი ქონების შესაძენი, განვადებისა და სალომბარდო სესხების კლიენტებს.

**მეთოდოლოგია**

გენერალური ერთობლიობის მოცულობა:	16151 კლიენტი
შერჩევის მოცულობა:	401(+16 მსს) რესპონდენტი
ნდობის დონე:	95%
დასაშვები ცდომილება:	5%
პასუხების დონე:	39%

ადგილზე მუშაობის პერიოდი: 2021 წლის 20 თებერვალი - 24 მარტი

**კვლევის მეთოდი:** რაოდენობრივი. მასობრივი გამოკითხვა

**კვლევის ტიპი:** სტრუქტურირებული სატელეფონო გამოკითხვა

**კვლევის ინსტრუმენტი:** კითხვარი

**შერჩევის საფუძვლები:** აქტიური მსესხებლების (უნიკალური მომხმარებლები) სრული სია 2018 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით

ახალი კლიენტების გამოსარიცხად და იმისათვის, რომ განვესხვავებინა „კრისტალის“ გავლენა ისეთი გარეშე ფაქტორებისგან, როგორცაა კოვიდის მიმდინარე კრიზისი, კვლევის სამიზნე სეგმენტებად (გენერალური ერთობლიობა) განისაზღვრა ბიზნესის და არაკომერციული კლიენტები, რომელთაც (1) „კრისტალთან“ მინიმუმ 2-წლიანი ურთიერთობა აკავშირებდა და გატანილი ჰქონდათ „კრისტალის“ ერთი სესხი მაინც კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებამდე არაკომერციული კლიენტი - ამ ორი კრიტერიუმით შერჩეულ იქნა 16151 კლიენტი (მრავალი მათგანი ერთზე მეტი სესხით).

**შერჩევის ტიპი:** სტრატეგიული. გენერალური ერთობლიობა დაიყო 7 ქვეჯგუფად (სტრატად) პროდუქტის ჯგუფის შესაბამისად.

**შერჩევის მეთოდი:** ალბათური (შემთხვევითი) შერჩევა. თითოეული ქვეჯგუფიდან შემთხვევითად შერჩა ერთობლიობა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, კერძოდ, შემთხვევითი წევრების მეთოდით.

**დემოგრაფიული მონაცემები**

პროდუქტის ჯგუფი	შერჩევის საფუძველი კლიენტების რაოდენობა %	%	შერჩევითი ერთობლიობა კლიენტების რაოდენობა, %	%
მსს სესხი	728	4.5%	18	4.5 %
აგრო	2,704	16.7%	67	16.7 %
მიკრობიზნესი	3,535	21.9%	88	21.9 %
სალომბარდო სესხი	1,858	11.5%	46	11.5 %
სამომხმარებლო	1,769	11.0%	44	11.0 %
ბინის შესაძენი	2,084	12.9%	52	13.0 %
განვადება	3,473	21.5%	86	21.4 %
<b>სულ</b>	<b>16,151</b>	<b>100%</b>	<b>401</b>	<b>100 %</b>

პროდუქტის ჯგუფი არის გენერალური ერთობლიობის ერთადერთი პარამეტრი (სტრატა), რის საფუძველზეც მიზნობრივად შერჩა ნიმუში

ბიზნესსეხები (მსს + აგრო + მიკრობიზნესი) 43.1%

არაკომერციული სესხები (სალომბარდო + სამომხმარებლო + ბინის შესაძენი + განვადება) 56.9%

არსებული სესხის თანხა	გენერალური ერთობლიობა %	შერჩევითი ერთობლიობა %	სქესი	გენერალური ერთობლიობა %	შერჩევითი ერთობლიობა %
0 – 1,000		13%	ქალი		62.8%
1,000 – 3,000		30.8%	მამაკაცი		37.2%
3,000 – 10,000		12.4%			
10,000 – 25,000		17.1%			
25,000 – 100,000		22.1%			
		4.5%			

თვისობრივი კვლევა

რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების შემდეგ, ზოგიერთი ტენდენციის, დეტალისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და რაოდენობრივი კვლევის შედეგების უკეთ გაგებისა და ახსნის მიზნით განხორციელდა თვისობრივი მონაცემების მოპოვება (45 სიღრმისეული ინტერვიუ).

თვისობრივი კვლევის მონაწილეები იმგვარად შეირჩა, რომ მიგველო კლიენტთა ყველა ძირითადი ტიპის წარმომადგენლები რეგიონების, სესხის ტიპის, სქესის, ასაკის, „კრისტალთან“ ურთიერთობის ისტორიის, სესხის დაფარვის ისტორიისა და ფიზიკური/იურიდიული პირების მიხედვით. მსოფლიო პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, თვისობრივი კვლევა წელს Microsoft Teams-ის მეშვეობით ჩატარდა. **წლევანდელი თვისობრივი კვლევის მთავარი გამოწვევა იყო** ინტერნეტის მოხმარების დაბალი დონე 50 წელს გადაცილებულ მომხმარებელთა შორის, განსაკუთრებით სოფლად.

ქვეთავი 2: „კრისტალის“ ფინანსური ჩართულობა

„კრისტალის“ მისია მომხმარებელთა შესახებ: “ჩვენ მხარს ვუჭერთ მიკრო და მცირე მენარმეებს და მცირემიწიან ფერმერებს მთელი საქართველოს მასშტაბით...”

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სოფლის ტერიტორიებზე, ქალებსა და ახალგაზრდებზე


ხელმძღვანელობის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად, ჩვენი დაკვირვებით, კრისტალმა მოიცვა:

- ◀ სოფლად მცხოვრებ კლიენტთა 56%; მათი 30%-ის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს
- ◀ 59% ქალი
- ◀ სრულწლოვანი ახალგაზრდების 30% (35 წელს ქვემოთ), რომლებმაც სასესხო პორტფელის 24% მოდის

კლიენტები არ მიეკუთვნებიან სოციალურად უკიდურესად დაუცველ ოჯახებს

განათლების მაღალი დონე


განათლების დონე (n=401)



წყარო: სოციალური გავლენის კვლევა, რაოდენობრივი კვლევა, 2021 წლის მარტი-აპრილი

შემოსავლის დივერსიფიცირებული და სტაბილური წყაროები

თქვენი ოჯახის შემოსავლის წყაროები (n=401, კითხვები სავარაუდო პასუხებით)



წყარო: სოციალური გავლენის კვლევა, რაოდენობრივი კვლევა, 2021 წლის მარტი-აპრილი

- ◀ კლიენტთა ოჯახების 47%-ს შემოსავლის მინიმუმ 2 წყარო აქვს
- ◀ 21,1% იღებს შემოსავალს ფულადი გზავნილების სახით
- ◀ უმრავლესობას (59,6%) აქვს ხელფასი, ხოლო შემოსავლის სხვა მნიშვნელოვანი წყაროებია პენსია/შემწეობა და სოფლის მეურნეობა.

მიკრო და მცირე მენარმეთა მხარდაჭერა სოფლის მეურნეობისა და მომსახურების დარგებში

სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სექტორების მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოების სესხებით

- ◀ ძირითადად, ბიზნესები მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის (45,5%) და
- ◀ მომსახურების (38,8%) დარგებს.
- ◀ წარმოება მხოლოდ 3,6%-ს შეადგენს

ძირითადად არაფორმალური და მიკრობიზნესები

- ◀ 70% - არაფორმალური ბიზნესები
- ◀ ძირითადად, ბიზნესი ერთი დასაქმებულთა (75,7%)
- ◀ 5,7% მცირე საწარმოები (საშუალო და მცირე საწარმოები, რომელთა თანამშრომლების რაოდენობა 5 ადამიანს აღემატება)



### ქვეთავი 3: სანარმოო, სამომხმარებლო სესხები და კლიენტთა მომსახურება

„კრისტალის“ მისია პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ: „... ხელმისაწვდომი და ინკლუზიური ფინანსური სერვისების მიწოდების რანგში, „კრისტალი“ მომხმარებლებს სთავაზობს პასუხისმგებლობის მქონე, ინოვაციურ და მწვანე ფინანსურ გადაწყვეტებს იმ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ეკონომიკური წარმატებისთვის“

სამომხმარებლო და მცირე სესხების დიდი წილი, მიკრო, მცირე და საშუალო სანარმოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელოვან მხარდაჭერასთან ერთად

სესხის სახე	სესხის რაოდენობა	სესხის %	სასესხო პორტფელი	სასესხო პორტფელის %
მცირე და საშუალო სანარმოების სესხები	2364	1,7%	69 815 119	22,2%
აგროსესხები	12061	8,7%	54 545 055	17,3%
მიკრო ბიზნესის სესხები	14001	10,1%	45 626 257	14,5%
სესხები უძრავი ქონების შესაძენად	7004	5,1%	50 850 884	16,1%
განვადება	70391	50,9%	39 905 189	12,7%
სამომხმარებლო სესხები	8778	6,4%	26 969 005	8,6%
სალომბარდო სესხები	23607	17,1%	27 380 302	8,7%

წყარო: ხელმძღვანელობის საინფორმაციო სისტემა, 2020 წლის დეკემბერი

- სამომხმარებლო სესხები სესხების 74,4%-ს, თუმცა პორტფელის მხოლოდ 30%-ს შეადგენს
- სანარმოო სესხები სესხების 20,5%-ს, თუმცა პორტფელის 54%-ს შეადგენს
- სესხები უძრავი ქონების შესაძენად სესხების 5,1%-ს და პორტფელის 16,1%-ს შეადგენს

თვისობრივი კვლევის შედეგები:


არაკომერციულ სესხებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- უძრავი ქონების შესაძენი სესხების გამოყენების მაღალი დონე სესხის მიზნობრიობის შესაბამისად - საოჯახო აქტივებისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. ყოველი 4 ოჯახიდან, რომელმაც „კრისტალის“ დახმარებით გაარემონტა ძველი სახლი, 3 ოჯახმა შეძლო შენობის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაც.

### ქვეთავი 4: კმაყოფილება

მომხმარებლები თვლიან, რომ მარტივად მიუწვდებათ ხელი „კრისტალის“ სესხებზე და აქვთ პოზიტიური ურთიერთობა ორგანიზაციასთან


"კრისტალის" სესხის მიღების სირთულეები (n=401)



მთლიანობაში, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ „კრისტალის“ სესხები მარტივად არის ხელმისაწვდომი

მონაცემების სქესის მიხედვით ჩაშლის შემთხვევაში, ქალების 95,8% ამბობს, რომ ისინი არ დგებიან სირთულეების წინაშე „კრისტალის“ არსებული მომსახურებით სარგებლობისას.

"კრისტალის" სესხის მიღების სირთულეები \* სქესი



თვისობრივი კვლევის შედეგები

კლიენტთა უმრავლესობა, რომლებმაც იციან მაღალი საპროცენტო განაკვეთების შესახებ და უკმაყოფილებასაც გამოთქვამენ ამასთან დაკავშირებით, რჩებიან „კრისტალის“ ერთგულნი; ამასთან, გასული წლების მსგავსად, „კრისტალის“ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს ადამიანური რესურსები და მომხმარებელთან ურთიერთობა - საკრედიტო ოფიცრების „პოზიტიური ურთიერთობა ადამიანებთან“. როგორც ამას აღნიშნავს კლიენტთა უმრავლესობა:

- „მომსახურების ხარისხი ძალიან მაღალია“;
- „ფულს სწრაფად გაძლევენ“;
- „კრისტალს“ ძალიან კარგი თანამშრომლები ჰყავს, ისინი გულდასმით განმარტავენ ყველა დეტალს“;
- „მათ ყოველთვის გულთან ახლოს მიაქვთ თქვენი მდგომარეობა“;

- „ისინი ყოველმხრივ გეხმარებიან“; „კრისტალი“ მეგობარით მედგა გვერდით“;
- „ისე ვუყურებ ბანკს, როგორც მეწილეს“; „აქ საკრედიტო ოფიცერს მივმართე ... ის ისევეა ჩემთვის როგორც ძმა ან ნათესავი“;
- „ვენდობი „კრისტალს“... აქ არსებობს ნდობა ორმხრივი ნდობა. „კრისტალში“ უფრო მეტი თავდაჯერებით მივიღვივარ, ვიდრე რომელიმე ბანკში“;
- „აქ პატიოსნად მუშაობენ. არასოდეს არანაირი პრობლემა არ შექმნილა, ამავე დროს, „კრისტალის“ თანამშრომლები პატივს მცემენ, როდესაც ბანკში შედიხარ, ისინი პატივისცემით გიყურებენ.“
- „კრისტალში“ მყუდრო ატმოსფეროა, მომსახურების ხარისხიც ძალიან მაღალია, ყველა ადამიანი, ვინც აქ მუშაობს განათლებულია. შედიხარ ოფისში, იხდით ფულს, ატმოსფერო სასიამოვნოა, მე ეს მომწონს, მე ძალიან მომწონს ... სასიამოვნო ადამიანები, ხარისხიანი მომსახურება, სიმართლევით.“

მომხმარებლები კომფორტულად გრძნობენ თავს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით

მართში/კოვიდკრიზისის დროს პირველი საყოველთაო ჩაკეტვის წინ, განიცდიდით რაიმე სირთულეს „კრისტალის“ მიმდინარე სესხის დაფარვასთან დაკავშირებით?	N	%	ქალი	მამაკაცი
დიახ, რეგულარულად/მნიშვნელოვან სირთულეს	23	5,7%	5,8%	5,5%
დიახ, არარეგულარულად/მცირე სირთულეს	36	8,9%	8,1%	10,1%
არა	339	84,5%	85,3%	83,1%
პასუხისგან თავის შეკავება	4	1,0%	0,8%	1,3%

- მომხმარებელთა უმრავლესობა პრობლემების გარეშე ფარავს სესხს (84,5%) (ქალების შემთხვევაში, 85,3%)
- მხოლოდ 14.5% განიცდის სირთულეს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით

სქესის მიხედვით მონაცემების ჩაშლის შემთხვევაში ქალების 41,1% ამბობს, რომ „კრისტალთან“ განიხილეს სესხის დაფარვის გადავადება. ქალები ენდობიან „კრისტალს“, როდესაც დგანან პრობლემების წინაშე.

„კრისტალის“ კლიენტების კმაყოფილების საერთო დონე მაღალია

კლიენტთა ლოიალურობის მაჩვენებელი <sup>®</sup>

	N	კრიტიკოსი	ნეიტრალური	მომხრე	მომხმარებელთა ლოიალურობის მაჩვენებელი	
კლიენტთა ლოიალურობის საერთო ქულა	401	9,9%	11,6%	78,6%	69	
არსებული სესხის ტიპი	მცირე და საშუალო სანარმოების სესხი* (გაზრდილი შერჩევა - 31)	31*	9,7%	9,7%	80,6%	71
	აგროსესხი	67	5,9%	14,7%	79,4%	74
	მიკრობიზნესის სესხი	88	22,7%	9,1%	68,2%	45
	სალომბარდო სესხი	46	4,3%	8,7%	87,0%	83
	სამომხმარებლო სესხი	44	4,5%	9,1%	86,4%	82
	სესხი უძრავი ქონების შესაძენად	52	5,8%	13,5%	80,8%	75
	განვადება	86	8,0%	13,6%	78,4%	70

- მთლიანობაში აღინიშნა კმაყოფილების მაღალი დონე, კლიენტთა ლოიალურობის საშუალო მაჩვენებელი - 69.
- მიკრო ბიზნესის სესხების უმრავლესობაში აღინიშნა უფრო დაბალი მაჩვენებელი და ყველაზე მეტი უკმაყოფილო კლიენტი.
- არაკომერციული სესხები დამაკმაყოფილებელია კლიენტებისთვის.

### ქვეთავი 5 - შედეგები და ცვლილებების აღქმა, მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით

8 ღირსეული საბავარო მკონთიპარი ზრდა




„კრისტალის“ მისია მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ: „...[მომხმარებელთა] ბიზნესპოტენციალის რეალიზება, ფინანსური სტაბილურობის მიღწევა და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება ...“

**მდგრადი განვითარების მიზანი 8: შემოსავალი, აქტივები ბიზნესში, პრაქტიკის გაუმჯობესება, ფორმალიზება, სამუშაო ადგილების შექმნა**

ბიზნესსესხების მქონე მომხმარებელთა წარმოება და მოგება იზრდება, მაგრამ ბევრი რამ არ იცვლება და მათი მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მცირდება კიდევ

**ბიზნესისთვის "კრისტალის" სესხის მიღების უპირატესობები (n=173, კითხვები სავარაუდო პასუხებით)**



წყარო: სოციალური გავლენის კვლევა 2021, რაოდენობრივი

კვლევები, ბიზნესის სესხების შერჩევითი ნიმუში


- წარმოების მოცულობის ზრდა 43,4%-თვის (უფრო მეტია მამაკაცების შემთხვევაში: 45,0%, უფრო ნაკლებია სრულწლოვანი ახალგაზრდების შემთხვევაში: 38,3%)
- ქალების 14,5% ამბობს, რომ დაინყო ახალი ბიზნესი
- ბევრი არაფერი შეცვლილა მომხმარებელთა 32,7%-თვის (მათ შორის ახალგაზრდების 43,5%-თვის)

თვისობრივი კვლევის შედეგები:

**ქალების მიერ გამოყენებული ბიზნესსესხები: თვისობრივ კვლევაში მონაწილე სამმა ქალმა შექმნა საკუთარი ბიზნესი, მაგ.: გამოიყენა აგროსესხი არა აგრობიზნესში ინვესტირების მიზნით, არამედ ყველა მათგანმა შეძლო ახალი ბიზნესი წამოწყება, მოახდინა ოჯახის შემოსავლების დივერსიფიცირება და გაზარდა ოჯახის შემოსავალი:**

- ერთ-ერთმა მათგანმა იყიდა ავტომანქანა ტაქსის მომსახურებისთვის, რომელსაც მისი ძმა თბილისში ახორციელებდა. ტაქსის შემოსავალი დაახლოებით დღეში 100 ლარს შეადგენს.
- მეორემ იყიდა ავეჯი და საოჯახო ტექნიკა ბათუმის ახალი ბინისთვის, რათა მოემზადებინა ბინა გასაქირავებლად.

**"კრისტალის" კრედიტის მიღების შემდეგ ბიზნესმა შეიძინა / გააუმჯობესა ძირითადი საშუალებები (n=173, კითხვები სავარაუდო პასუხებით)**



ძირითადი შენაძენი უკავშირდებოდა საწარმოო საშუალებებს (26%) (ძირითადად, მამაკაცების შემთხვევაში :30,5%)

ქალები (16,9%) და ახალგაზრდები (15,2%) ახორციელებდნენ არსებული შენობების რემონტს

თვისობრივი კვლევის შედეგები

სესხების უმრავლესობით მიღწეულ იქნა სხვადასხვა არსებითი შედეგი: მცირე და საშუალო საწარმოების სესხის 9 კლიენტებიდან 7-ის, 9 აგროსესხიდან 8-ის და 9 სესხიდან 6-ის შემთხვევაში: შეძენილ და გაუმჯობესებულ იქნა ბიზნესის აქტივები, სესხის ან თანხის ნაწილის გამოყენებით:

- საცხოვრებელი სახლის შესაძენად და გასარემონტებლად
- მანქანის შესაძენად პროდუქციის მიწოდების მიზნით, რამაც განაპირობა მიწოდების ხარჯების ოპტიმიზაცია
- ძველი სახლის შესაძენად ტურისტულად მიმზიდველ ადგილას (მომავალში გეგმავს სახლის მცირე სასტუმროდ გადაკეთებას)
- სპეციალური მძიმე სამშენებლო ტექნიკის/დანადგარების შესაძენად და ახალი ბიზნესის დასაწყებად
- მცირე სასტუმროს გასარემონტებლად და ავტომანქანის შესაძენად, მომავალში ტურისტებისთვის სატრანსპორტო მომსახურების განვითარების, მომსახურების მასშტაბისა და მოგების ზრდის მიზნით
- მონყობილობისა და ავტომანქანების შესაძენად ტრანსპორტირებისთვის, თხილის გადამამუშავებელი საწარმოს შესაქმნელად, ოჯახის შემოსავლების დივერსიფიცირებისა და ბიზნესი მოგების ზრდის მიზნით
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად ადგილობრივი ფერმერებისათვის სხვადასხვა მომსახურების განვითარების მიზნით, რაც განაპირობებს მომსახურების დივერსიფიცირებას და მოგების ზრდას
- სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად წარმოებისა და მოგების ზრდის მიზნით
- ფერმის ახალი შენობის შესაძენად ფერმის საწარმოო შესაძლებლობებისა და ოჯახის შემოსავლის ზრდის მიზნით
- მიკროავტობუსის შესაძენად საკუთარი მცირე ავეჯის ქარხნისათვის ავეჯის ტრანსპორტირების მიზნით
- სვანეთსა და ქუთაისში სახლის რემონტისა და სასტუმროდ გადაკეთების მიზნით, რაც განაპირობებს ბიზნესის დივერსიფიცირებას და მოგების ზრდას


1 სიღარიბის აღმოფხვრა



მდგრადი განვითარების მიზანი 1: ცხოვრების ხარისხი, ახალი აქტივები, გადასახადების გადახდა

მომხმარებლები ნაკლები მდგრადობით ხასიათდებიან 2019 წლის სოციალური გავლენის კვლევისასთან შედარებით, მაგრამ ძველი კლიენტები უკეთეს შედეგებს აღწევენ

(კოვიდ-19-ის კრიზისამდე), "კრისტალის" კრედიტის მიღების შემდეგ, კომუნალური გადასახადების, მაგალითად გაზის, წყლისა და ელექტროენერჯის გადასახადის გადახდა (n=401)



- მკვეთრად შემცირებულია იმ მომხმარებელთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ გადასახადების გადახდა უფრო იოლი იყო (3,9% - იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვკითხავთ „კოვიდამდე“ - 2019 წლის სოციალური გავლენის კვლევის შესაბამისად ასეთი
- მომხმარებლები 54%-ს შეადგენდნენ). აშკარაა, რომ ადგილი აქვს ცდომილებას კოვიდის გავლენასთან მიმართებით, მაგრამ ეს შემცირება მნიშვნელოვან სიგნალად რჩება.
- 12,5% ამბობს, რომ უფრო რთული იყო გადასახადების გადახდა (ქალები - 15,8%, ხოლო მამაკაცები - 7,1%)
- უფრო ახალი კლიენტების შემთხვევაში ადგილი აქვს მეტ სირთულეს გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით (15,5% ამბობს, რომ ეს უფრო რთულია), შედარებით ძველი კლიენტები უფრო მდგრადები არიან (მათი მხოლოდ 10,3% ამბობს, რომ ეს უფრო გაუჭირდა)

ცვლილებების აღქმა: კონკრეტული და ფსიქოლოგიური ეფექტების კომბინაცია

კოვიდ-19-ის კრიზისამდე მომხმარებელთა პირად და პროფესიულ/კომერციულ ცხოვრებაში მომხდარი 2 ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება "კრისტალის" სესხის მიღების შემდეგ (n=401, კითხვები სავარაუდო პასუხებით)

ვიყიდე ტელეფონი	0.2%
გავაუმჯობესე სასოფლო-სამეურნეო პირობები	0.5%
დავოჯახდი/ოჯახის წევრი დაოჯახდა	0.5%
შევიძინე ავტომობილი	0.5%
დავფარე დავალიანებები	1.2%
დავიწყე ბიზნესი	0.5%
შემიცვალეს სესხის პირობები	0.1%
პასუხისგან თავის შეკავება	2.0%
არ ვიცი/ვერ გეტყვით	7.6%
ბევრი არაფერი შეცვლილა	45.5%
ზოგადად ცხოვრებისადმი უფრო თავდაჯერებული გახდი	8.4%
ნაკლებ სტრესს განვიცდი	8.1%
შემიძლია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა	4.8%
შემიძლია შვილების განათლების ხარჯების დაფარვა	1.5%
შემიძლია საოჯახო ძირითადი საჭიროებების დაფარვა (საკვები, სახლი, გადასახადები და ა.შ.)	16.5%
გავზარდე დანაზოგი	2.8%
გაუმჯობესდა შემოსავალი ბიზნესიდან	13.8%
შემიძლია ვიმუშავო ჩემს ბიზნესზე სათანადო ფინანსური რესურსებით	0.5%

დანართი 1 - 2020 წლის სოციალური გავლენის კვლევა

კოვიდამდე, 2 ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი (პირადი და პროფესიული) ცვლილება „კრისტალის“ სესხის მიღების შემდეგ	N	%	F	M	Y
ბევრი არაფერი შეცვლილა	183	45,5%	45,0%	46,5%	45,1%
შეძველი ოჯახის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება (საკვები, ბინა, გადასახადები და სხვ.), განსაკუთრებული მოვლენები (ქორწინება)	71	18,0%	17,8%	15,7%	23,3%
მეტი თავდაჯერებულობა ზოგადად ცხოვრებასთან დაკავშირებით/ნაკლები სტრესის განცდა	68	16,9%	20,5%	10,0%	11,7%
ბიზნესის შემოსავლების ზრდა / ბიზნესის წამოწყება / ბიზნესის გაუმჯობესება	60	15,0%	11,8%	19,7%	7,5%
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა	19	4,8%	4,6%	5,3%	2,9%
დანაზოგის ზრდა	11	2,8%	2,6%	3,0%	2,3%
შვილების განათლების ხარჯების დაფარვა	6	1,5%	1,6%	1,3%	0%
ვალების გასტუმრება	5	1,2%	2%	0%	0%
პასუხზე უარის თქმა	8	2,0%	2,4%	1,3%	1,5%
არ ვიცი / არ შემიძლია თქმა	31	7,7%	8,3%	6,4%	14,5%

- ◀ კლიენტთა 45,5% თვლის, რომ არაფერი შეცვლილა (53,1% თუ დავამატებთ პასუხებს არ ვიცი/ არ შემიძლია თქმა - 59,6% სრულწლოვანი ახალგაზრდების შემთხვევაში)
- ◀ 18%-მა აღნიშნა ცვლილებები საოჯახო საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით
- ◀ 16,9% ყურადღებას ამახვილებს დადებით ფსიქოლოგიურ ასპექტზე, უფრო მეტი თავდაჯერებულობის შექმნასა და ნაკლებ სტრესზე, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალების შემთხვევაში (20,5%)
- ◀ 15% ხედავს უკეთესობას ბიზნესში, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია მამაკაცების შემთხვევაში (19,7%)

დანართი 1 - 2020 წლის სოციალური გავლენის კვლევა

5 მანდარული თანასწორობა



მდგრადი განვითარების მიზანი 5: განსაკუთრებული აქცენტი ქალებზე

ქალები ერთგული და საიმედო კლიენტები არიან

- ◀ ხელმძღვანელობის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, უკეთესი პორტფელი ჩანს ქალების შემთხვევაში (PAR 30=1,48%) მამაკაცებთან შედარებით (PAR 30= 2,22%)
- ◀ რაოდენობრივ კვლევებში, ქალების 85.3% აცხადებს, რომ ისინი პრობლემების გარეშე ფარავენ სესხს
- ◀ სესხის დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემების შემთხვევაში, ქალების 41.5%-მა განაცხადა, რომ „კრისტალთან“ განიხილა სესხის დაფარვის გადავადება (იგივე თქვა მამაკაცების მხოლოდ 15.3%-მა), რაც ქალ მომხმარებელთა და „კრისტალს“ შორის არსებული მყარი ურთიერთობისა და ნდობის მაჩვენებელია.

ქალი მენარმეები ენდობიან და აფასებენ „კრისტალის“ პროდუქტებისა და სერვისებს

	ქალი	მამაკაცი		
ბიზნესის სესხები (1=მცირე და საშუალო საწარმოების+ აგრო + მიკრობიზნესის)	33,1%	60,0%		
არაკომერციული სესხები (2 = სალომბარდო + სამომხმარებლო + უძრავი ქონების შესაძენი + განვადება)	66,9%	40,0%		
	უმუშევარი	დასაქმებული/დაქირავებული	თვით-დასაქმებული	შერეული სტატუსი
ქალი	84,5%	68,8%	48,4%	52,6%
მამაკაცი	15,5%	31,2%	51,6%	47,4%

მსესხებელ ქალთა 14,5% ამბობს, რომ პირველად დაიწყო ახალი ბიზნესი, იგივეს ამბობს მამაკაცების მხოლოდ 5,1%: „კრისტალის“ სესხი ეხმარება კლიენტ ქალებს ახალი აქტივობების დაწყებაში.

თვისობრივი კვლევიდან:

ბიზნესით ქალთა გაძლიერების საიდუმლო: ბიზნესში გარკვეული (ზოგჯერ უარყოფითი) წარსული გამოცდილების მქონე ქალების უმრავლესობა უფრო გამბედავები და ამბიციურები არიან; მათ აქვთ ფულის სწორი მართვის უნარი, ეფექტურად ფარავენ სესხს და ახერხებენ ბიზნესის (ბიზნესების) გაფართოებას და ოჯახის შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირებას / ახალი ბიზნესის წამოწყებას, ზოგიერთი პანდემიის პირობებშიც კი;

ქვეთავი 6: კოვიდის შედეგები


კლიენტები განიცდიან კოვიდის გავლენას, მაგრამ სიტუაცია არ არის ბევრად უარესი 2020 წლის აპრილთან შედარებით

„კრისტალმა“ მომხმარებელთა ორი კვლევა ჩაატარა სანიტარიული კრიზისის გაგებისა და მასზე მორგების მიზნით

სხვაობა კვლევებს შორის

	2020 წლის კვლევა	2021 წლის კვლევა
ადგილზე მუშაობის პერიოდი:	2020 წლის 8-14 აპრილი	2021 წლის 20 თებერვალი-24 მარტი
გენერალური ერთობლიობა/ შერჩევის საფუძვლები	აქტიურ მსესხებელთა (უნიკალურ მომხმარებელთა) სრული სია 2020 წლის თებერვლის ბოლოს მდგომარეობით	ყველა ბიზნესის და არაკომერციული კლიენტი (უნიკალური მომხმარებელი) რომელსაც: (1) „კრისტალთან“ მინიმუმ 2 წლის ურთიერთობა აკავშირებს და გატანილი აქვს „კრისტალის“ ერთი სესხი მაინც კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 წლით ადრე, (2) აქვს 500 ლარზე მაღალი საკრედიტო ლიმიტი.
გენერალური ერთობლიობის მოცულობა	84863 კლიენტი	16151 კლიენტი
შერჩევის მოცულობა	1100 რესპონდენტი	401 რესპონდენტი
ნდობის დონე:	95%	95%
დასაშვები ცდომილება:	3%	5%

როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის საერთო შემოსავალი კოვიდის კრიზისის შედეგად? (2021, n=401)



2020 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით:

როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის საერთო შემოსავალი კოვიდის კრიზისის შედეგად?	2020 (n=1100)	2021 (n=401)
გაიზარდა	0.2%	1%
არ შეცვლილა	24.3%	30.0%
შემცირდა	63.3%	66.2%
მთლიანად შეწყდა	12.2%	2.7%
მიჭირს პასუხი / პასუხისგან თავის შეკავება	0.1%	0.0%
	100%	100%

2021 წელს კლიენტთა 30% აცხადებს, რომ სიტუაცია არ შეცვლილა, 2020 წლის მონაცემებით იგივეს ამბობს კლიენტთა 24,3%.

შეგიძლიათ დაასახელოთ მიზეზები, რომლებმაც განაპირობა თქვენი ოჯახის საერთო შემოსავლის შემცირება (ან შეწყვეტა)? (კითხვა სავარაუდო პასუხებით)

2020 (რესპონდენტთა რაოდენობა N=830 | პასუხების რაოდენობა N=1086)

2021 (რესპონდენტთა რაოდენობა N=276 | პასუხების რაოდენობა N= 356)

მიზეზი	2020	2021
სამსახურის დაკარგვა	26.7%	30.3%
ხელფასის დროებით შემცირება	20.1%	17.9%
წარმოების/ბიზნესის დახურვა	3.6%	8.8%
წარმოების/ბიზნესის დროებითი შეწყვეტა	38.3%	20.2%
შეზღუდული წარმოება/ბიზნესოპერაციები	11.1%	9.0%
გაყიდვების შემცირება	11.2%	26.9%
პენსიის ან შემწეობის შეჩერება/შეწყვეტა	0.7%	0.4%
უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება ა სრული შეწყვეტა	12.7%	2.5%
სამსახურის დროებითი დახურვა	5.1%	0
სხვა (მათ შორის ჯანმრთელობის გაუარესება – 3,1%)	1.2%	11.7% *
მიჭირს პასუხი	0.1%	1.1%

იმ კლიენტებზე, რომელთაც აღნიშნეს, რომ ადგილი ჰქონდა ცვლილებას, ყველაზე მეტი გავლენა მოახდინა გაყიდვების შემცირებამ და წარმოების/ბიზნესის დახურვამ.

დასკვნა

2020 წლის სოციალური გავლენის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ „კრისტალის“ მიზანი ყოველთვის არის მომხმარებელთან ახლოს ყოფნა. პანდემიური სიტუაციის მიუხედავად, „კრისტალმა“ შეასრულა საქართველოში მცხოვრები ადამიანების ფინანსური ჩართულობის გაუმჯობესების მისია, შეძლო მოესმინა 460-ზე მეტი მომხმარებლისთვის, რომელთაც კომპანიას გაუზიარეს გამოცდილება, თუ რა გავლენა მოახდინა „კრისტალმა“ მათ ცხოვრებასა და ბიზნესებზე და განიხილა არსებული მონაცემები, ასევე თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევები.

2020 წლის სოციალური გავლენის კვლევაში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები გვიჩვენებს, რომ ქალებზე, ახალგაზრდებსა და სოფლის მოსახლეობაზე ძლიერ აქცენტის გაკეთებით „კრისტალი“ უზრუნველყოფს სასესხო პროდუქტების მრავალფეროვნებას. „კრისტალის“ პორტფელის ნახევარს სანარმოო სესხები შეადგენს. ამავე დროს, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე დაეხმარა ჩვენს კლიენტებს საბაზისო საოჯახო საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერის წყალობით, ჩვენმა მომხმარებლებმა შეძლეს ახალი საშუალებების შეძენა, რომელთა დახმარებით მათი საქმიანობა და წარმოება გაიზარდა. „კრისტალის“ მომხმარებელთა კმაყოფილების დონე კვლავ საოცრად მაღალი იყო, რაც შესაძლებლობას აძლევს კომპანიას შეინარჩუნოს ადამიანურ რესურსებთან და მომხმარებლის მომსახურებასთან დაკავშირებული კონკურენტული უპირატესობა.

ჩვენ გვჯერა, რომ სოციალური გავლენის კვლევის შედეგები დაეხმარება კომპანიას მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება კლიენტთა სასარგებლოდ ბიზნეს-სესხებზე აქცენტით, მხარი დაუჭიროს მდგრადობის გაუმჯობესებას, შეინარჩუნოს და გააძლიეროს კომპანიის „ადამიანური ფაქტორი“/პერსონალური ურთიერთობები მომხმარებლებთან (რაც, „კრისტალისა“ და კომპანიის მიმართ ლოიალურობის შეფასებისას, მომხმარებელთა თქმით, მათთვის ყველაზე ფასეულია), საკომუნიკაციო უნარები, არაფინანსური მომსახურება, რათა რეაგირება მოახდინოს მომხმარებელთა საჭიროებებსა და სურვილებზე.

▲ აქცენტის გაკეთება ანალიზზე: მონაცემებზე ორიენტირებული მართვის უზრუნველყოფა

- 3. „კრისტალში“ დანერგილია ინფორმაციის, მონაცემების რეგულარული მართვა: არსებობს პასუხისმგებელი დეპარტამენტი, ხელმძღვანელობის საინფორმაციო სისტემა, რათა დაეხმაროს საბჭოს და მაღალი რგოლის მენეჯმენტის გუნდს გაიაზრონ და მოუსმინონ კლიენტთა საჭიროებებსა და სურვილებს
- 4. სეგმენტირება და ფოკუსირებული ანალიზი გენდერის, ასაკის, სესხის დაფარვის ვადის, რეგიონის, პროდუქტების გამოყენების მიხედვით და სხვ.: სიღრმისეული ანალიზი და სეგმენტაცია „კრისტალის“ პროდუქტების გავლენის გასააზრებლად კლიენტთა ჯგუფების შესაბამისად

▲ სტრატეგიული და საოპერაციო შედეგები: ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება კლიენტთა სასარგებლოდ

- 5. პროდუქტის განვითარების თვალსაზრისით მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები: ყურადღების გამახვილება ბიზნესსესხებზე
  - ა. კლიენტის „გზა“: სანყისი/სამომხმარებლო სესხებიდან სანარმოო სესხებამდე
  - ბ. თანხის დაზოგვის შეთავაზება კლიენტთა მდგრადობის გასაუმჯობესებლად
  - გ. მიზანი: შემნახველი პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა/დაზოგვა შოკები-სადმი მდგრადობის ზრდის მიზნით, პოტენციური აქცენტი ოჯახებზე მიგრანტებით
  - დ. ახალგაზრდებთან კომუნიკაციის დროს მეტი აქცენტის გაკეთება ციფრულ პროდუქტებზე
- 6. მომხმარებელთან ურთიერთობიდან მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები:
  - ა. მეტი აქცენტი ქალებზე: მიზანი: ქალებისთვის მეტი წვდომის მიცემა
  - ბ. დასაბუთება: ქალები უკეთ ფარავენ სესხებს, აფასებენ წვდომას, ენდობიან კრისტალს, ქმნიან ახალ ბიზნესებს: შესაძლებელია მეტი წვდომის მიცემა
  - გ. ფინანსური წიგნიერება და კომუნიკაციის გაუმჯობესება
    - ი. მარტივი და განახლებული საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა, შემცირება სანარმოო აგროსესხებისთვის

ა. „კრისტალთან“ მყარი ურთიერთობის დაფასება => „ადამიანური ფაქტორის“, საკომუნიკაციო უნარების, არაფინანსური მომსახურების შენარჩუნება და გაძლიერება (ერთგული კლიენტების თქმით, ნდობა და სანდო, ადამიანური ურთიერთობები „კრისტალის“ უდიდესი კონკურენტული უპირატესობაა).

## დანართი 4

### შემოკლებების ჩამონათვალი

<b>ALCO</b>	აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი	<b>KPI</b>	საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები
<b>AML</b>	ფულის გათეთრების საწინააღმდეგო	<b>MPR</b>	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
<b>BCBS</b>	საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი	<b>NPL</b>	ვადაგადაცილება მთლიან სესხებში
<b>CSR</b>	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	<b>ROE</b>	უკუგება საკუთარ კაპიტალზე
<b>DFC</b>	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (ყოფილი OPIC)	<b>SIDA</b>	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
<b>DWM</b>	მსოფლიო ბაზრის განვითარება	<b>SME</b>	მცირე და საშუალო საწარმო
<b>EE&amp;RE</b>	ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია	<b>SMS</b>	მოკლე ტექსტური შეტყობინება
<b>ERP</b>	საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემა	<b>UN</b>	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
<b>ESG</b>	სოციალური და კორპორაციული მართვა	<b>UN Women</b>	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
<b>GCF</b>	გლობალური კლიმატის ფონდი	<b>USAID</b>	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
<b>GIZ</b>	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება	<b>WEP</b>	ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება
<b>HR</b>	ადამიანური რესურსები	<b>მისო</b>	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
<b>HRMS</b>	ადამიანური რესურსების მართვის სისტემა	<b>მსპ</b>	მთლიანი სასესხო პორტფელი
<b>IMF</b>	საერთაშორისო სავალუტო ფონდი	<b>მსს</b>	მცირე და საშუალო საწარმო
		<b>სებ</b>	საქართველოს ეროვნული ბანკი
		<b>სს</b>	სააქციო საზოგადოება
		<b>შბა</b>	შეკუმშული ბუნებრივი აირი
		<b>შპს</b>	შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია





ფრანსუაზური მართლმადიდებლობის  
ორგანიზაცია